რ. ჯავახიძედან ცეყობილობთ, რომ ბევრ საწარმო და-წესებულებებს და ორგანიზაციებს საქართველოში თუ-რამე ქართულად საქმის წარმოება და მიმოქერა „არ ეხე-რებებად“. მოიღ და ნამდვილ, ქეშმარტი ქართველს გუ-ლი არ აუტკივდეს მაღაზიის ფანჯრების წარწერას რომ მხედავს: ძებვის ნაცვლად „კალბასი“ პერანგის მაგიერ „საროქა“, მატყლის ქსოვილს „შერსტანას“ წარ-წერა რომ აქვთ. სწორედ ამ მდგომარეობით შეწუხებუ-ლია ა.შანიძე როცა გულსაკლავად მოთქვამს: „ენა მიგ-დებულია თავის დინება, მიდის და მიდის და აიგუსა, ვა-იქება უცხო ენების შემოტანილი ფორმებითა და გამო-თქმებით“, და გულ დათუთქული დასძენს „რალა ვაგა-ასწორებსო“.

საშუალო სკოლის დამთავრებულს საქართველოში არც კი ვაუგონია რომ „ქართლის ცხოვრების“ წიგნზე და თვით ისტორიული დარგის მასწავლებლებიც მხო-ლოდ ცალკეული ეპიზოდების ცნობით კმაყოფილდე-ბიან. ამ მეტად მტკივნეულ საკითხს 1968 წლის 18 მარ-ტის „ლიტერატურულ საქართველოში“ შეეხო რევაზ ბარამიძე, რომელსაც გვერდში ამოუდგნენ ა. შანიძე, დემნა შენგელაია, მიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი ჯიბლა-ძე, შოთა მესხი, რევაზ ჯავახიძე, ანა კალანდაძე ციქ-ტორ კუპარაძე, სახელმძღვანელო მასწავლებელი ნინო ძიძიგური, ალექსი ჯავახიძე, კონსტანტინე გრიგოლა-და ჯანსულ ჩარკვიანი — როგორც ხედავთ ყველა ცნო-ბილი და დამსახურებული პირები. მაგრამ საქართველოს განათლების სამინისტროს მათთვის ყურადღება არ მოუ-ქცევია. და მოსკოვის დირექტივის უსიტრებოდ ემორჩი-ლება.

პროფესორი შ. რადიანი და რ. მიმინოშვილი გვაუწყე-ბენ, რომ უმაღლეს განათლების დამთავრებულ ექიმს, ინჟინერს, აგრონომს და თვით იურისტების უმრავლესობას უჭირთ მშობლიურ ენაზე წესიერად აზრის გამო-თქმა. და ქართული ენა ცნობილი ფილოლოგის რიპარდ მეკელიანის აზრით (ქართული ენის ჩინებული მკვლენე) ხომ ქეშმარტიად „მეტყველების საშუალებებით უმდი-



დრეტი ენა მოფლიოში, და სიტყვათა მარავით ყველაზე უფრო განვითარებულ ენებს არ ჩამოუვარდება“, და არაინ არ დაიჯერებს, რომ თვით პედაგოგიური ინსტიტუტების ფაკულტეტებზეც არ არის შემოღებული ქართული ენის ელემენტარული კურსი.

ყველაფერი ეს ჩვენგან გამოვიჩინო ამბები არ გვეონთა, მხოლოდ ქართული პრესიდან ამოკრეფილი „მარგალიტები“ და გულშემბატკიართა ცნობებით ესარგებლობთ და მათგანვე ვტყობილობთ, რომ „სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელსა და პედაგოგიურ ინსტიტუტების ფილოლოგიური სპეციალობის გარდა. ქართული ენაში გამოცდები არ ტარდება.

ეს ცნობები ძველ ამბებად, რომ არ მიიღოთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1979 წლის 25 იანვრის ნომერი ი. ინანიშვილი, კ. ეკუპაძე, ზ. სარჯველაძე და ალ. ლლონტი საერთო წერილში იმავეს იმეორებენ, და იმავე ნომერში აკადემიკოსი ავაკი შანიძე „სად, თუ არა სკოლაში?“ ძველ საყვედურს უბრუნდება როცა ამბობს: „უნივერსიტეტი და პედაგოგიური ინსტიტუტების ბევრ ფაკულტეტზე ქართული ენა არ ისწავლება. არ ისწავლება ქართული ენა არც სხვა უმაღლეს სასწავლებლებში (მაგალითად, პოლიტეკონ ინსტიტუტში, სამედიცინო ინსტიტუტში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და სხვა.) და ამა ერთი მიზრძანეთ. სად უნდა ისწავლის კაცმა ლიტერატურულად გამართული ქართული, თუ არა საშუალო სკოლაში?“

შეტყბე და მეთვე კლასის მოსწავლე თავს არ იწუხებს ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნით რადგან მან კარგად იცს, რომ ამით მას ხელი არ შეეშლება უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის დროს. და ასეთი მოსწავლეთა რაოდენობა სკოლაში თურმე 80 პროცენტს აღემატება.

აქ შლიახერის სიტყვები გვაგონდება, რომელიც სამართლიანად აღნიშნავს „ისე კარგად არავითარ იცნობება ერთ, როგორც ერთი, ენაში იხატება მიეული ერთ და მისი სამშობლო.“ მასვე ეკუთვნის: „გაპჭრა ენა? გაპჭრა თვითონ ერთი.“ და ასურებლები, სპარსელები, ბერძნები და რომაელები ძველ ეგვიპტელებს ენას რომ უსაზოდნენ ხომ კარგად იცოდნენ, რომ მას ძველი ეგვიპტელების ვადაშენება მოჰყვებოდა. „ქვეყანაზე იმაზედ აუტანელი ძალდატანება არ მოიძებნება, როდესაც ჰსურთ წართვან მემკვიდროებითი საუნჯე, შექმნილი და შექმნილი მისი წინაპართა ურიცხვ თაობათა ღვაწლით“ და ილია სამართლიანად შენიშნავდა, რომ „მტრობა ენისა არის მტრობა ქვეყნისა.“

და ქართული ერის მტრებსა და ახალგაზრდების, მათ შორის კომუნისტების, ერთიანი მასობური დემონსტრაცია ამარცხებს შევარდნაძის (მოსკოვის ერთგულობით სამჭეთათა კავშირის კომუნისტური პარტიის პრეზიდენტის კა-

ნდიდატობა დამისახურა.) განზრახვის საქართველოს ახალ კონსტიტუციაში სასტუმროდ ენად ქართული ენა შეეებანა, მაგრამ იქვე რუსული ენის თანხლები სხარება და ამავე დროს ყოველგვარი პრივილეგიის აკრძალვა ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმაზედაში, ხომ ერთი მეორის მხარისპირებული კანონია და დილაქტის საშუათო დაივიწყების სხვადასხვა ინტერპრეტაციით შესაძლებელი.

და ავი შოთა ძიძიგური აღნიშნავს სამართლიანად: „უწიგნურობას ვებრძობთ და ქართული ენისათვის განუყოფელი პრაქტიკულ საათებს კი ყოველ წლიურად — მეთოდურად — ვამკირებთ“ („ლიტ. საქ.“ 15. 12. 78. „ვიმსჯელობთ შშობლიური ენის სწავლებაზე“) და ამავე დროს საშუალო სკოლის კლასებში ქართული ენისათვის დათმობილი საათები ვაძეკვეთულია, როგორც სწერს პროფესორი დ. ლორთქიფანიძე თავის წერილში. „შშობლიური ენის და ლიტერატურის სწავლების შემდგომი სრულყოფისათვის“ ამბობს „ფაქტობრივად ძირითადად გრამატიკის გაკვეთილებად, გამართულად წესების ზეპირობის გაკვეთილებად“ („კომუნისტი“ ნომერი: 237. 8. X. 1978), და ენის ლიტერატურისათან დაუყავიზიგებლად, რომლის მნიშვნელობა ენის შესწავლისათვის აუცილებელია და მხოლოდ მისი წესების შორად და სქოლასტიკურ დაზვიზრებამ. არ უნდა ვაგვიყარდეს, მიუწადევს შშობლიური ენის შესწავლაზედ თუ გული აუცრუდებდათ. ამით აძლებდნენ ქართულ მოსწავლეებს შშობლიურ ენის შესწავლას.

არც ერთი პირობა ქართული ენისა და ლიტერატურის ხარისხისათვის არ არის დღეს საქართველოში განზოცილებული, არც ქართულ ენისათვის საჭირო საათების დადენობა სკოლაში. არც მასწავლებლების მომზადების დონე და არც პროგრამების და სახელმძღვანელოების ხარისხი, რაც მწერალთა კავშირის პლენუმის სხდომაზედ გამოირკვა, რომელიც ორი დღე გრძელდებოდა და რიგეზზედად მწერლების გარდა მეტყველები, განათლების დარგის მუშაკები და პედაგოგებიც ესწრებოდნენ მათ შორის ისეთი ცნობილი, როგორც არიან არნოლდ ჩიქობავა, ნიკო კეცხოველი, ალექსანდრე ლლონტი, ელგუჯა მალრავა და არჩილ ჩაჩიბია — მარტო ეს ხუთნი რომ მოვიხსენოთ.

და ვანა მარტო მათ აქეთ ფიცი დადებული ვალაქტიონთან, რომელიც ყველას ნოუწოდებდა: „შშობლიური ჩემი მიწა, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ, რომ დავიცავ შენს ტკბილ ენას, შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ,“ და დიდი ილიას სიტყვებიც მუდამ გულში უნდა ჩავიშორხოთ, რომ „ენა სამშეთო რამ არის, სასოვადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილი ხელით არ უნდა შევსოს,“ და ვანა ყველა ქართველის მოვალეობას არ უნდა შეადგენდეს შშობლიური ენის შენარჩუნება — სიწმინდისათვის ბრძოლა.!

დავით ვაშაძე.

ლევინის მამულს

ეს ხედი ჩემთვის უფრო ნაზია!
ვიღრე სხვა ხედი ეზოთ მდებარე,
უფრო შეუტია - უფრო რთულია
ფერები გრძობით მუდამ მივლევარე.

ვუცქერი, ვისმენ, გული არ ძლება,
შორეულ ნიაფს მოაქვს ამბები
ძველზე, წარსულზე, წარსულზე - კიდევ
გარდასულ დროთა ნაამბები.

ვზივარ და გიკვებ ჩემო ლევილო
მე შენთან ყოფნით ვერ ვძლები - ვერა.
გიკვებ და მიკვირს რომ ბედისწერამ
შენ დიდ წარსულში მეც ჩამაყვრა.

მადლობელი ვარ ხანდაზმულობის
ცხრა ათეული განვლილი მძლეობს,
ჩემი ფიქრია გულის სამოსი
ლევლის მიწა და საქართველო.

ნ ა მ ე ტ ა ა .

ლევლი. 11—8—1990.

მამყვალს

„ოხ! ნეტავ, ნეტავ არ იყოს“ დარდი.
გადიშლებოდეს ია და ვარდი;
სიხმრად განახადე შეილო მაყვალა,
ბედმა, უბედომ არ დაგაცალა:
ჯერ გაუმოული დაგაქვნი ვარდი:
და დავიტოვა მწუხრი და დარდი.
ჩენს გულში სუფევს ოხერა და გმინვა.
მზე ჩაესვენა, სული გაყინა...
ჩენთვის არ სუფევს აქ სიხარული.
შენზე ფიქრებში გაჰქრა ყოველი.
დავრჩით უშენოდ თვალებ - სოველი.
აგრ ყოფილა წუთისიყოფილი,
იხადება და ქრება ყოველი!
მაგრამ შენ იყავ ჯერ კიდევ ნორჩი,
ჩისთვის მოგწყვიტა განგებამ ყლორტში?
რად დაგიბნელა დღე ხვედრმა მწვარემ?
ჩრდილი მოგფინა მზემმა და მთვარემ —
არ სჯობდა ბედს, რომ გავეკარ ჯვარზე.
ოღონდ შენ ვეველო სიციხის გზაზე!

ლეონიდ კეიშვილი.

ბუენოს - აირესი, 1. 4. - 1977.

სამშობლო

ჩემო სამშობლო უწყალო მტერი
სტეპება, დაგხარის მის მიერ ძლეულს,
ავი და მკაცრი, მშრალი და მწერალი
განაგეს, სჯიჯგენს შენს ლამაზს სხეულს.
წითელი ფერი მოსწონს და უყვარს,
შენი შეილები სისხლით ჰქმნის ამ ფერს,
უნდა წაგწყმინდოს, მონად ვაგხადოს,
ამისთვის ზრუნავს, აწყობს ყველაფერს.
სამოთხის დარი ციხეთ ვაგხადოს

და შენი ხალხი შენში ტყევი არი,
გასალებს იცავს ვით ძუნწი ოქროს,
არ შეგიძლია გაალო კარი.

ქალარა საუკუნეთა სვლაში
ბერი გქონია შევ - ბნელი დრონი,
ისე უძლებდი შენ ეკლის გვირგვინს,
თითქოს თილისმის იყავ პატრონი:

სად არს ქვეყანა, რომელსაც უნდოთ
შენებრ მრავალჯერ მტერი დასხმოდეს
და ბრძოლის ველად გამხდარს, განწირულს

ზედ შენოდენი სისხლი დასხმოდეს?
სად არს ქვეყანა, რომ ათას წლობით
შენებრ სამსხვერპლოდ გამხდებულეთ,
რისხვას შეჰბმოდეს და ბევრჯერ ეხსნას

ტურთა სამშობლო, ენა და სჯული?
სად არს ქვეყანა, რომელსაც შენებრ
თვლით და წინდაწინ შედგენილ სიით,
უკლავდენ გმირებს, უყეთესს შეილებს

ქურდულად ზურგში ნასროლი ტყვიით?
ჩემო სამშობლო არა ხარ დიდი,
მაგრამ ხარ მხენ და ჭირში მგარი,
შენ ბევრჯერ ჰკავდი ბიბლიურ დავითს

გოლიათი რომ ძირს დასცა მკვდარი!
ვათავდა შენი მწვარე ობლობა,
შენს დღეში ბერი ხალხი ჩაეარდა,
და ამ ხალხების რისხვა და წყრომა

გაერთიანდა და გაიზარდა!
ხალხს ევრეინ მოჰკლავს, ის უყვადავია,
თუ გინდ დაეცეს, ისევ აღგება.

ადრე თუ გვიან თავისუფლება
რომ არ დაიხსნას არ შეიძლება!
ჩემო სამშობლო უნდა იარა, გაიარა,
რჩება პირლია შენი დროა,

ლამაზად მოდის შენი დიდება
და გამარჯვების მხის ბრწყინვალება.

რალფი.

ლევლი - 1965 წ.

წამებული მწერალი.



მესრულდა ქართული მხატვრული სიტყვის ნოვატორის მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავი.

ჩვენი უხუცესი მწერალი, დრამატურგი და დიდი თეატრალური მოღვაწე შალვა დადიანი მიხეილ ჯავახიშვილს უწოდებს მკითხველთა საყვარელ მწერალს; და ამას საესებით მართალია შალვა დადიანი.

„მისი წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა და როგორც ქართულ ნოველების იმეოთ ისტატს ზადალი არ ჰყავდა ქართული მხატვრულ მწერლობაში“ - ო.

ამბობენ, რომ ნოველები აბა რა მოსატანია, მაგრამ ასეთი გავება საკითხისა შემცდარია. ნოველა თავისი ჟანრით მეტად რთული მოვლენია. მწერალმა ნოველაში საკონიურ სიტყვებით უნდა გაშალოს ადამიანის სულიერი სიმდიდრე და სიმბინჯე. ცნობილ ამერიკელ მწერალს ჰემუნგუის არ დაუწერია სქელ ტანიანი რომანი, მაგრამ მისი სახელი შარავანდელით შეიმოსა სწორედ ნოველებით.

შალვა დადიანი ამბობს: „როდესაც ნახავთ წიგნს კარგად გათულიოს, იქა - აქ ფურცლებს შექუქმულს... მაშინვე იმას გაიფიქრებთ, რომ მკითხველი წიგნს ვერ ეპყრობა წესიერად, მაგრამ ყოველთვის ასე როდია. სჩანს რომ წიგნს ბევრი მკითხველი ჰყოლია. ბევრის თითებს ვადაუფურცლავს ეს და ეტყობა გულდასმით ვადაუკითხავს. მაშასადამე წიგნი პოპულარული ყოფილა... პოპულარობა კი, ჩემის აზრით, უკვდავებასთან ახლოს დგას“.

ჰოდა, ეს სახესებით ენება მიხეილ ჯავახიშვილსაც. ჩვენი საყვარელი მწერალი მარადღაში დიდად ბორჩალოლი გუგუხის ადამაშვილის იჯახში. ადრეულ სიკბუტეში მიხეილ ჯავახიშვილი წინამძღვარანათა სასოფლო სამეურნეო სკოლაში სწავლობდა. მიხეილი მამინ უკვე

სწერდა ლექსებსა და პატარა მოთხრობებს. ამას ყურადღება მიაქცეს ამოზრდილმა მასწავლებლებმა. იგი გაუცნეს ჩვენი ერის მამას ილია ჭავჭავაძეს. დიდ ილიას მწიგნობი და შეუქია ჭახუკის სამწერლო მიდრეკილეს და გზა დაულოცია სამწერლო ასპარეზზე.

მიხეილის მამა უნარიანი და მოპირნე მეურნე იყო. მას განზრახული ჰქონდა შვილი ავრონომად გამოეზარდა. ამ მიზნით მიხეილი წინამძღვარანათა - კარის სკოლის დამაარებების შემდეგ ყირიმს გაუგზავნია და მემბლობის მეცენახობის სასწავლებელში შეუყვანია.

მიხეილ ჯავახიშვილს მოუხდა ემიგრაციაში ცხოვრება. რადგან მას დევნიდა კარისტული მიხეობა. ამის გამო იგი ზანგრძლივად ჩამოშორდა მშობლიურ ლიტერატურის სარბიელს. საზღვარგარედ ყოფნისას მიხეილი ერთხანს ლექსებს ისმენდა სორბონის უნივერსიტეტში. შემდეგ მან იტალიაში, შვეიცარიაში, გერმანიაში, ინგლისში და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში იმოგზაურა. სამშობლოში დაბრუნდა არალეგალურად. მან სკდა ლიტერატურული მოღვაწეობის განახლება, მაგრამ ამაოდ. დააპატიმრეს და მეტეხის კახში დაამწყვდევს. პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ ხუთი წლით სამშობლოდან ვადასახლეს. პირველი მსოფლიო ომის წლებში მიხეილ ჯავახიშვილი წითელი ჯარის საზოგადოების რწმუნებულად მუშაობდა. ეს წლები მან გაატარა უმთავრესად სპარსეთსა და ოსმალეთში. ხშირმა დაპატიმრებამ და საზღვარგარედ ყოფნამ მიხეილ ჯავახიშვილი დიდი ხნით ჩამოაშორა სამწერლო მოღვაწეობას.

ქართული მწერლობის ასპარეზზე მიხეილ ჯავახიშვილი პირველად ჩვენი საუკუნის დამდეგს 1903 - 1904 წლებში გამოჩნდა. 23 - 24 წლის ახალგაზრდა მწერლის მოთხრობები: „ჩანჩორი“, „მეჩქემე გიბო“, „უპატრონი“, „ურკას ქორწილი“. ამ მოთხრობებმა მას მწერლის სახელი მოუტევექეს. ხანგრძლივი დამაშინებელი შემდეგ იგი სამწერლო ასპარეზს კვლავ დაუბრუნდა 1923 წელს. ამ წელს გამოაქვეყნა „ტყის კაცი“.

მკითხველთა ფართო წრე და ლიტერატურული კრიტიკა, აღფრთოვანებით და ერთსულოვანი მოწინაებით შეცვდა მას. ფართედ გაიზარდა მწერლის შემოქმედება და ამ შემოქმედების მოცულობა. მკირე ფორმის მოთხრობებს და ნოველებს მოჰყვა სქელტანიანი რომანების მთელი ცოკლი.

მიხეილ ჯავახიშვილის მიერ შექმნილ პირველ მხატვრულ სათავგადასავლო მხატვრულ ტილოს დედექტიური ეანრის



რომანი „კეპეჯანტრაძე“ წარმოადგენდა. მეორე სახელოვან რომანი წარმოადგენდა „ჯაყოს ხიზნება“, რომელიც საბჭოთა საქართველოს სინამდვილეს შეეხებოდა, თუ რა საზოგადოებრივი წინააღმდეგობები წარმოიშვა წიფელ არმიის მიერ დაპყრობილ საქართველოში. კომუნისტთან მიტმასნებული ელემენტები არღვევდნენ რა ქართულ ეროვნულ სულს, ეუფლებოდნენ მას, ღრღინდნენ მას და კვლავიდებურად დღესაც.

„ჯაყოს ხიზნება“ ერთაშად მოუხვეჭა მიხეილ ჯავახიშვილს პოპულარობა. ჯაყოს ტიპებს მთელი თავისი სიმძლავრით და უარყოფითი თვისებებით ვხვდებით სწორედ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ვასაბუბოვებულ საქართველოში მცირე როლს როდი თამაშობდნენ ჯაყოები.

ამ რომანს მოჰყვა „თეთრი საყვლო“, ხეცურების ყოფაცხოვრებიდან აღებული. შედეგი „გივი შადლი“ და სხვა. სხვებზე რომანებთან ერთად მწერალი ჰქმნიდა და აქვეყნებდა ქართული მხატვრული სიტყვის ისეთ შედეგებს როგორცაა „დამბაღი და ყაშა“. „მართალი აბღღა“ „ყბაში დაიგვიანა“, „ორი განაჩენი“, „პაპა დიძო“ „მუსსი“ და სხვა...

ქართული მხატვრული სიტყვის განუმეორებელ შედეგად უნდა ჩაითვალოს მისი ისტორიული რომანი „არსენა-მარაბდელი“. მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“ არის დიდი მხატვრული ისტორიული ტილო. მწერალი გასაუცარი ოსტატებით აღწერს ქართველი გლეხობის თავგანწირულ ბრძოლას პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისათვის.

„არსენა მარაბდელის“ დამახასიათებელია ის, რომ ისინი ცალკეული შემთხვევის გამო ვაბოროტებულ ადამიანები როდი არიან, არამედ ერთობლივად მებრძოლნი სწამოლოსათვის, უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ. ჭიბი მებრძოლი მამულიშვილები არიან, როცნელთა საგანი ბრძოლა პიროვნებისა და ერის, ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის. აქედან გამომდინარე მიხეილ ჯავახიშვილი დიდი ეროვნული მწერალია ქართული ეროვნული მეობსათვის დაუღალავი მებრძოლი.

ჩვენი სახელოვანი მწერლის კალამი შეგხო აგრეთვე 1905 წლის რევოლუციას. მწერალი ალფრთიჯანებული იყო 1905 წლის რევოლუციით, რადგან ამ რევოლუციის გამარჯვებით მიხეილ ჯავახიშვილი მიელოდა არა მარტო სოციალური საკითხების ვადაჭრას, არამედ მთავარი იყო ქართველი ინტელიგენციისათვის, როგორც ერის შეთავსებათვის ეროვნული საკითხის ვადაჭრა.

დიდი ილიას უკვდავი ლოზუნგი „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა ვკეუდნენს“ იყო მთავარი გამოსავალი წერტილი მიხეილ ჯავახიშვილისათვის. ეს იყო საბრძოლო ლოზუნგი იმ თაობა, რომელიც მე - 19 საუკუნის სამოცნიერ

წლებში გამოვიდა სამოქმედო ასპარეზზე დიდი ილია ჯავახიშვილის მეთაურობით. ამ თაობის იდეალიზტიკური კლასებად და წოდებად დაყოფილი საქართველოს მხატვრული საქართველო ეროვნულად გაერთიანებული, როგორც ერთი ოცობილი და შემომქმედი ორგანიზმი.

მიხეილ ჯავახიშვილმა, როგორც სხვა ქართველ მწერლებმა და პოეტებმა ვაგროლ ნარეკლით მოსილი გზა. მან ბევრჯერ იწენია „რაპსო“, პატრიოტ ქიქობებისა და ბუაჩიძეების ვესლიანი სიტყვები და უფრო მეტიც, მამინე. ი. ოცდაათიან წლებში მიზანში ამოიღეს ქართველ მწერალთა და პოეტთა გაერთიანება „არიფონის“ სახელობით. რომელშიც მიხეილ ჯავახიშვილის ერთად მონაწილეობდა შალვა დადიანი, ვალაქტიონ ტაბიძე, ვერონტი ქიქობე, ლეო ქიქელი, კოსტანტინე ჭიჭინაძე, ვასო გორგაძე, კონსტანტინე კაპანელი, დათო სულაშვილი, პეტრე ქავთრაძე, სიმონ მონშიაშვილი, ლავან მეტრეველი და ილია მოსაშვილი. ამ მწერალთა გაერთიანების, სასტიკად დაესხა თავს საქართველოს კომპარტიის ერთერთი ყრილობაზე ლაერენტი ბერი, და ბურჯუაზიული ნაციონალიზტური დაჯგუფება უწოდა რასაკვირველია ლაერენტი ბერი არ ჩამოიხრა ბენეფი ბუაჩიძე, რომელსაც ერთერთმა უპარტიო ძველმა მწერალმა „ლიტერატურული ჩეკა“ უწოდა.

1930 წელს „ზაკენივას“ გამომცემლობით გამოვიდა ბენიკო ბუაჩიძის წიგნი სახელწოდებით: „თანამედროვე ქართული ლიტერატურის გზები“ ქართულ და რუსულ ენაზე. ეს წიგნი არის არა ქართული ლიტერატურის ობიექტური განხილვა, არამედ დაბეზუბდა ხელისუფლების წინაშე ამა თუ იმ გამოჩენილი მწერლისა; პოეტისა და ხელოვანისა. არ იქნება ინტერესს მოკლებული ჩვენი მკითხველისათვის მოვიყვანოთ ზოგიერთი „თვალმარჯავიტიები“ ბუაჩიძის „ლექსიკონიდან“: გრიშაშვილის პოეზია არის „ბულვარშინი“ თავისი მოტივებით. ვალაქტიონ ტაბიძე წარმოადგენს დეკლასირებულ ინტელიგენციის პოეტს. ვალაქტიონ ტაბიძე გამოსულია წარად - ბურჯუაზიული დეკლასირი ინტელიგენციის წინააღმდეგ. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება რაიქიონურია და სასენებით მტრულად არის განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებით წინააღმდეგ. ტიტან ტაბიძე დაჯარვული სულის პოეტი, ხილო პაოლი იაშვილი სიმკერისათვის პოეტი, მას უნდა საქართველოს საზღვრების გაფართოება და ტრაპიზონზე ოცნებობს. ვიგოვოლ რომაქიძე მიდის ულტრა მემარჯველული გზით და მისი შემოქმედება მტრულია. რომაქიძის „გველი პურანგის“ გამოცემის დიდი აღტაცებით შეგხდა ბურჯუაზიული პრესა. პოეტი რაქვიენ გვეტაძე „იმპერიალისტური იდეოლოგიის პოეტი“ და მოჰყავს ვეტაძის შემდეგი სტრიქონები: „მთარეზე რომ



ეს ხომ პოეტური ფანტაზია და ფანტაზიის ვაგონზე პოეზია არ არსებობს, რადგან პოეზია გრძნობაა ხალასი.

ლექსი პოეტის მიერ შექმნილი გარკვეული ოსტატობაა.

„მიხეილ ჯავახიშვილი თავისი შემოქმედებით კულა-კური მწერალია“ ო. ამას სწერს ბაგონი ბენიტო ბუაჩიძე, იმ დროს, როცა სოფლად მამდინარეობდა ძალდატანებითი მთლიანი კოლექტივისაცაი, რომლის ცხოვრებაში ვატარებებს ეწირებოდა ქართული მშრომელი გლეხობის დღედი უმწველესობა. ამას როგორ ჯერდებდა ეს გარეყარი და განაგრძობს: „მიხეილ ჯავახიშვილი „თეთრ საყელოში“ ხეცურული ყოფაცხოვრება გააიდილაო“. განა ამისთვის უნდა მოეღოს ბოლო დამაინანის სიცოცხლეს?

ვან - ვაქ რუსო ცივილიზაციას უარპოვებდა და ბუნების კულტს აღმოფრებდა, მაგრამ არავის აუყვანია იგი ეშა-ფოტზე. განა პოეტი ჰაინრიხ ჰაინეს „ლორეალია“, გაი-დილაღებული ბუნების შვილითა აღმაფრენა არ არის? ამბო-ტომ ჰაინეც ეშაფოტზე უნდა აეყვანათ?

ბოლშევიკებს ყოველთვის და ყველაფერში ჩვევით „ექსპერიმენტები“, და სწორით ასეთი ექსპერიმენტთა-განია ცუკას დაღვენილება მწერლების მუშათ გაწვევის შესახებ, ე. ი. მწერლობის „გაფუშურება“. ამ მიზნით ამა თო იმ წარმოებას, ფაბრიკას თუ ქარხანას პირდაპირ ეძლეოდა ვგებმა თუ რამდენი მუშა უნდა გაეწვია მწერლო-ბაში. ამ მხრივ ყველაზე „ბედნიერება“ ხელა წოლად გა-ხეთ „კომუნისტის“ სტამბას. აქ დრამატურგად „გაიწვი-ეს“ ვილც მუშა იაშვილი, რომელმაც ჩვენს დრამატურ-გის „შესქმნა“ პიესა „მოხუცი ნერვუზისტი“. ეს პიესა დაჰადგმულად გადასცეს კოტე ვარჯანიშვილის თეატრს. პიესა თეატრმა „დიდი სიამოვნებით“ მიიღო, მაგრამ რა მოხდა? ორი თვის შემდეგ ხსენებული პიესა ჩამოვიდა სცენიდან. ასეთ გაწვევას ებრძოდა მთელი თავისა კოლ-ნოთა და ენერგიით მიხეილ ჯავახიშვილი. მოვიყვანოთ ამის შესახებ მწერალი არჩილ ჩაჩიბაიას მოგონებებიდან შემდეგი სიტყვები: „პირველად მომიხდა მასთან (მიხეილ ჯავახიშვილთან) საქმიანი საუბარი. ეს იმ წლებში იყო, როდესაც მწერლების ქარხნებზე მიმარება და მუშათა როგვებიდან მწერლობაში დამწყები მწერლების გაწვევა ერთ - ერთ მთავარ ღონისძიებად იყო მიჩნეული. მაშინ თბილისის 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში მიმარე-ბული ვიყავით მიხეილ ჯავახიშვილს, ნიკო ლორთქიფა-ნიძე, გიორგი ნატროშვილი და მე.

მიხეილ ჯავახიშვილმა მიიხრა: „ისე კი უნდა გითხრა ამ გაწვევიდან არაფერი გამოვა. გაწვევა ჯარში გამოგო-ნია, მაგრამ მწერლობაში გეთაყვა, კი არა!

მიხეილ ჯავახიშვილი როგორც ჭეშმარიტი ქართველი მწერალი, ქართული სიტყვის დიდი ოსტატი, ყოველთვის სადარაჯოზე ედვა ქართული ენის სიმწინდის საქმეს და

არავის მისცემდა ნებას დაემახინჯებია ერის გროველ მეობის სავანძური.

მწერალი არჩილ ჩაჩიბაია განაგრძობს: „სახეობის მი-ვიყავით ქართული ცხარე ლაპარაკი შემოგვეცმა: ორი პწ-წვილი კედელთან დამდგარნი ერთმანეთს სიტყვას არ უ-მოზღნდნ. მის სახეზე გაოცება და წყენა შევნიშნე.

— შენმა მზემ, ინსტრუმენტი ვე გაგირჩევია და უდარნი-და მსტერი გინდა ვახსო? სტანოზე ვინტე ვერ მოგო-რია და მაღალი რაზორები გინდა მიიღო?..

მიხეილი მთაყენ მტრიალდა. ყმაწვილები თავისკე-მოიხმო. ვინაობა გამოკითხა და მერე გულსისმიერ-განუშარტა ქართული ენის დაუმახინჯებლად თუ როგო-უნდა ელაპარაკად. ისინი დარცხვენდონი სწრაფად მო-ეშორებოდნ... შემდეგ ქარხნის ადმინისტრაციასთან წავე-დიოთ...

— გეთაყვა, კარგი იქნება, ქარხანაში ქართული ენის სწ-მინდის დაცვა - უთხრა ქარხნის ხელმძღვანელობას, მიხე-ილ ჯავახიშვილმა.“ (იხილეთ არჩილ ჩაჩიბაიას „წერილ-ბი სამხასოვროდ“. ლიტერატურული გახთვის 1962 წლის იანვრის მე - 4 ნომერში, ტფილისი).

მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით მასალების ძებნის დროს, ჟურნალ „კავკას-სიონის“ 1978 წლის მე - 18 ნომერში წრავიკითხე ჩვენს დიდი მწერლისა და მოახლოენის გრიგოლ რობაქიძის სტატია: მიხეილ ჯავახიშვილი. ამ სტატიათს დართულ აქვს მიხეილ ქავთარაძის მისწრებული შენიშვნა.

გრიგოლ რობაქიძის წერილი მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ, რომელიც ამ ნომერში იბეჭდებდა, აღმოჩნდა ვიქ-ტორ ნოზაძის არქივში - „კავკასიონის“ მასალებში. წე-რილი რამდენიმე წლის წინად არის დაწერილი და ვიქ-ტორ ნოზაძეს ტყუობა გვერდზე გადაუღვია - მისი დაბე-ჭვდა სპოკუნებად მიიჩნეოდა, ბრძანებს მიხეილ ქავთარაძე.

ალბად პატეცემულ მიხეილ ქავთარაძეს გამოჩრა მხე-დველობიდან ის, რომ ეს „აღმოჩენილი“ სტატია გრიგოლ რობაქიძისა დაბეჭდილია ჟურნალ „ბედი ქართლისა“ 1953 წლის მე - 15 ნომერში, რედაქციის მიერ ყოველ-გვარი შენიშვნის გარეშე.

იქ საქართველოში ყურები გამოგვიჭედეს იმით, რომ ქართველი მწერლები ვანიცილიან მაქსიმ გორკის ვავლ-ნასო. ლიტერატურის კრიტიკოსი ვლადიმერ ჯიბუტე დამაჯერებლად სწერს: მაქსიმ გორკის უყვდავმა ქმნილ-ებებმა მისმა იდეურ - ესთეტიკურმა კონცეფციამ დიდი ვავლენა მოახდინა ქართულ ლიტერატურულ აზროვნება-ზეო.

საწყალ ქართველ მწერალს თუ პოეტს არც წარსულში არც ეხლა ისე არ ვადაუღვამს ნაბიჯი, რომ არ ყოფილი-ყოს მაქსიმ გორკის და მიაიკოსკის ვავლენის ქვეშ. მოსჩინდა მამაცი მხედრობა ქართული“ - ო.



იქ საქართველოში ცენტრისა და „მშობლიურ“ პარტიის სრძანებით უნდა სწერონ ისე, თორემ იდეოლოგიურად საფრინასა და ნაციონალიზმ - შოვინიზმს მოგაწერენ, მაგრამ აქ, საფრანგეთში, თავისუფალ ქვეყანაში, რად დასჭირდა ისიც გრაგოლ რობაქიძის მიხილ ჯავახიშვილისათვის დაეხშო საუთარი სავალი გზა და მაქსიმ გორკის გავლენის ქვეშ მოექცა. ხსენებულ სტატიაში გრიკოლ რობაქიძე სამჯერ მაინც ახსენებს მაქსიმ გორკის ჯეღენას, მაგრამ არ ამბობს და არც სწერს თუ მიხილ ჯავახიშვილის რომელ ნაწარმოებზე არის გორკის გავლენა. ამას ვერც დაწერდა, რადგან მიხილ ჯავახიშვილს არავითარი გავლენა არ ჰქონდა მაქსიმ გორკისა.

ცამდის მართალია მიხილ ქავთარაძე, როცა წერს: „გორკის გავლენა ჯავახიშვილზე! საიდან - სადამ? გორკი იწება დიდი მწერალია, მაგრამ ჯავახიშვილის მასთან არავითარი აქვს საერთო. თუ გავლენაზე სიტყვა ჩამოვარდება, მაშინ ისეც, ფრანგული გავლენა უნდა ვიგულისხმო“.

ლიტერატურის კრიტიკოსი ბესო ელენტი „დადასტურებს“, რომ რუსული მწერლობა ჩვენს ეროვნულ მწერლობათა შორის ყველაზე მძლავრი და ყველაზე მდიდარი მწერლობა - უაღრესად ნაყოფიერსა და მრავალმხრივ ზემოქმედებას ახდენს ყოველ სამკოთხე ეროვნულ მწერლობაზე“.

არ გვეგონა ამაზე მეტი მლიქვნელობა თუ შეიძლება და არც ის ეგვეგონა, რომ ამგვარი ყალბი გამოთქმა ვაიხიზაროს რომელიმე ობიექტიურად მოაზროვნე რუსმა მწერალმა თუ კრიტიკოსმა. თუ სიმდიდრეზე ლაპარაკი მაშინ ქართული მწერლობა უძველესია და მდიდარია ამ შემთხვევაში. ამას არ უარპყოდდა რეველეტივად რუსეთის

მეცნიერებთა აკადემიაც კი. ამ ქეშმარიტებას უარპყოდს მხოლოდ ქართველი კრიტიკოსი ბესო ელენტი. **საქართველოს მწერთა კავშირი**
ჩვენ ვიტყვილთ ქართული მწერლობა მოკიდებულია მე - 5 საუკუნიდან დღემდე ეროვნული დამოუკიდებელი გზით ვითარდებოდა. მისი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ხნის განმავლობაში გზად ის ხედებოდა ბერძნულსა სპარსულს, არაბულს, შემდეგ ევროპულ მწერლობას და რუსულსაც, მაგრამ ის იყო მაინც ყოველთვის ეროვნული: და არ ყოფილა იგი არც სპარსული, არც ბერძნული, არც გერმანული, არც ფრანგული, არც ინგლისური და მით უფრო არ ყოფილა იგი არც რუსული. იგი ყოველთვის ქართული იყო.

მიხილ ჯავახიშვილმა თავისი ნაწარმოებთ დიდი განხი შეიტანა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. მიხილ ჯავახიშვილი, ქართული მიწის მწერალია. დიას, ამ მიწამ შემოგვიანხა ჩვენი ეროვნული მეობა, ქართული სული.

მიხილ ჯავახიშვილის მოთხრობები ნოველები, რომანები მკითხველს აჯადოებს თავის ფერების სიუხვით. შეიძლება მიხილ ჯავახიშვილი სიკვდილში უფრო ამაღლდა, როგორც დიდი ილია.

„უა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზენე ჭკინისა“.

მართალია მიხილ ჯავახიშვილი ფიზიკურად განადგურებული, წამებული მწერალია, მაგრამ ისიც ბედნიერებაა, რომ მისი სახელის ხსენება შეიძლება და მისი უკვდავი შემოქმედების დაბეჭდვა და გამოქვეყნება ნებადართულია.

მინდია ლაშაური.

იანვარი, 1980 წ. მიუნხენი.

რედაქციის შენიშვნა: ბატონ ლაშაურის მითითება მართალია. „ბედი ქართლისა“ - ში დაბეჭდილი გ. რობაქიძის წერილი არავის მოპოვნებია - ყველას დავიწყებული ჰქონია. მაგრამ ახლა როცა ორ წერილს ერთმანეთს შეადარებთ მიხედვით, რომ ასლებთან არა გავტე საქმე: მეორე

წერილი პირველის შეცვლილი ვარიანტია. ტექსტია აქა - იქ შესწორებულია და რაც მოხვარია მეორე წერილს ოცი ახალი სტრიქონი აქვს დამატებული. ამ წერილის დედანი თვით გრიგოლ რობაქიძის ხელით დაწერილი ეურჩულ „კავკასიონი“ - ს არქივში ინახება.



მზვარის წურბელნი სრიალებენ ლალის პეშვებით.
ყარამფილს აბნევეს მზის ტვეერების ნელი კალმასი.
ყვითელ აღმურში იღეწება თეთრი აღმასი.
მიწის მკერდები აღებს სეამენ აზარფეშებით.

ცხელ ნირვანაში მოთენთალი მძიმედ ვეშვებით:
ვით მდინარეში შეძირული ნელი კალასი,
ხელები ეინი აღესილი ქარვის კალასი!
დიდი შუაღლის ავხორცობით დავიგეშებით.

მწიფე მარცვლები ცვივა ხეატის გამსკდარ ბროწულს.
თვლემის ბადეში აზმორბენ ყველა რიტმები.
ნათელი ჩქური ერთვის ვენებით სიერცის ძოწულს.

ღვთის სიახლოვით მეწამულნი: ვიწვით: ვითრებით.
რახსებ—შემბული ტყდება პანის სპილენძის კევირი
და სიყვარულის ბნენდას გეყარის მზის ავი ტვერი.

გრიგოლ რობაქიძე

შპოსანი

შეღარება

როგორც პოეზიის სხეული.

როგორც რითმების კონცერტი.

როგორც სიტყვა სტრიქონების ძარღვებში მომღელევარე.

როგორც გულის საყრობილეში მიტრეებულ სიყვარული.

როგორც სარკეში დამსხვრეული ქალის სხეული და

თეთრ ზეწარში გახვეული სულის მკვლელობა,

ისე მიტქერის ატომისა და ნოტრონის შიშით

ისერმოგრეხილი კაცობრიობა.

პარიზი 1981 წ.

საბსალწლო



შობას ვილოცავ ჩემო სამშობლო,
გულში მიზიხარ ვით საღმრთო რჯული,
შენი მხნეობა - შენი მზეობა
ჩემი სიციხების არის მსაჯული.



გთხოვ მაპატიო თუ რამ შეგცოდე,
როგორც მშობელო ქართლის დედისა,
დედათ - დედავო! ქართველ დედათა!
შენთან სიყვილი თუ არ მეღირსა.

პარიზი 1980

ღრუბლები გადაიხვეტა
მზიური სხივთა ცოცხით,
ჩამიცვამს ლურჯი ფარაჯა,
ღმერთს ვევეღრები ლოცვით.

ვდგავარ სიციხის დარაჯად
კისა და მიწის კაცი,
ღმერთო მომეცი მზეგრძელი
და ფერთაწერის ცარცი.

გულში ჩავიდვა მთები და
თავზე ვახურო ზეცა,
მწვანე და ლურჯი ფერები
გარეულებიღნენ მზესა.

ვარდ - ყვავილების ტილოზე
ლექსთა სიტყვების დაცვით,
ვხატო სულისა ხატებად,
თესვა - ხარება მარცვლის.

გონის და გულის ნაყოფი,
ნაყოფი ღვთიურ განცდის,
წმინდანთა სულის სამყარო -
ჩვენება პირველ ჯვარცმის.

თეთრის და შავის თმაში,
კალამი ყალმის მსგავსი,
გული ფერების საუნჯე
მლეღვარე სისხლის თასი.

გ. უიფიანი

ვეფხისტყაოსნის ღვაწლქები

1. ზოგადი მიმოხილვა

ალექსანდრე მანველიშვილი

ვეფხისტყაოსნის ენობრივი შესწავლა უცხოეთში. ადგილი საქმე არ არის, რადგან ის მოიძიოვს უამრავი მასალის წინასწარ გათვალისწინებით. რასაც აქ მოკლებულნი ვართ, მიუხედავად ამისა დამკმაყოფილებით ჩვენს ხელში ჩაიჭრა მცირე მასალით და გადასწავლიტეთ ჩვენი დაკვირვებით გაგვიზარბადა ქართული მეთოდებისათვის.

ამ მხრივ დიდი მასშტაბური გავივიწია შოთა ძიძგურის შრომამ: „ძიძგბანი ქართული დიალექტოლოგიიდან“ და ვერეთე იმ მასალებმა რომელიც გამოაქვეყნეს. ვ. თოდუაძემ, ი. გვიგინიშვილმა და ი. ქავთაძემ „ქართული დიალექტოლოგიის“ პირველი ტომის სახით. ან და კიდევ სხვა მასალებით ემხელძღვანელობდით დიალექტთა შესწავლისათვის ვეფხისტყაოსნისათვის დაპირისპირებაში.

ჩვენი დაკვირვებები უკვე ვადატანებ ვეგონდა ქალაქებზე, როდესაც გამოვიდა მიხ. წერეთლის მიერ აღდგენილი ტექსტი ვეფხისტყაოსნისა. მიხ. წერეთელმა რუსთაველისად არ სცნო სულ 442 სტროფი, 1669 სტროფიდან. ს. ინგოროყვანს 1953წ. გამოცემის მიხედვით.) ამან მღვრილი საფუძვლი გავევირთლა იმით რომ, ის ტექსტი, რომელიც იყო ჩვენი დაკვირვების საგანი, ჰკარგავს ერთ მეოთხედს, (სუ. რასაკვირვებელია მ. წერეთლის მტკიცება სწორი აღმოჩნდა). რა კი ვ. წერეთლის მტკიცებით ამ ჩამატებაში მთავარი ნაწილის ავტორი ყოფილა „ვინმე მესხი“, როგორც თვითონ უწოდებს თავს ავტორი უნდა ვივულის სხვით რომ მესხის ნაწერებში ადვილად დადასტურდებოდა მესხური დიალექტის ნიშნები.

და მაშინადაც შეიძლება ის ჩვენ მიგვეწერა რუსთაველისათვის. მაგრამ სულ მალე დაიწყო უნდით რომ ამ მოვლენამ არა მარტო არ შევიკვირა ხელი, პირიქით დავეუბნა ვინმე მესხისად ცნობილ ადგილებს „შედადებაში“ რუსთაველის ძირითად ტექსტთან. რაც ერთხანით ენობრივი მოვლენებით ხასიათდება.

როგორც ცნობილია, ვეფხისტყაოსნის მკვლევართა ურალდება თვითდაცნვე რამოდენიმე საკითხმა მიიპყრო. აქედან ზოგი, მთავარ ხაზებში გადაწვევტილად უნდა ჩაითვალოს, როგორც მავალითი ვეფხისტყაოსნის: ორიგინალობა და მისი დაწერის დრო. ერთი ასეთი საკითხთაგანი იყო ავტორის ენობა, რომლის გამოსაყვევად დიდი შრომა იყო გაწეული და საკითხი მაინც საბოლოოდ გადაუწყვეტელი დარჩა. რადგან აქამდე ვეფხისტყაოსნის ავტორის ენობაზე არავითარი პირდაპირი ცნობა არ აღმოჩნდა.

ერთად ერთი რაც ჩვენ დღეს ვიცით და ამაზე არცინ დაკვობ, ეს არის ის, რომ ავტორი ატარებდა „რუსთაველის“ შერქმულ გვარს, როგორც მჩვენებელს მისი საფლობელის. მის სახელად კი შოთას ასახელებენ. აღორძინების ხანის მწერლები და ხალხური ტრადიციაც მას შოთა რუსთაველს უწოდებს.

რაკი „რუსთაველი“ რალც რეზიდანციის მჩვენებელია, აქედანვე დაიწყო ძიება მისი სადაურობის საკითხისა. დასახლებულია უმთავრესად ორი რუსთაველი: მესხეთისა და ჰერეთის. (თუ კუხეთისა!) როგორც აღვნიშნე ისტორიული საბუთები არ მოგვეპოვება. არსებობს მხოლოდ გადმოცემები მთელი რიგი და ტრადიცია, მხოლოდ რუსთაველის მესხობაზე.

ზოგმა მკვლევარმა უარჰყო ეს ტრადიცია, რომელიც მათის ზრით დამყარებულა ვეფხისტყაოსნისა ერთი ადგილის ყალბ წყაივებაზე.

ვეფხისტყაოსნის ბოლოში ვკითხულობთ:

„წერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთაველისა დაბისა“.

ეს ადგილი არ მიანიათ რუსთაველისად, რომ ის მესხე პირის მიერ არის მიწერილი და რომ „დაბისას“ მაგიერ უნდა იყოს „რუსთაველისა ამისა“ და სხვა. ზღნაწერებშიც ეს ბოლო სხვა და სხვანაირად არის გამოთქმული: დაბისა, თემისა, ამისად და ამას კიდევ ს. კავაძემ დაუმატა: „დამისა“ რაც თურქულად ნიშნავს აგრეთვე „თემისა“ და სხ. ყველა ამ საქმეში ჩვენთვის ის არის საინტერესო, რომ რუსთაველს არ მესხობის მომხრენი აცხადებენ, რომ აღნიშნული ვინმე მესხის ადგილის ყალბად წყაივებზე შექმნა რუსთაველის მესხობის ტრადიცია.

ეს დებულება რომ სწორი იყოს, მაშინ გადმოცემებს და ტრადიციას რუსთაველის მესხობის შესახებ ძალა ეკარგებათ. მაგრამ რა შემთხვევაში იყო შესაძლებელი მომხდარიყო ასეთი რამ და თუ ეს საზოგადოდ შესაძლებელი იყო! ავტორები ვინმე მესხის დროს თავსებენ მე 14 და მე - 16 - ე საუკუნეთა შორის. ზემოდ აღნიშნული თეორიის მიხედვით ვივულისსხვით, რომ ვინმე მესხის მოვლენამდ საქართველოში აღარ არსებობდა არც ისტორიული ცნობები რუსთაველზე, და არც რაიმე ტრადიცია. ხოლო როდესაც გარდა ვინმე მესხის ჩანართი, ხალხმა ის უცხად გააყალბა და რუსთაველის მესხობის ტრადიციაც ამაზე აშენდა!

ამევე დროს რუსთაველის ჰერეთელობის ავტორებმა ვერ შესძლეს სერიოზული საბუთების წარმოდგენა და



უფრო ზომიერმა მკვლევარებმა არჩიეს საკითხის ღიად დატოვება.

ამ საკითხებზე ჩვენ არ შეეჩერდებით, ეს მკითხველისათვის ცნობილია, ხოლო მოკლედ ჩვენს მოსაზრებას გამოვსთქვათ.

ჯერ შევაფასოთ ის დებულება, თითქოს რუსთაველის მესხობის ტრადიცია წარმოიშვა ვინმე მესხის ადგილის ყალბი წყაითვისაგან.

შეიძლება თუ არა „ვინმე მესხის“ ჩამატების (თუ რა საკვირველია ეს დამტკიცდა) ნიადაგზე შექმნილიყო რუსთაველის მესხობის ტრადიცია და ყველა ის გადმოცემები, რომელსაც დღეს ჩვენ ვიცნობთ და რატომ უშთაურესად მესტყვი? ამ საკითხზე სწორი პასუხი ბევრ რამეს გამოარჩევს.

ორი პირობა იყო საჭირო რომ იონმე მესხის ჩამატება გამბთარიყო ბაზად რუსთაველის მესხობის ტრადიციისა. პირველი ის, რომ ვინმე მესხის ჩამატება პირველი დღიდანვე უნდა გაეცალბებიათ ვადამწერებს და ასე მიეწოდებინათ მკითხველისათვის. ამ საუქნოებში ჩვენი მკითხველი საზოგადოება იყო ვიწრო მწიგნობართა წრე და ვანა შესაძლებელია ვერ შეენიშნათ ასეთი გაყალბება მის თანამედროვე თუ შემდეგ მწერლებს, როგორც იყვნენ: საბაშვილი, არჩილი, თეიმურაზი და მრავალი სხვანი? გაყალბებას ასეთი ვასაქანი ვერ მიეცემოდა, რადგან მაშინ ალბად კიდევ არსებობდა ნამდვილი ცნობა რუსთაველზე.

თუ ეს გაყალბება გულისხმობდა რუსთაველის „გამეხსიებას“ ხოლო ამაზე ხმა არავის ამოუღია, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ რუსთაველის მესხობის ტრადიცია უკვე არსებობდა და შედაგება ზედმეტი იქნებოდა.

მეორე, ვანა დასაშვებია რომ ვინმე მესხის მოვლენამდე საქართველოში ასე პირფინდად ვამქრალიყო კვალი რუსთაველის ვინაობის შესახებ? ჩვენ ვფიქრობთ რომ ამის დაშვება შეუძლებელია, ვანსაკუთრებით ისეთი პირობის მიმართ როგორც მავალითად დავგინებთ პ. ინგორაცვამ. მაშ ვინმე მესხის ჩამატება უნდა ვაყალბებულოყო არსებულ ტრადიციასთან დაპირისპირებაში. ე. ი. თუ არსებული ტრადიცია შოთას მესხობის წინააღმდეგი იყო, ვინმე მესხის ჩამატებას ვერ ეს ტრადიცია უნდა ვაყალბებინა და მერე შეექმნა ახალი, მესხობის ტრადიცია. მაგრამ რანაირად შეიძლება ასეთ მნიშვნელოვან მოვლენას მე - 16 - 17 საუკუნის მწერლობაში ასე ჩუმად ჩაეკეთ. ხოლო ეს ჩინოვე შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ ვინმე მესხამდე არსებული ტრადიცია იყო შოთას მესხობის სასარგებლოდ და ამითვე ადვილდება იმის ვაგება, ვინმე მესხის ადგილის ვაყალბება მოხდა და ვამატებდა ხალხის რწმენაში და მას არც არავინ შეებრძოლებოდა, რადგან ის მხოლოდ ადასტურებდა არსებულ ტრადიციას.

ამგვარად სრულიად ლოლიკურია, რომ რუსთაველ მესხობის ტრადიცია ვინმე მესხის ჩამატებით ვაყალბებეს კი არ აშენდა, არამედ თვით რუსთაველის მესხობის ტრადიცია მოითხოვა ვინმე მესხის ყალბად წყაითვისა და ის ვაქტია, რომ ამგვარ წყაითვისას ხალხი ადვილად შეტრგა.

რომ რუსთაველის მესხობის ტრადიცია წინ უსწრებ ვინმე მესხის მოვლენას, ამას ის ვარემოებაც ამტკიცებ რომ ვინმე მესხის დროიდანვე თუ კოტა ვეიან, ეს ტრადიცია ვამოკლებული იყო ქართულ მწერლობაში. მაგ: სურპოპინ საბაშვილის „ვაბასტავაში“ უკვე მოხსენებულია ი და კეკელიძის ანგარიშით ეს მწერალი ეკუთვნის მე - 16 საუკუნის დასაწყისს, და ამაზე ი. მეგრელიძეც დასტურებს: „როგორც არ უნდა იყოს, ხალხური ვადმოკციის ზემოხსენებულმა ცნობამ ჰპოვა თვისი ვამოხსენებულება 500 400 წლის შემდეგ ლიტერატურაში“ („რუსთაველი და ფოლკლორი“).

რუსთაველის და თეიმურაზის შედარების დროს არჩილიც ხალხურ ვადმოკციებს ვეყარებოდა. ისე როგორც ნანურა ციციშვილი, ი. სააკაძე და სხვანი. ეს ტრადიცია ვრძელდებოდა ბოლომდე, როგორც მწერლობაში ისე მოწინავე საზოგადოებაში და თვით სამეფო ოჯახშიც. ვ. არბელიანი აღნიშნავს რომ თვალე ბატონიშვილიც ვა ხშირად ვაუგია, რომ მეფის სასახლოში ვაბატონებული ყოფილა ძველი ვადმოკცვა შოთას მესხობის შესახებ (იხ. მეგრელიძის ცნობა). ერთად ერთ ვაუვებრობას ვინმე თეიმურაზ ბატონიშვილის ვადმოკცვა, რის წამინავლება ვაქამდე უტნობად რჩება.

ყველა ამ ამბების ვათვალისწინების შემდეგ, დაუჯერებელია, რომ მიიღეს ჩვენ კულტურულ საზოგადოებას ან სკოლანაირ ან ვინმე მესხის სიყალბე ან მიითუნტეს მისი ყალბად წყაითვისა. ეს ხალხი უდავოდ ვეყარებოდა თუ არა ჩვენამდე მოუღწეველ რაიმე საბუთს, ხალხში ვენახულ ვადმოკცვათ მაინც.

ან ის ვარემოება რომ აიხსენება, რომ რუსთაველზე ვადმოკციების დიდი ნაწილი მოდის სწორედ მესხეთზე? ამავე დროს არც ერთი შენახულა რუსთაველის ჰერეთოლობის სასარგებლოდ. ნუ თუ ჰერეთის მოსახლეობაში ასე ვაქრა კვალი მისი დიდებული შვილის შესახებ, მაგრამ ერთი თქმულებაც არ შეიქმნა?!

ვადმოკცმას, ტრადიციას მუდამ აქვს რალაც ცოცხალი ძირი. რომ რუსთაველის მესხობის ტრადიცია აღმოცენებული ყოფილიყო ყალბ ნიადაგზე. შეუძლებელია მას საქართველოს რომელიმე კუთხეში მაინც არ დაპირისპირებოდა საწინააღმდეგო ვადმოკცვა. რასაც ჩვენ არ ვიცნობთ. და რატომ არ შეიძლება პირველი ასეთი რომ მომბთარიყო სწორედ ჰერეთში. ვანა ვინმე მესხის მოვლენამდე თვით რუსთაველის სამომბლოში ამ დიდ ადამიანსეც ერთი თქმულებაც არ შეითხზა! სალი ვონებისათვის ესეც დაუჯერებელია.



ჩვენ ვფიქრობთ რომ რუსთაველის შესახებ გადმოცემები ძველი წარმოსახვისა და მათ დიდი ანგარიში უნდა გავიროს და ამაზე ი. მეგრელიძემ ერთი მეტად საინტერესო შრომა გამოაქვეყნა.

თანამედროვე კვლევებიმ სრულიად უარაპყობს პ. ინგოროვას დებულებებს, რუსთაველის პერეთის რუსთაველიან წარმოსახვების შესახებ.

ასეთ მდგომარეობაში, განსაკუთრებულ ისტორიულ წყაროებს მოკლებულნი, ვფიქრობთ, რომ საკითხის გამოსარკვევად გვჩნება ერთი ნაღდი საბუთი: ეს არის იგივე ვეფხისტყაოსნის ენა. იქნებ ტექსტში მოიხსენიოს ავტორის დიალექტური მოვლენები, სწორედ მისთვის დახასიათებელი.

სანამ ეს დამტკიცებენ შექსავალი არ იყო. საქმე ძნელი იყო და ამიტომაც ძველი მკვლევარები მიიღეს რიგ ბოლოებში ვერ ერკვიოდნენ, დღეს ეს შესაძლებელია და ამ გვარი ცდა უნაყოფო არ იქნებოდა.

ენა, ამ შემთხვევაში ვეფხისტყაოსნისა, არის ცოცხალი ფაქტი. მაგრამ დაბრკოლებები აქაც გვხვდება. პირველი ის არის რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტმა ჩვენამდე ისე არ ჰაღწია, როგორც ის გამოვიდა ავტორის ხელიდან. მან ატუნტუნა განმარტობაში განაცადა ცვლილებები, ტექსტში უთუოდ ბევრი ადგილია დამახინჯებული. ზოგი ისწორებული, ზოგი ჩამატებული და შეიძლება გამოკლებულიც. ამ დაბრკოლებების გადალახვა შეიძლება. ვეფხისტყაოსნის ტექსტი დიდად და მასში ძირითად ფუნქციონალურ ნაწილებში უნდა შესწავლა. ფორხილი მიდრეკილი აღნიშნული მიზეზების გამო მოსალოდნელი შეცდომების თავიდან აცილება შეიძლება.

შემდეგი დაბრკოლება ის უნდა იყოს, რომ რუსთაველის ტექსტშიც შესაძლებლად საჭირო იქნებოდა ისტორიული დიალექტის ცოდნა. მე ვფიქრობ, რომ ამ დაბრკოლების გადალახვაც შეიძლება ნაწილობრივ ძველი ტექსტებით და ამავე დროს ვფიქრობ რომ რუსთაველის შემდეგ მოსალოდნელი არ არის დიალექტთა ძირეული გარდაქმნა.

და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისეთ ვრცელ ნაწერებში, როგორც ვეფხისტყაოსნისა და რომელიც შეიცავს ენის ყველა მოვლენას, შეუძლებელია არ აღმოჩნდეს ჩვენთვის საინტერესო რამ.

როგორც ყოველი ადამიანი, რუსთაველიც ერთ მხარეში დაბნა და ერთ რომელიმე ენობრივ ნიადაგზე აღიზარდა. მას უთუოდ სიყრმიდანვე შეთვისებული ექნებოდა თავისი აღმზრდელი მხარის დიალექტი. შემდეგ ის ვაივსო ასაკითა და განათლებით და უთუოდ დაეუფლა თავისი დროის ლიტერატურულ ანუ სამწერლო ენას. ძველი წარმოსადგენია იმ დროინდელ ლიტერატურულ ენის ისეთი ჩამოყალიბება რომ წერაღას, თუნდაც რუსთაველიონსა გენიოსს შესძლებოდა დიალექტის გავლენისაგან თავის დაღწევა?

ამ ეთიხაზე პასუხის გაცემამდე უნდა გავიხსენოთ არ ჩიქობავას ერთი შრომა, როგორც ბიბლიოგრაფიული მასალისათვის შევიტყობ, 1938 წელს „ენისმიც“ მაშინვე არ, ჩიქობავას გამოუქვეყნებია შრომა: „დიალექტიზმის საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში“. ეს არის ერთად ერთი შრომა აღნიშნულ საკითხზე, რომლის შესახებ ცნობამ ჩვენამდე მოაღწია, ეს შრომა სამშუხაროდ დღემდე ვერ გავიციანთ და აქ გვინდა დავეყაროთ გაიზო იმედაშვილის „რუსთაველილოგიური ლიტერატურა“ - ში მოყვანილ მოკლე შენარსს, იმ იმედით, რომ გადმოცემა ერთ გულად არის შესრულებული.

არ, ჩიქობავა ვეფხისტყაოსანში ხედავს, როგორც აღმოსავლურ ისე დასავლურ დიალექტურ მოვლენებს. ამ დებულებას ჩვენ არა მარტო ვიზიარებთ, ეს არის გამოსავალი წერტილი ჩვენი დებულებისა.

არ, ჩიქობავას მეორე დებულება: რუსთაველის დიალექტიზმები არ ეკუთვნიან ვეფხისტყაოსანს და მის ავტორს, არამედ ისინი არიან ძველი ქართლის სალიტერატურო ნორმები. თუ არაა სწორად არის გადმოცემული, ჩვენ ის ასე ვაგვიტყვ: ის რაც ვეფხისტყაოსანში დღეს დიალექტიზმებით გვეჩვენება, ყოფილა ნორმებად მეთორმეტე საუკუნის ლიტერატურულ ენისა. ამ დებულებას ეჭრ გავიხსენებთ. ამას ეწინააღმდეგება იმავე ჩიქობავას განცხადება. როდესაც ამბობს რომ რუსთაველისათვის უფრო დამახასიათებელია აღმოსავლური დიალექტიზმები. ან და მისივე აზრი, რომ „რუსთაველი სწერს იმ დროინდელი ენით და თავისი კუთხის მეტყველების გავლენისაგან თავისუფალი“ (იმედაშვილის გადმოცემა).

აქ ჩვენ ერთგვარ წინააღმდეგობას ვხედავთ. რადგან თუ რუსთაველი საზოგადოდ თავისუფალი იყო კუთხურ მეტყველების გავლენისაგან, მაშინ რანაირად შეიძლება ლაპარაკი ვეფხისტყაოსნის დიალექტიზმებზე საზოგადოდ, და კერძოდ მასში აღმოსავლურ და დასავლურ მოვლენათა შემჩნევაზე?

ვეფხისტყაოსნის ენის ასეთი დაფასება სწორი არ უნდა იყოს. შეუძლებელია ვფიქროთ რომ ვეფხისტყაოსანში არ იყოს თუნდაც გაპარული ნამდვილი დიალექტიზმები. სწორედ რუსთაველის დროსა, რუსთაველის ლიტერატურული ფორმების პარალელურად, ვეფხისტყაოსანზე დაკვირვება ადასტურებს ამ დებულებას. რუსთაველი ხშირად ხმარობს ერთ და იგივე მოვლენის ორივე ფორმას, ლიტერატურულს და დიალექტურს. თუ დავა შეიძლება ისეთ მოვლენებზე. რომელნიც ერთი ფორმით იხმარებიან. გაუგებარა იქნებოდა მათი ორი ფორმით ხმარება დიალექტიზმების არსებობის აღიარების გარეშე.

ასე რომ რუსთაველი სრულიად არ არის თავისუფალი კუთხურ მეტყველების გავლენისაგან. მაგ: რუსთაველის ლიტერატურულ ფორმად მიღებულია თანდებუ-

ლის „თვის“ ხმარება, ისე როგორც თანამედროვე ქართულში. მაშასადამე ამ ფორმის მიმართ რუსთაველის შემდეგ ჩვენ დრომდე ცვლილება არ მომხდარა. აი რამდენიმე მაგალითი ვეფხისტყაოსანში შემთხვევით წაკითხულში:

„მო დაესხნეთ ტარიელისთვის ცრემლი გვედის შეუშრობელი“

„დაეჯექ რუსთველმა გავლექსე მისთვის გულ - ლახვარსობილი“

„ვის მორჩილებს ჯარი სპათჱ, მისთვის, ეხელობ მისთვის მკვდარი“

და სხვა...

მაშასადამე თუ რუსთაველისთვის ეს არის ლიტერატურული ფორმა სხვას აღარ უნდა ხმარობდეს! სინამდვილე კი სხვას გვეუბნება. რუსთაველი ხშირად ხმარობს „და“ თანდებულსაც, რაც ჩვენ მიგვჩანია დიალექტურ მოვლენად. მაგალითები:

„ველი შევენი მიპოვნია, მისი შენდა, შენი მისდა“. (250)
„თვარა მე ჩემდა, იგ მისდა. დია სჯობს კიდის - კიდესა“ (1511) და სხვა.

წარმოუდგენელია რომ ეს ორივე ფორმა ერთად ლიტერატურული ყოფილიყო. და უფრო მეტად წარმოუდგენელია რომ მეთორმეტე საუკუნის „ლიტერატურული“ და თანდებული გამჭარალყო სწორედ იმ დიალექტებში (აღმოსავლური), რომელსაც ჩიქობავას სიტყვით უფრო უახლოვდება ვეფხისტყაოსანი, და დარჩენილიყო ის დასავლურ დიალექტებში!

და თანდებული შეგვეძლო რასაკვირველია მიგვეჩნია ძველი ქართლის გადმონაშთად, რითაც ვეფხისტყაოსანი საკმაოდ არის დატვირთული. მაგრამ როგორც ქვემოთ ვნახავთ, თვით ძველი ქართლისათვის აღნიშნული ორი პარალელური თანდებული უნდა მომდინარეობდეს ორი სხვა და სხვა დიალექტიდან, და რუსთაველი ორივეს იყენებს.

ამგვარად ჩვენ ვფიქრობთ რომ რუსთაველის ენა ლიტერატურულია, მაგრამ ის უხვად იყენებს როგორც არაქალ ფორმებს ისე დიალექტურს, სულ ერთია რომელ დიალექტსაც არ ეკუთვნოდნენ ისინი. ეს შეუძლებელიც არის სხვანიარად ყოფილიყო. ყველა თანახმა იმაში, რომ რუსთაველი იყო ერთი რეფორმატორთაგანი ლიტერატურული ენისა. მოსე ხონელიან და სხვებთან ერთად ის გადალახა ხალხურ მეტყველებასე. და როდესაც ხალხურობაზე ვლაპარაკობთ, კონკრეტულად ეს ხომ იმას ნიშნავს რომ ის ემყარებოდა ხალხის სასაუბრო ენას. ცხადია ის ყველაფერი ვერ მიიღებდა ხალხურ ენიდან, მაგრამ იღებდა იმას რაც მას საჭიროდ მიაჩნდა ლიტერატურულში სახმარებლად. და ეს ხალხური რომელი უნდა ყოფილიყო თუ არა მისთვის ახლოს ცნობილი. ძნელია იმის დაშვება რომ მეთორმეტე საუკუნის ავტორს ზედ-

მიყენით სკოდნოდა ყველა დიალექტები და ყველა მათგან ეკრება მისთვის საჭირო მასალა. ის უდავოდ ვეფხისტყაოსანშია მისთვის უფრო ჩვეულ დიალექტს ან ლიტერატურულს ვიდრე დიალექტთა. ამ თვალსაზრისითაც ლოლიკურ იქნებოდა რომ ვეფხისტყაოსანში შერჩენილი იყოს კვალად ამა თუ იმ დიალექტისა.

იქნება უსაფუძვლო არ იყოს გახსენება ჩვენი დროის ანალოგიისა. მეთორმეტე საუკუნის საქართველო დიმიწა პოლიტიკურად, დაირღვა ძველი წყობა და კულტურულადც დაეცა. დაეცა განიცადა ლიტერატურულ ენამაც. ლიტერატურულ ენაში კვლავ შემოიჭრა ძველი ფორმები, უფოოდ ძველი მწერლობის გავლენით. ანტონ კათალიკოზის ენა აღარ იყო ენა რუსთაველისა. ქართული სამეფოებო ენა კიდევ ერთხელ დასცილდა ხალხურს და მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში გახდა შესაძლებელი ხალხური ენა შემოჭრილიყო ლიტერატურულ ენაში და ამ დროიდან კი ჩამოყალიბდა თანამედროვე ლიტერატურული ქართული. ამ ენაზე სწერდნენ ილია და აკაკი, ნინოწვილი და ლომპური, გოგებაშვილი და ნიკოლაძე, და არაგის მოუვა აზრად სიქვას, რომ მათგან ერთნი აღმოსავლურად სწერდნენ და მეორენი დასავლურად.

მაგრამ სინამდვილე აქაც სხვას ამბობს. როგორც მეცხრამეტე საუკუნეში იმ დღესაც, ჩვენ საუკეთესო მწერალთა ნაწერებშიც მუდამ შეინიშნება პრივინციალური მეტყველების ნიშნები, როგორც ლექსის ისე შორფოლოგიური და სინტაქსური თვალსაზრისით. მაშასადამე დღესაც იშვიათად ისეთი მწერალი რომ მისი ენობრივი აღზრდის ნიადაგი ვერ შეინიშნოთ. და ეს მაშინ როდესაც თანამედროვე ლიტერატურული ენა იქამდე ჩამოყალიბებულია რომ სწერლის შეუძლია თავიდან აიცილოს პრივინციალიზმები. და თუ ეს ასეა დღესაც, შეიძლება სრული ლიტერატურული სიწმინდე მოვსთხოვოთ მეთორმეტე საუკუნის მწერალს?!

ამ მოსაზრებათა გამოც შეუძლებლად მიგვჩანია ვეფხისტყაოსანში არ შეინიშნებოდეს კვალი იმ დიალექტისა რომლის ნიადაგზე ავტორი იყო აღზრდილი.

ამ რწმენამ გადაგვაწყვეტინა ვეფხისტყაოსანი გაგვესინჯა აღნიშნული თვალსაზრისით.

აღნიშნული მიზეზებისავე გამო, ლოლიკურად, ჩვენს დაკვირვებას თვითდავე უნდა დაჰყოლოდა ერთგვარი ტენდენცია: რა კი რუსთაველზე ორი მთავარი აზრის გამოთქმული მისი საღატურობის შესახებ, ბუნებრივად ვეფხისტყაოსანში უნდა გვეძია ენობრივი თავისებურებანი მესხურისა და ჰერეთული კილოებისა. ჩვენს მოკლე მიმოხილვაში მეთორმეტე იმასაც შეინიშნავდა რომ შოთის ჰერეთულობის თეორია უფრო მეტ დაბრკოლებებს აწყდებდა ვიდრე მისი მესხურობისა. და ამ ფაქტითაც ჩვენს დაკვირვებაში „მესხურობის“ ტენდენცია წინ უნდა გამოეწეულიყო.



დაკვირვების პროცესში კი გამოირკვა რომ ეს მიმართულება უნდა შეგვეცვალა და საკითხის გარკვევას უფრო ზოგადი თვალსაზრისით მივსვდეთ. ტექსტის დაკვირვება დაღვარაყმუნა რომ ერთი რომელიმე დიალექტის სიტყვა ეფხვისტაყოსანში იქნებოდა ამაო. აბაღად ეს იყო მიზნი, რომ ვინც იმ დროგობით სცადა ეფხვისტაყოსანის ენის ამოხსნა, ვერაფერ შედეგს ვერ მიადწია.

თანამედროვე კოდნის მიხედვით, ქართულ დიალექტთა მრავალფეროიანება ორ მთავარ ჯგუფში თავსდება: აღმოსავლური და დასავლური დიალექტებისა. ეს ჯგუფები ამოიყოფიან ერთი მეორისაგან გარკვეული დამახასიათებელი ნიშნებით. მესხურს მიაკუთვნებენ უფრო აღმოსავლეთურ ჯგუფს. თუ ეს დანაწილება სწორია, იმ შემთხვევით, შოთა მესხი იქნებოდა თუ პირველი, ვეფხისტყაოსანში საძიებელი იყო მხოლოდ აღმოსავლური დიალექტების ნიშნები.

მაგრამ როგორც სხვათა ისე ჩვენმა დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ეფხვისტაყოსანი შეიცავს როგორც აღმოსავლური ისე დასავლური დიალექტების დამახასიათებელ ნიშნებს. და ეს შერევა იქამდე საგრძობა რომ იმის დამტკიცებაც კი შეუძლებელია რომ რომელი ჯგუფის ელემენტები სჭარბობს. მაშინადაც ირკვევა რომ ეფხვისტაყოსანი არ არის დაწერილი არც სუფთა აღმოსავლური დიალექტებისა და არც დასავლურის საფუძველზე. ის არის დაწერილი შერეული სახის დიალექტზედ. ვფიქრობ ეს შეიქმნა მიზეზი იმისა რომ ეფხვისტაყოსანი ერთნაირად პოპულარული იყო მთელ საქართველოში. (ეს აზრი პირველად მგონი მარმა გამოთქვა).

ამის გამო ვასაგებებ სიტყვას იმ მკვლევართა მდგომარეობაც. ვინც საკითხს ცალკე დიალექტის თვალსაზრისით უღებდა. რადგან როდესაც ეფხვისტაყოსანში ნახულობდნენ მესხურ ფორმებს, მაღე იგივე დასტურდებოდა სხვა დიალექტებში. სანიმუშოდ მინდა გავიხსენო ერთი პატარა მაგალითი: მოსე ჯანაშიამ ერთხელ აღნიშნა რომ ეფხვისტაყოსანში სიტყვა „რათა“ იხმარება ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობით (ნიშნავს: რამდნი, რა ბეგრი, გაკვირვებისა და გაზვიადების მნიშვნელობით). და ასეთი მნიშვნელობით ის ეკუთვნის მხოლოდ ინგილოურსო, ზგარამ ჩვენ ვიცით რომ იმვე მნიშვნელობით ის გავრცელებული ფორმა მესხურში და საერთოდ აღმოსავლურ დიალექტებშიცაა. მაგრამ მის ხმარობს ვაჟა ფშაველაც. მაშინადაც ჯანაშვილმა არ იცოდა რომ ეს სიტყვა აღნიშნული მნიშვნელობით განსაკუთრებით გავრცელებული იყო მესხურში. თუმცა ისიც უნდა შევნიშნო რომ რუსთაველი ამ სიტყვას იმ მნიშვნელობით არ ხმარობს, რიგორც ეს ჯანაშვილს ვგონა

ამგვარად ჩვენთვის გამოირკვა ეფხვისტაყოსანის ენობრივი ხასიათი. ამის შემდეგ საძიებელია რომელ დიალექტთან ან ჯგუფთან რა მიმართებაში იმყოფება ეფხვისტაყოსანი, ან თუ არსებობს ისეთი დიალექტი, რომელიც სწორედ შერეულ ხასიათს ატარებს.

ქართულ დიალექტთა თანამედროვე კოდნის დიდი საშუალებას გვაძლევს ვანგაზღვროთ ერთეს მხარე დასავლური და მეორეს მხრით აღმოსავლური ჯგუფები. გვჩვენებს მესხური დიალექტი, რომლის სუსტი ადგილი და მიმართება სხვა დიალექტებთან, აუცილებელია ვიცოდეთ, სანამ კონკრეტულ შედარებაზე გადავიდეთ.

ჩვენ კარგა ხანია ვეწარმოებთ დაკვირვებას მესხურ დიალექტზე. ამას გვიადილეებს ის გარემოება რომ ეს დიალექტი ჩვენ სიყრმიდანვე გვეჩონდა შეთვისებული, ისევე როგორც დასავლეთ მესხური ანუ შავშეთ-აჭარული. სხვა დიალექტებზე უფრო ცოტა მასალები გვეჩონდა და მხრე დიდი მასმასხური გავეჩინა შოთა ძიძიგურის შრომამ. სადაც ავტორი იხილავს მესხურ და დასავლურ დიალექტებს და ზოგ საერთო საკითხებს ყველა დიალექტებისა. ამ შრომის გაცნობამ ჩვენმა საკუთარი დაკვირვებები გავვიდასტურა.

მესხური მეტყველება განისაზღვრა მისი ისტორიითა და გეოგრაფიით, აგრეთვე ეთნოურ - პოლიტიკური პირობებითაც.

ძველს დროში მესხეთი იყო შემადგენელი ნაწილი იბერიის სამეფოსი და მესხობაც ქართულის ჯგუფს ეკუთვნოდა.

გეოგრაფიული მესხეთი მუდამ არ ხედებოდა პოლიტიკურ დანაწილებას. აქ ის უფრო მესამე ელემენტად უნდა მივიღოთ აღმოსავლეთ - დასავლეთ შორის. ის არის გამაერთიანებელი ორი საქართველოსი და მან თავისი ასეთი როლი ისტორიაში აღნიშნა კიდევ. მტკვრის ხეობით ის უერთდება აღმოსავლეთ საქართველოს ხოლო ქორხის ხეობით დასავლეთ საქართველოს. ძველ დროიდანვე მესხეთის მხარეებში ეთნოური სიჭრელეც არის საგულისხმო. ამნაირად ამ გეოგრაფიულ ფაქტორის თავიდანვე უნდა განესაზღვრა მესხეთის მეტყველების დამოკიდებულება დასავლეთის მეტყველებასთან. ჩვენ არ შეგერდებით ისტორიულ დეტალების გადმოცემაზე. ეს ცნობილია. ფაქტი კი ის არის რომ მესხეთი თავიდანვე დაკავშირებული ენობრივად აღმოსავლურ მეტყველებასთან, ასევე დაკავშირებული იყო დასავლურთან. ამიტომ მესხური თარ წარმოადგენს ერთ მონოლიტურ ენობრივ ერთეულს. გარდა პატარა განზრებისა, აქაც შეინიშნება ორი მთავარი დიალექტური დანაწილება რომელთა დამოკიდებულება ანალოგიურია აღმოსავლეთ-დასავლეთის ჯგუფებისა.

ეს დაყოფა ემთხვევა გეოგრაფიულ ხაზებს. მირევილი მოქცეულია არსიანის და იმერეთ - ახალციხის მთების რკალში, დღევანდელი სამცხე და ჯავახეთი და დიდი ალბან კილა არსიანის წაწილი. ხოლო მეორე ენება ქორხის ხეობას დასავლეთით აჭარით, რომელიც გურულის



მეშვეობით უშუალოდ უკავშირდება დასავლეთის ენათა სამყაროს, ისე როგორც კერძოდ მესხური ბორჯომის ხეობათა და თრიალეთით აღმოსავლურ ენათა სამყაროს. ამავე გზებით განისაზღვრა მესხეთის მეტყველების დამოკიდებულება ქართულ კილითა აღნიშნულ ორ დიდ ჯგუფთან.

სამოწმებით უნდა აღნიშნო რომ ჩვენი განსაზღვრა ემთხვევა შოთა ძიძგურის განსაზღვრას და ამას თავისი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ვიღებთ მის მიერ შემოღებულ ტერმინებს მესხურ დიალექტთა: მესხური საკუთრივ და ჩერხელული. პირველში იგულისხმება სამცხე ჯავახური და მეორეში შვეშეთ - აჭარა და ქვემოდაც ამ სახელწოდებით ვიხმედებინებელი.

იმერხელული დიალექტი უახლოვდება დასავლურ ჯგუფს ხოლო მესხური აღმოსავლურ ჯგუფს. მესხურის ცენტრალურ ელემენტს ვამჩნევთ სამცხის დასავლეთით. მიუხედავად აწეტი დანაწილებისა მესხური კილოები შიდაცავე უფრო საერთო მოვლენებს და ეს ამართლებს მესხური ჯგუფის გამოყოფას.

შოთა ძიძგურმა მესხური დიალექტი გამოიყო შემდეგი ფაქტორთა დადგენის ნიადაგზე: ა) თავისუფალი შეხამება აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტურ ფორმათა. ბ) ზოგიერთი სპეციფიური ხიშანი, გ) უტოლური ელემენტები ლექსიკაში. ყველა ამ ნიშანთა ერთობლიობა საქართველოში პირობაა, რათა მესხური ცალკე ერთულად მივიჩნიოთ. სწერს ძიძგური.

მესხური ჯგუფის ამ საერთო გამოყოფის შემდეგ, რომელთაგან ერთი ნაწილა უახლოვდება დასავლურს, ხოლო მეორე აღმოსავლურს. თვით ეს უკანასკნელი შეიცავს მრავალ ელემენტებს დასავლურისა.

ამაზე ძიძგური წერს: „მესხურის თავისებურებათა გათვალისწინება იმ დასკვნამდე მიყვავათ, რომ იგი ძირითადად აღმოსავლურ ჯგუფს მიეკუთვნება, ყველაზედ ახლოს ქართულთან სდგას. ვამბობ ძირითადად, რადგან მის შემადგენლობაში გამოიყოფა დიდი ფენა. ნიშანდობლივი დასავლურ კილითა სინამდვილისათვის“ და სხვ. ხოლო ამავე დიალექტის განხილვის დასკვნაში ის წერს: „მესხურის დადგენაში გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი მნიშვნელობის ნიშანი, რომლებითაც ეს დიალექტი მჭიდროდ უკავშირდება დასავლეთ კილოებს. ეს სპეციფიკური შეხამება წმინდა „ქართველურის ტიპის“ ფორმების „ტრიალურ დასავლურ“ ნიშნებთან საგულისხმობა ჩვენი დიალექტის საბოლოო კლასიფიკაციისათვის.“ (იხილეთ მისი წიგნი: ძიძგანი ქართულ დიალექტოლოგიად გვ. 145.)

ჩვენ მთლიანად ვიღებთ აღნიშნულ დასკვნებს მესხური დიალექტის შესახებ. ამ გვარად მესხური ენის საკითხის გარკვევით ადვილდება შემდეგი შედარებების წარმოება.

არსებობს სხვა დაბრკოლებებიც, რადგან ეფფხისტყაოსნის დადგენილი ტექსტი არ მოგვეპოვებინა სწორედ არა ერთი აქამდე გამოცემული ტექსტი არ შიგვჩანია), შეძლება ხშირად მკვლევარი დამყაროს სწორედ ისეთ ადგილებს, რომლებს რუსთაველს არ ეკუთვნის. ან და ხშირად ზოგი ნიშნები რაც შეიძლება მიჩნეულ იყოს მესხურად, გვეხდება აგრეთვე ნაწილობრივ სხვა კილოებშიც როგორც შედეგი საქართველოს მოსახლეობის მუდმივი გადასახლებისა. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვიყენებთ სტრუქტურულ მეთოდს. მაგალითად ავიღოთ კავშირის სიტყვა „რომ“. ეფფხისტყაოსანში (პაველ ინგოროვისაგან) ჩვენ ის დავითვალეთ 63 - ჯერ. აქედან 61 - ჯერ იხმარება „რომეს“ ფორმით და მხოლოდ ორჯერ „რომ“-ის ფორმით. შეუძლებელია რომ იმერულ გადაშქრის 63-ჯერ გადაკეთებინა „რომ“ სიტყვა. მაშასადამე ამ რიტმს ვერ ჩავსვლით შესწორებულად. თუმცა არც ის არის ამოურჩეული რომ „რომ“-იც რუსთაველს ეკუთვნოდეს, როგორც ეს სხვა შემთხვევაშიაც არის დადასტურებული და ის საერთოდ დაახასიათებს რუსთაველის შერეულ კოლოს. მსგავსად მესხურისა. ამგვარად ეს მოვლენა პირდაპირ ლაპარაკობს რომ „რომე“ ფორმა უნდა ყოფილიყო რუსთაველის ჩვეულებრივი სახმარი ფორმა.

შედეგობაშია ში არის კიდევ მისილები ის „ყალები ადგილები“ რომელიც ეკუთვნის უკვე არა გადაშქრებს, არამედ ჩვენს მკვლევარს. ტექსტის დადგენის მიზნით ხშირად ვამჩნევთ ზოგიერთ თვითნებურ შესწორებათ. თვითნებური სპეციალისტი თავისი კუთხიდან უტყვის საკითხს და ასწორებს იმის და მიხედვით თუ რა უფრო მიუღდება მის მოსაზრებებს. ქვემოდ გვექნება ასეთი ნიმუშები დასახელებული. ყველა ამ დაბრკოლებათა გათვალისწინებით შემდეგ მაინც შესაძლებელი ხდება რუსთაველის ტექსტზე დამყარება.

2. ზოგიერთი კავშირი

ეფფხისტყაოსნის ტექსტს დეტალურად არ განვიხილავთ, შევხებით მხოლოდ ნაწილობრივ. ყველა იმ ფაქტებს, რომელიც უფრო დამახასიათებელია და ცხად შთაბეჭდილებას სტოვებენ. ვიწყებთ კავშირის შედარებით. შევხებით არა ყველას. არც მათ ფუნქციებს ვხეებით, ყველა ეს სიტყვა სხვა და სხვა ფუნქციის შესრულების დროს ფორმას არ იცვლის.

1- რომ. როგორია ამ კავშირის ფორმები და მათი გავრცელება ერთი მხრივ ქართულ დიალექტებში და მეორეს მხრივ ეფფხისტყაოსანში. რასაკვირველია ყურადღების გარეშე ვტოვებთ გამოწაკის შემთხვევებს და მხედველობაში ვიღებთ მხოლოდ მისი გავრცელების მასიურ ხასიათს

ამ სიტყვის ფორმად ყველა აღმოსავლური დიალექტებითავე დამახასიათებელია: რომა, რი. ამასვე ვხედავთ ღღეს მესხურში.



დასავლური დიპლმატიკისათვის დამახასიათებელია ფორმა **რომე**, იგივე ახასიათებს იმერხეულ მესხურს. მაშასადამე მთლიანად აღებული მესხური ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ყოფილა როგორც აღმოსავლური ისე დასავლური ფორმები.

როგორც ამ მხრივ მდგომარეობა ევფხისტყაოსანში აქ ეს სიტყვა დაითვალა 63-ჯერ. აქედან 61-ჯერ იხმარება **რომე-ს** ფორმით და ორჯერ **რომე-ის** ფორმითა... სიტყვები ამტკიცებენ რომ რუსთაველისათვის დამახასიათებელი ყოფილა ფორმა **რომე**. მაშასადამე რუსთაველი მისდევს დასავლურ ფორმას. სხვათა შორის ახალ საუკუნოებში რუსთაველის გავლენით აღნიშნული ფორმა შეიქრა ლიტერატურაშიც.

1. რომელიც, ვინც, სადაც, როდესაც და სხვა.
დასავლური კილოებისათვის დამახასიათებელია **ხა** და **ღ** ნაწილაკების დამატება: რომელიცა, რომელიცღა, ისე როგორც; სადაც - საცა ან საცღა, ვინც - ვინცღა და სხვა.

აღმოსავლურისთვის დამახასიათებელია: **როცა, როიცა და სხვა.**
მესხური ხმარობს როგორც დასავლურს ისე აღმოსავლურ ფორმებს და იგივე დაახასიათებს ევფხისტყაოსანს.

2. მაგრამ. ეს ფორმა დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისათვის. დასავლურისათვის კი: **მარამ, მარა.** მესხურ ჯგუფში გვხვდება ეს ორივე ფორმა. ე. ი. შერეული ევფხისტყაოსანში ყოველივე გამოჩაგლის გარეშე იხმარება ფორმა, **მაგრა** (სულ 24 - ჯერ). ამ მხრივ ევფხისტყაოსანი იცავს უფრო აღმოსავლურ ფორმას, ხოლო სიმონის შექვეყით რაც მიღებულია აღმოსავლურში.
3-ვიდრე. აღმოსავლეთში გაერკელებულია ფორმები: **მანამ, მინამ,** ხოლო დასავლურისათვის დამახასიათებელია **სანამ, სანამღი.** თანამედროვე მესხურისათვის დამახასიათებელია: **სარამ, სარამღი, ვინამ, ვირე, ვირემღი.** ევფხისტყაოსანში გამოჩაგლისის გარეშე იხმარება ფორმა **ვირე** (სულ 9-ჯერ). მაშასადამე ამ შემთხვევაში ევფხისტყაოსანი მისდევს მესხურ ფორმას.

4-თორემ, თვარა. აღმოსავლური კილოებისათვის დამახასიათებელია ფორმები: **თორემ(ს), თორე.** დასავლურისათვის დამახასიათებელია: **თვარა.**

თანამედროვე მესხურში კი იხმარება ყველა ეს ფორმები: **თორემ(ს), თორე, თვარა.** აქაც მესხური იცავს აღმოსავლურ - დასავლურ შერეულ ფორმას. რუსთაველი ხმარობს **თვარა-ს** და ამით ის განსაკუთრებით უახლოვდება მესხურსა და გურულს.

3. რუსთაველის ლექსების შესახებ.

ბერძენი იყო ცდა რუსთაველის ლექსების დაკავშირებისა ამა თუ იმ დიალექტთან, მაგრამ ასეთი ცდის დროს უგულვებული იყო ის გარემოება რომ ყველა დიალექტებზე ზედმიწევნით ცოდნა არ გვაქონდა და იმას რასაც მხოლოდ ერთ დიალექტში ვამჩნევდით, ვპოვებდით

სხვაგანაც. ამავე დროს რა კი მტკიცება რომ ევფხისტყაოსანი დაწერილია უფრო შერეული ფორმებით, რო იყო სხვა მიდგომა. აი რამდენიმე მაგალითი:
გაიოზ იმედაშვილი სწერს ნ. ნათნასის წერილზე, „შოთა რუსთაველის ენობა - საღაურობის შესახებ“ („მნათობა“ 1937წ. ნ: 8-9): „ავტორს მოჰყავს სამი ჯგუფი სიტყვებისა, რომელნიც ცოცხალ მეტყველებაში (მესხურში) შემონახული ჩანან პოემისათვის შეფარდებული მნიშვნელობით“. სამწუხაროდ ამ წერილზე მეტს არაფერს ამბობს ავტორი და შინაარსს ამწარად ვადმოკვამს ფასი ეყარება. (ამ სიტყვების ჩამოთვლა დიდ ადგილს არ წაიღებდა.)

ნიკო მარამც მთელი რიგი სიტყვების ევფხისტყაოსანში გამოაცხადა მესხიზმებად: მაგ. მარგული, უსაპირო, ლიზი, მიფერე, მიგუნე, კეისრობა, პაშტაი, სოსანი და სხვა. აქედან ჩვენ ვიღებთ მხოლოდ ორ უქანსკენლს. სხვები სადავოა და გამოსარკვევი.

რაც შეეხება ინგოლოური სიტყვების შემწინვას ევფხისტყაოსანში მისე ჯანაშვილის მიერ ეს სრული გაუგებრობაა. მაგ. ის ასახელებს ასეთ სიტყვებს: ლამი, ვაზირობა, ბინა, ბაღა, რბული და სხ. ეს სიტყვები კი თითქმის ყველა დიალექტებში იხმარება. ზოგი რამ კიდევ უზრალოდ ვერ გაუგია რუსთაველიდან. ზემოდ უკვე ვახსენეთ ერთი სიტყვა:

„ხმედელა ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნლია!“ (1294), აქ სიტყვა **რათა** გაუგია ჯანაშვილის როგორც სომხურის მაჩვენებელი და ფიქრობს რომ ის ინგოლოური. სინამდვილეში ასეთი გაგება ფართოდ არის ცნობილი მესხურშიც და სხვა კილოებშიც. მასვე ხმარობს ვაჟა ფშაველა: „მოგწყყინდა ამდენი თმენა, ვაჟაყვლენთ რათა ხანია“ (იხილეთ მისი „ბაჟაყოს აჯანყება“). მაგრამ ყველა ეს საინტერესო იქნებოდა ჩვენთვის რომ რუსთაველი ამ ხალხური გაგებით ხმარობდა აღნიშნულ სიტყვას. რუსთაველი იღებს **რას** და უმატებს მრავლობითის მაჩვენებელს სუფიქს **თა-ს**, რომელიც შეთანხმებულია მრავლობით „საქმეთა“ -სთან. რაც ნიშნავს: „სოფელი რა და რა ნაირ საქმეთა მქმნლია“.

დავიკრებამ დაგვანახა რომ ევფხისტყაოსანში მოიპოვება ისეთი სიტყვები, რომელიც გავრცელების უმოთარეხი არე არის დასავლური კილოები, ხოლო ზოგისათვის აღმოსავლური. ხოლო პარალელურად მესხურში შეიმჩნევა ხან ერთი მხრის მონათესავე სიტყვები და ხან მეორისა, აი რატომ ფიქრობთ რომ ამ შემთხვევებში რუსთაველთან სიხლოვის უპირატესობა რჩება მესხურს.

მაგ. ევფხისტყაოსანში ხშირად ვხვდებით ასეთ ფორმებს: დარჩომოდა (589), ანათობთ (955), ჰვანდ (231), უწყოდა, დიდროვანი და სხ. ამთ და კიდევ სხვა მრავალი ჩვენ ვუწოდებთ დიალექტურ ფორმებს, არა თანამედროვე ლიტერატურული თვალსაზრისით, რაც ყველა-



სათვის ცხადია, არამედ რუსთაველის დროსა. რადგან მათ გვერდით მსგავს გამოთქმებში ხშირობს ლიტერატურულ ფორმებსაც. მაგ. მესამე პირის ნამყო უსრულში ის ხშირობს დიალექტურ ფორმას: **მიჰყავდა**, ხოლო აწმყოში კი ხშირობს ლიტერატურულ ფორმას: **მიჰყავს** (45) და არა **მიჰყავს**, როგორც მოსალოდნელი დიალექტური ფორმის ხმარების შემთხვევაში. ამგვარად ეს წყება სიტყვები, რომელთაც რუსთაველი ხმარობს დიალექტური ფორმებით დახასიათებთ ერთის მხრივ აღმოსავლურ კილოებს და მეორეს მხრით მესხურს.

რუსთაველს მოეპოება აგრეთვე მთელი რიგი სიტყვები და სპეციალური გამოთქმები, რაც უმთავრესად დამახასიათებელია ერთის მხრივ დასავლური კილოებისათვის და მეორე მხრით მესხურ-სათვის. აქაც მხოლოდ მესხური მისდევს რუსთაველს კვალდაკვალ.

რუსთაველს ახასიათებ: ზოგ ზმნისზედას ბოლოში ე-ს დამატება: **ჯერ-ჯერე**, **ზევალ-ზევალ** და სხვა. აგრეთვე ზოგ ზმნებში ბოლო კიდურის შეკვეცა. მაგ. წაველ, წავე; ჩაველ-ჩავე, შეველ-შევე და სხ. უკანასკნელი შემთხვევა დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისათვის და მესხურისათვის, ხოლო პირველი დასავლური კილოებისათვის.

მისხ, ჩემსახ. რუსთაველი ხშირობს ასეთ ფორმებს: მისას, მისლა, მისათან და სხ. მაგ. „ფრიდონისას“ (990), „ფრიდონისოთ“ (1493), „ზოგჯერ უმნის ფატმან მისხა, ზოგჯერი იყვის ფატმანისა“ (1080) და სხ. იმპირატივი ამ ფორმას ათავსებს ორმაგ ბუნებრივი ბრუნვის სისტემაში, ჩვენთვის აქ ის არის სანტერესო რომ ეს ფორმა ნაზმარი ვეფხისტყაოსანში. თანამედროვე დიალექტებშიდან შერჩენილია მხოლოდ დასავლურ კილოებში და მესხურში. მესხურში განსაკუთრებით ხშირია მისი ხმარება მრავლობითში: **თქვენსა, ჩვენსა**. მართალია ის იხმარებოდა ძველ ქართულშიც, მაგრამ უთუოდ მომდინარეობდა ერთი დიალექტიდან ან ერთი რეგულიდან. რაკი ბოლომდე ის ყველამ არ შეინახა.

ხშირობს **დავებხას და ჯის**, რაც დამახასიათებელია დასავლურ კილოებისათვის.

დავებხა - ჩქარობა, ჯის - ზის. აქედან რუსთაველი **გავიდა-ავიდა-**

„ავიბნდილ ცენესა გარდახდა, მონახა ღიღინ ხენია, „მას ზედა ჰქრეტად გავიდა, ძირსა დაბაა ცენია“ (220) „ქებაზედ ნახნა, გაუხარდეს. ზე გავიდა ქებათა კარსა“

ესეც დიალექტური ფორმაა და დამახასიათებელი დასავლური კილოებისათვის, ამ გვარად საკითხის ასეთი მიდგომა გვეყენებს ერთ გარკვეულ დებულებას წინაშე: რომ ვეფხისტყაოსანის ენობრივი ხასიათი გამოირჩევა ცალკე როგორც აღმოსავლურ ისე დასავლურ კილოთა საფუძვლად დებას და გვაახლოების მესხურთან. როგორც აგრეთვე შერეული ტიპის კილოსთან, მსგავსად ვეფხისტყაოსანის ენისა.

3 - ვეფხისტყაოსნის ლექსიკა

ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან ჩვენ გამოვიყენებთ მხოლოდ ისეთი სიტყვები, რომელთა ხმარება გარდა მესხურის სხვა დიალექტებში ან სულ არ გვხვდება ან იშვიათია აგრეთვე ისეთი სიტყვებიც რომელიც იხმარა და სხვა კილოებში სხვა და სხვა მნიშვნელობით იხმარებოდა ხოლო რუსთაველი იმეორებს ესეხურ მნიშვნელობას.

1. - **ერღო.** ამ სიტყვას ხშირობს რუსთაველი. მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობა ცნობილია. საბა სულხან ორბელიანი ასეთ განმარტებას იძლევა: „სახლის ზედა კარში ბანი“ ე. ი. სახლის მიწიანი ზედაპირი, რომელსაც ვეცხებით ავრედვე **ბანს** და მას რუსთაველიც ხშირობს ერღოს ამავე მნიშვნელობით ხმარობს მარკოზის სახსარება: „და რომელ ერღოსა ზედა იყოს, ნუ უკუნ იქცევიან აღებად სამოსლისა“ (13-15). მაშასადამე ბანს ერღოსაც ეცხებინ. ნესხურში ერღოა გავრცელებული. საბა მსხვა მნიშვნელობაზე არაფერს ამბობს. საბას მნიშვნელობით იხმარება ის მთა რაჭულში. მაგრამ ერღოს ნამდვილი მნიშვნელობა, ისე როგორც ეს იხმარება ვეფხისტყაოსანში, გავრცელებულია მესხურსა და ქართულშიც. ის ეწოდება ბანიდან გაქცეულ ფანჯარას რაც ყველაზე მეტად დაახასიათებს დარბაზის ტიპის ბანს და ისე ხომ ცნობილია რომ დარბაზის ტიპის მთავარი გავრცელების არეც ცნობილია მესხურსა და ქართლში. ეტყობა რუსთაველისთვის ეს გაგება სწორი და ჩვეული ყოფილა ამხათი უმუნება ტარიელა:

„სინძიძიძისი **ერღო** დაბაჲ, სიხარულის კარი აღი“ (397) ეს ხოვბა იმ დროს, როდესაც ნესტანმა იხმო გამოიფურებული ტარიელი და თავისი თანაგრძნობა გამოუცხადა აქედან აშკარაა რუსთაველის ერღოს მნიშვნელობა, რაკი ია კარებთან არის დეკავშირებული. სხვა კილოებში ასეთი ფანჯარას უფრო საკვამურს ეცხებინ. ერღოს ეს გაგება დადასტურებულია ახალი ქართულ განმარტებით ლექსიკონში. სხვათაშორის თურქულ ლექსიკონში (იბრაჰიმ ალიათი; ტბაშბოლი 1930წ.) ანალოგიურ განმარტებას ენახულობთ.

მაშასადამე ვეფხისტყაოსანი ამ სიტყვის მიხედვით მსდევს მესხურს და ქართულს.

2. **კოკა.** რუსთაველი ერთ ადგილას ანდაზის ფორმით ამბობს:

„კოკას შიგან რაც სდვას იგივე წარმოსდინდებს“ (397) დაუკვირდით ამ მოვლენას. რა აზრია ჩიდებულ ამ სიტყვაში **კოკა** გავრცელებული სიტყვაა საქართველოში. და ის არის საწყისის სახელი. საბაც ასე განმარტებს მას: „საწყაი კოკის არს ათი ახალი ლიტრა“. ლიტრა არის კოკის მეთაფი. უფრო პატარა. აღბად ამის გამოა შექმნილი მეორე ანდაზა: „კოკას ეუნებოდენ და ლიტრავ შეენ ვესმოდესო“. ან და ანალოგიურად: ძაღლსა სცემდნენ, რძალს ასმენდნენო“. თუ კოკის მნიშვნელობას



მ ანდაზაში დაუბრისპირებთ რუსთაველის კოყის მნიშვნელობას, განსხვავება ნათელია. რუსთაველი ლაპარაკობს თვისებაზე, ანდაზა კი ხაზს უსვამს ოდენობას. კოყა რუსთაველისათვის არის ჭურჭელი რომელშიც ასხამენ სიბესს. ასეთი ჭურჭელი, უმთავრესად ხისგან გამოთლილი, გავრცელებულია საქართველოში და განსაკუთრებით მესხეთში და ქართლში. თანამედროვე მესხურში კოყა საწყაყის მნიშვნელობით აღარ გვხვდება, თუმცა შეიძლება ის ყოფილიყო. იქ იხმარება მხოლოდ ჭურჭლის მნიშვნელობით ისე როგორც ხმარობს ამას რუსთაველი.

„**მ. კაპანი.** როდესაც ტარიელმა მოახდინა ლაშქართა წყევლა: „ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი კლდე, კაპანისა“ (402). ეს სიტყვა იშვიათია და მას უფრო ეფხვისტყაოს სიზან ვიკნობთ. რას ნიშნავს ეს სიტყვა? საბა სულხან აბაგოიანის განმარტებით კაპანი ნიშნავს **ქვა - ლოჯი**. სჯობს მის მიერვე **ლოჯის** განმარტება კი ასეთია: „დიდი სილოსა და მისთანათა დიდთა კბილთა ეწოდებიან **ლოჯი**, ამ განმარტებას ცოტა დაზუსტება სჭირია, რადგან ის ვერ აღწის კაპანის რაობას. აღმაიანის კბილუნდაც იტყვიან „ლოჯი კბილი“ ე. ი. ჯვანა ძირის კბილი. აქ ლოჯი ხაზს უსვამს **ძირს**, და თანამედროვე მესხურში ფესვის მაგიერ ხმარობენ ლოჯს, ე. ი. ის რაც მიწაშია დაფლული. ფესვი ლოჯის მნიშვნელობით ინახება აგრედვე თრიალეთში.

კაპანი ისეთი კლდეა, რომლის დიდი ნაწილი მიწაშია დაფლული. ასეთი კლდეები უფრო სხირად გვხვდება მთელ წყევლად და მისი სახელიც შენახულია მრავლობითის ფორმით „კაპანები“. რუსთაველი მას მხოლოდით ფორმით ხმარობს? თუ არა რითმულად შეზღუდული, ცხადია მას შეეძლო მრავლობითშიც ეხმარა.

არსებობს სამცხეში რიტი მოზრდილი კლიდან სივრცე კლდეებისა, მეტ ნაწილად მიწაში დაფლული, რომელსაც ეძახიან „კაპანებს“; ეს სიტყვები თითქოს ამ ადგილის სახელიად იქცა. ის მდებარეობს ქაქაქ ახალციხის დასავლეთით სამ - ოთხ კილომეტრის მანძილზე, ახალციხისა და სოფელ სხვილის შორის. უფრო კი სოფელ სხვილისთან ახლოს. ისიც საგულისხმოა რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რედაქტორებმა ამა სიტყვის დასაბუთებლად ქართულ ენაში, მოიყვანეს ცნობა რუსთაველიდან და ერთი ადგილი ხაზლხრიდან, რომელიც სწორედ ზემოდ აღნიშნულ სოფელს ენება და დასტურებს მის ადგილობრივ ხასიათს. რედაქტორებს მოჰყავთ შემდეგი ადგილი: „ამოდოდ, აი იქ დამმარჩეთ, სხვილისს კლდის კაპანის გზასა“. რა „ო რუსთაველი ამ სიტყვას ისე ხმარობს როგორც სხვა ჩვეულ სიტყვებს, ცხადია, მის დიქტონში ის უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივ ხმარებელი. და ბოლოს უნდა დავსძინო რომ სიტყვა კაპანი იხმარება აგრედვე თამარის ცხოვრებაში („ისტორიანი და აზმანი“),

რომლის დაწერასაც დღეს ქართული მეცნიერება აგრედვე რუსთაველის კალამს მიაწერენ. იქ ნათქვამია: „მეცნიერი და რაზნი მისი მიზეზითა ბაღთა და კაპანთა დაფლულ ბულ იყვნან“.

მაშასადამე ის ფაქტი რომ ეს სიტყვა დღეს მხოლოდ მესხურშია ცნობილი და ამავე დროს რუსთაველი მას ხმარობს მისთვის ჩვეული ფორმით, მიგვითითებს რუსთაველის ახლო დამოკიდებ მესხურ კილოსთან.

4. - **კლიტენ.** ეს სიტყვა საბას ასე აქვს განმარტებული: „კლიტენ არს გასაღებელი, ხოლო მოქლონი გასაღებელი კართა“. დღეს აღმოსავლეთ საქართველოში და მესხურში **კლიტენ** იხმარება საბას „მოქლონის“ მნიშვნელობით, ხოლო მიგრებულში და დასავლურ კილოებში კი გასაღების მნიშვნელობით. ფიქრობენ რომ ეს სიტყვა ინდო-ევროპიულიდან არის შემოსული (ის უღებდა ფრანგულს, ინგლისურს და სხ.). მაშასადამე პირველადი მნიშვნელობა მას დასავლურში შეუნახავს.

ეფხვისტყაოსანში ის იხმარება შემდეგ შემთხვევებში: „**კლიტენი** საჭურჭლეთანი მომართვეს დაუძალადეს“ (459)

„მომართვეს ასნი **კლიტენი**, ასთავე საჭურჭლეთანი“ (483)

„კარნი გაახვენს, გამოჩნდეს, მოიხვენს მათ **კლიტენი**“ (1627)

„მისცა **კლიტენ** საჭურჭელთა, თავთა მითთა მიანდოდეს“ (1638)

ამ ოთხ შემთხვევაში კლიტენ იხმარება გასაღებლის მნიშვნელობით, რითაც აღენებს. ისე როგორც ის მიღებულია დასავლურ კილოებში. მაგრამ ერთხელის ნახპარია მეორე მნიშვნელობითაც. აეთანდლი ამბობს ქაჯეთის ციხის შენახებ:

„კლიტეთა დღლევ, გაახვამ, დამიდგამს ვერ ქეთიჯიროსა“ (1401).

ნათლად სჩანს რომ აქ საქმე გვაქვს საბას „მოქლონთან“ ზორემ გასაღებელს რაღა დაღეწვა უნდოდა. ლაპარაკია იმაზე, რითაც იყო დატყვევებული. ამ სიტყვის ორივე ფორმის ხმარების მაგალითად კლდე ერთხელ მიგვიითითებს რუსთაველის შერეულ ენობრივ ხასიათზე.

5. **შამათი** ეს სიტყვა რუსთაველში იხმარება **აურზაურის** მნიშვნელობით.

„ღმერთმა მოსრნა მტერი ჩვენნი, ვერ დაგვემენ ყოლ **შამათა**“ (1632)

ეს სიტყვა თურქული წარმოშობისაა. თანამედროვე მესხურშიც გავრცელებული. რაკი მას რუსთაველიც ხმარობს. ფიქრობ, ის სულჯუკური დიალექტიდან უნდა იყოს შემოსული (როგორც სხვა მრავალი თურქიზმები ეფხვისტყაოსანში). საბას ასე აქვს მოხსენებული ეს სიტყვა. მაშასადამე აღმოსავლურ დიალექტებში ის იშვიათია და თუ სადმე მიღწია, მნიშვნელობა შეცვალა. მაგალითად მითულ კილოებზე მან მიიღო „წყევლის“ მნიშვნელობა

მაგრამ ვიმეორებ, მის ნამდვილ მნიშვნელობას რუსთაველთან ერთად ინახავს მხოლოდ მესხური.

6. ღია. საბას განმარტებით ეს სიტყვა ნიშნავს ღიალ. (ღია-მც). ის იხმარება სხვა და სხვა ზნისწილების მნიშვნელობით. რუსთაველს უყვარს ეს სიტყვა? ეფეხისტკაოსანში ის ვგვხვდება 35 - ჯერ, საბაც ხმარობს მას „სიბრძნე - სიტყვისა“ - ში. მაგრამ ყველაზე მეტად ის არის გავრცელებული თანამედროვე მესხურში.

7. აწ. ეს სიტყვა მომავალ, დღეს დასავლეთ კილოებში გავრცელებული აწი - სიან შესადარებლად. მაგრამ საჩოთიორის მიხედვის ეს გავრეობება რომ, ერთხელ როგორც მახსოვს, აჯავი შანიმე განაცხადა რომ ეს ორი სხვა და სხვა მოვლენააო. ამის განმარტებას კი სამწუხაროდ არ ვიცნობთ და ჩვენი აზრი მიხედვით უნდა გამოვთქვათ. ეფეხისტკაოსანში აწ ნახმარება 180 - ჯერ. მამასადამე ეს მისი მეთყვევებისათვის ფრიალ დამახასიათებელია და არ მიხდება გვერდი აუარო. რუსთაველი მას ნაწილად დამატებითაც ხმარობს: აწლა, აწვეცა და სხვა. საბას განმარტებით აწი „ჰასავით“ უნდა გავგვით, ან და მეორე მნიშვნელობით: „აჯივე და მეტი“. რუსთაველი კი აწ - ხ ხმარობს „ახლას“ მნიშვნელობით ყოველივე გამოჩაქლისის გარეშე მაგალითად:

„აწ ავრე გაყრა ძნელია, ვით მაშინ შეყრა დაცამდის“ (952)

„აწ იგი აქა არ არის, რას მარგებს მისი ხსენება“ (1070)

მე ვფიქრობ რომ ეს ზე ოგევე ბოლომდეცეცილი აწი არ არის რაც ასე გავრცელებულია დასავლეთის კილოებში და იშვიათად შემონახული ზოგ გამოთქმის კლიტურატურული ქართლისა, როგორც მაგ. „აწ და მარადის“ ან და სიტყვა „აწმყო“ - ში. ყველა ეს მადიქებინებს რომ რუსთაველის ეს ფორმაც დიალექტური მოვლენა უნდა იყოს.

8. წახხმა. თანამედროვე ქართულში მკვეთრად არის გამოყოფილი სულიერი და უსულო საგნები, ავრდღე დადამინის ცხოვრებისაგან. მაგ. სულიერზე ვიტყვით მოვიყვანებ, ძროხაზე - წავახხი და სხ. ეფეხისტკაოსანში არეულია ეს წესი. რუსთაველი სულიერ არსებებს და კერძოდ ადამიანზე ხმარობს იმ ზნებს რაც გარჩევის შემთხვევაში უსულო საგნებზე უნდა იხმარებოდეს. აი რამდენიმე მაგალითი:

„მუნ შეიტანენ ხათუნნი, იგი ჩემთან ხლებულნი“ (1126)

„მე შერამიან დამიგდია, ჩემად კერძად ჰპატრონობდეს“ (168)

„ოღენ ძღვნად თქვენი ავთანდილ, მე თქვენთვის მომიტანია“ (1506)

ამის გვერდით ის ხმარობს მიღებულ სწორ ფორმასაც: „მინდორთავე წაიყვანა, ტანი მქვერი აძერევიან“ (892)

და სხვა.

ძნელი დასაჯერებელია რომ რუსთაველის დროს ქართული ენა განვითარების ამ საფეხურზე ყოფილიყო, რად-

გან რუსთაველზე ადრე ზიბლიერ ტექსტებში უკვე დასულია გარჩევა სულიერ და უსულო საგნთა მხარით. ზნების ხმარება. და სადიქებელია რომ ქართველთა მესხურში უსული გარჩევა ძალიან შორეულ წარსულში უნდა მომხდარიყო. რუსთაველში მის ძველის გადმონახვად მივიღებთ. ისე როგორც ეს თქმის მის ზოგ აჩუქებისზე აქ ჩვენ მასიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე და უდავოდ უნდა ვივლისხმობთ რომ მისთვის ცნობილი და ჩვეულებრივად უნდა ჰქონდეს ეს შენახული ამ ფაქტმა ხდინა რუსთაველზე გავლენა.

აქ ჩვენ სანიშნოდ სიტყვა „წახხმა“ დავახსენებთ. რადგან მისი ხმარება უფრო ხშირია. აი ზოგი მაგალითი: „თვიც ორნივე ბიძა - ძენი დამპყრობილი წამოახხნა“ (615)

„მათია ცოლა მე წავახხამ, მაწვეველი არა მინდა“ (1122)

„მოახხნეს იგი ეკუარნი და მათი უხუცესია“ (158)

„დღეფაღმან გერე ბრძანა: „ობოლ - ქერიენი მოახხნის“ (1641)

მაგარი ხმარებას თუმცა ყველა დიალექტებში შეგვხვდებით, მაგრამ ის უფრო დასულია თანამედროვე მესხურში.

9. ეგების. ამ სიტყვას ქართულში მრავალი მნიშვნელობით ხმარობენ: ძირიდან - გება. აგება - აწენება, მოგება - შეხვდა, წამოგება - მოკიდება, ეგება, ეგების, აწენება, შესაძლებელია, ვაგება, დაგება და სხ. განმარტება ალექსიკონი ყველა მნიშვნელობას ითვალისწინებს. რუსთაველი უფრო ხშირად დაგება - ვარკობის მნიშვნელობით ხმარობს. ამის მაგალითები ეფეხისტკაოსანში ბევრია და აქ აღარ ვახსენებ. ხოლო ამ სიტყვის ასეთ ვაგება დღეს უფრო დასულია მესხურსა და აღმოსავლურ კილოებში. მამასადამე ამ მხრივ ეფეხისტკაოსან ალმოსავლურ კილოებს მისდევს.

10. ხამს. საბას ეს სიტყვა არა აქვს. რუსთაველი მას ხმარობს „საქიროების“ მნიშვნელობით:

„ბრძენი ხამს. მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული“ (33) და სხვა

ეს სიტყვა თანამედროვე დიალექტკაში იშვიათად იხმარება და ის დარჩენილია ოსმალეთის მესხებში.

11. გაშეშება. ამ სიტყვას ქართულ ენაში ხმარობენ ისეთი მდგომარეობის აღსანიშნავად, როდესაც რაიმე ფიზიკური მოვლენის გამო ადამიანი უმოძრაო მდგომარეობაში ვარდება.

მესხურში მას სხვა ნიუანსითაც ხმარობენ, მაგალითად იტყვიან: პირდაპირ **გასაშეშებელი** ამბავია! რაც ნიშნავს გაოცებას, მამასადამე სიმძიმე გადატანილია ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. განმარტებითი ლექსიკონის ცნობით **გაშეშება** ის ექსტერი მნიშვნელობა კახურში გამოიხატება **გაშეშებინება**, რუსთაველი ხმარობს მას მესხური ფორმით იმავე მნიშვნელობის გამოხატავად.



12. - უკუნი. ეს სიტყვა ეფეხისტკაოსანში იხმარება ღრმა სბნელის აღსანიშნავად. თინათინზე:

„გი უებრო ქუშად ჯდა, ელვისა მსგავსად შენენდო მუარესა მისთა შექდავან უკუნი გარდაჟენოდა“ (122)

ტირელი ამბობს რომ ის ერთი წელი მგლოვიარობდა მამის გარდაცვალებას და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გახადს შვიები:

„ქე წელიწადსა ბნელსა ცკვი. საწუთრო გაცულებული“ (335)

„უკუნით გამოიყენანს ხასთა მათ წინამდგომელთა“ (337)

ამ სიტყვის ასეთი მნიშვნელობაც მიღებულია თანამე-
როვე მესხურში.

13. - სოსანი. „დილასა აღრე მოვიდა იგი ნახარდი სოსა-
ნი“. სოსანი იგივე შროშანი. მარის ახრით ის სომხური-
დან არის შემოსული და ის მესხიზმად მიიჩნია. მართლაც
დღესაც მესხეთში შროშანის მაფერ სოსანი ხმარებაში.

14. - დაკლა. რუსთაველი ადამიანზე ხმარობს მოკვლასაც
და დაკვლასაც, ესეც ხომ ანალოგიური მოვლენა არ არის
ქაშხისში? რაც თანამედროვე მესხურსაც ახასიათებს.

15. - პაშუა. ეფეხისტკაოსანში ნათქვამია:

„დავადე მზღვარი ინდოთ, ძველი პაშუა ხანი“ ე. ი.
კრვა ხანი მეგლო. ეფეხისტკაოსანის შემდეგ ეს სიტყვა
აღმოჩენილია მხოლოდ მესხურში და აპარულში (იმერ-
ტულში). იგივე სიტყვა მოხსენებელია ვისრამიანში, რო-
ლის თარგმანს სარგის თმოგველს მიაწერენ.

16. ტანა - ჯორი. ამ სიტყვას ჩვეულებრივ განმარტავ-
დნენ როგორც ერთი შვირის სახელს. მაგრამ რუსთავე-
ლის შედარებას ეს რატომღაც არ უღვება:

„კაცი ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანა - ჯორი“

შეერთან ასეთი შედარება შეუძლებელია. და გამოირ-
ყვა რომ ჯავახეთში ახლაც არის დარჩენილი ერთგვარი
თამაშობა პატარა მრგვალი ქვით თუ ბურთით, რომელ-
საც ტანა - ჯორას ეძახიან. და ბურთის თუ მრგვალი ქვის
ბრუნვასთან შედარებას აზრი ეძლევა: რუსთაველს შეი-
ძლება სწორად ეს თამაში ჰქონდა მხედველობაში, რის
ცოდნაც მას შეეძლო მესხეთში.

17. - ჰერი. დღეს ჰერს ეძახიან სახურავის ქვეშ ოთახის
ხდა პირს. მესხეთში მას თურქულ თავანს ეძახიან. ჰერი
წოდება წერილ ხეებს, საშენ მასალას. სახლის დახურვის
ღრის ხევიდან აწყობენ ღირებულად. მერე მას აყრან
ფიხის, მერე მოატალახებენ და მიწას დააყრიან. ამ მნი-
შნელობით იხმარება ის მესხურსა და აღმოსავლურ კი-
ლოებში. განსაკუთრებით მიითვლებოდა. მაგრამ მესხეთში
მას საშენი მასალა თუ არა, ყოველ წერილ ხეს ჰერი ეწ-
ოდება. შედარებისათვის იგივე მნიშვნელობისა როგო-
რც სარი, ოღონდ ჰერი უფრო დიდია როგორც სიმსხოთი
ისე სიგრძით. არსებობს აგრეთვე წერილი და დიდი ჰე-

რიც. რუსთაველიც შედარებაში აღნიშნულ ვაგება
იყენებს:

„აეთანდოლ მკერეტთა აშენენებს, ტურფითა აფრეხობდა
მელნისა ტბათს მიჯარვით ბურავს ვიშრითა ჰერითა“ (1009)

აქ ჰერთან წამწამებია შედარებული, ისე როგორც სხვა-
გან ადარებს სარს და სახეს (იგივე სარი).

„აეთანდოლ დაჯდა ტირილად, ტირს ხმითა შენენიერთა,
ყორანსა გაპკლუჯს ხშირ - ხშირად, აფრთხობს ბროლისა
ჰერითა“ (1342)

18. - ხარი. საყე.
„სადა ინდონი ბროლ ვარდას სარვენ ვიშრდას ხარითა“ (889)

„ქბილთავან შუქი შეუღდა ზედან ვიშრისა სარებას“ (1228)

„ბროლისა ველსა სტურფობდეს ვიშრისა მუნ საყენისა“ (193)

ე.ბერიძის გამოკვლევით რუსთაველის საყენი (მრავლო-
ბითში), არის იგივე გურული საყე, რაც იგივე ხარია,
საყეს გვერდზე უსოზენ სუსტ ლეროვან მცენარეს, რომ
ის ფესზე დააყენოს (იხ. „მნათობი“. 1960 წ. 6).

სარი სხვა კოლოებშიც გვხვდება, მაგრამ გვხვდება უფ-
რო სხვა სახეებით. მხოლოდ სარი გვხვდება მესხურში,
ნაწილობრივ კი ქათულულსა და რაქულში. გურულში სა-
ყე, ქართლ - კახურში უიგო, ქართლში კიდევ იხმარება
მარგილი, იმერთში ჭიღვა და სხვა.

ეფეხისტკაოსანი უფრო იმეორებს მესხურ - გურულ
ფორმებს.

19. დარი. ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობაა: ამი-
ნდი, ტაროსი. იტყვიან: კარგი დარია, ცუდი ტაროსია და
სხვა. მისი მეორე მნიშვნელობა: თანასწორო, მსგავსი. იხ-
მარება წინანდებულთ: შესადარია, დისადარია. შედარება.
რუსთაველით:

„მიჯნურობა სხვა რამეა არ სიძვისა დასადარი“
„თანა ჰყევა კაცი ათასი, ყველაი გმირთა დარები“

მიუხედავად ამისა რომ მოყვანილ ადგილებში სიტყვის
აზრი ნათელია, ერთ ადგილას მკვლევართ ეს სიტყვა ვერ
გაიგეს და ის თავისებურად გადააკეთეს. ვერ გაიგეს რუს
თაველური ნიუანსი ამ სიტყვისა. რუსთაველი სწერს:

„მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“.
პაუელ ინგოლიცამ ეს სიტყვა უაზროდ გაიგო და ასე
გადააკეთა:

„მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა აღამადარი“
გამოდის რომ რუსთაველი ხელობით ყოფილა აღამადარი
ე. ი. მედროში. მკვლევარმა აქ „ხელობა“ პროფესიოდ
გაიგო, მაშინ როდესაც ის უბრალოდ გიქს ნიშნავს. ამ
უცნაურობას მიხილ წერეთელმაც დაუშტატა. სიტყვა
ამა დარი უაზროდ აღიარა და სტიქიონი ასე გადაკეთა:



„მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამას **მცდარი**“
და მას ის ასე სთარგმნის: მე რუსთველი, გონება დეჭარს
გულებით მცდარი ვიქმ ამა საქმესა“ (იხ. გ. ტყ. მისი გა-
მოცემის წინასიტყვაობა.)

ამ სიტყვას იმითგან შეეწირდით, რომ რა კი ორი მეც-
ნიერსავე ის გაუგებნის აღმოჩნდა, სჩანს რუსთველუ-
რი გაგება აღნიშნული სიტყვისა ყველგან არ უნდა იყოს
ცნობილი; და მომაგონდა სიტყვადარის მესხურში გავრცე-
ლებული მნიშვნელობა. მასსოვს, ბავშობისას, როდესაც
ბუტოს ვთამაშობდით ორი პირი გამოვიდოდა და ირჩე-
ვდა თავის მომხრე მოთამაშეებს. ამას დარებს ვეძახდით.
ამბობდენ: ბავლე შენი დარია, პეტრე შენი დარია და
სხვა. ვეფხისტყაოსანშიც სწორედ ასეთი მნიშვნელობით
იხმარება. აზრი სრულიად მარტივია და ყოველივე ჭაბან-
წყვეტა ზედმეტია.

„მე რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა **დარი**
ვის მორჩილებს ჯარი სპათა, მისთვის ცხელობ, მისთვის
მკეცარი“

უბრალოდ ნიშნავს: მე რუსთველი **ამგვარ** საქმეს ვა-
კეთებ სივითით, ვკვიდები და ვკვდები მისთვის, ვისაც
ჯარი სპათა ემორჩილებოდა, და აქ გაუგებარი და უცნაუ-
რი არაფერია!

20. - ფერი.

„მოეხვია და ატირდა ცრემლითა სისხლთა **ფერითა**“
(508)

„რა ვაზირი შემობრუნდა, **ფერი** ჰკრთა და ჰქონდა რიდი“
აქ და სხვაგან **ფერი** იხმარება ჩვეულობრივი მნიშვნელო-
ბით.

„თუღა მოჰნახავ, მონახე, ჰქმენ რაცა შენი **ფერი**“ (854)
„კვლავ ეუბნების ავთანდილ სიტყვითა **მრავალფერითა**“
(887)

ამნაირად რუსთველი ამ სიტყვას ხშირად ხმარობს მსგავს-
ისს, ნაირობის მნიშვნელობით. იშვიათად გვხვდება ის
ლიტერატურულშიც, მაგ. **არაფერი**. ხოლო ვეფხისტყაოსნის
შემდეგ **ფერის** ეს მნიშვნელობა ფართოდ აქვს დაუცული
ჭურულს. ეს მოვლენა ნიშანდობლივია იმისთვის რომ გუ-
რული ყველაზე მეტად ინახავს მესხურ ფორმებს და იმე-
ორებს რუსთველისებურ მნიშვნელობათ.

21. - თვისი. ამ სიტყვას გარდა კუთვნილებითი ნაკვალ-
სახელის მნიშვნელობისა, ვეფხისტყაოსანში აქვს აგრეთ-
ვე თავისიანის, ნათესავის მნიშვნელობა, რაც მიღებულ-
ია თანამედროვე მესხურში, მას ხმარობს გ. მთაწმინ-
დელიც.

22. გასათხოველი. თხოველი. ლიტერატურულში ვიტყვი:
გასათხოვარი, მთხოვარი. ვეფხისტყაოსანშიც: **გასათხო-
ველი**, იგივე მესხური **გასათხოველი**, ეს იხმარება აგრე-
დევ ქართულში. ამაზე იგივე უნდა ვაგიგოროთ რაც
გურულის შემთხვევაში. რადგან თუ დასაცემოთ უმთა-
კრესად გურული იმეორებს ვეფხისტყაოსნის და მესხუ-

რის ფორმებს, აღმოსავლეთში იმეორებს ქართულში მე-
სხურის მზგავსად აწარმოებს **მათხოვრიდან თხოველი**.
23. - გავლენა. ამ სიტყვას რუსთველი **დღევანდელ შემე-
შენელობით** არ ხმარობს. ვეფხისტყაოსანში ის ნიშნავს:
ხათის ვისმისადილი, პატეისცემის, დახმარებას, სამსახურს.
ნესტანი მიმართავს ტარიელს:

„იგი მე მომეტ **რადენი**, რომელნი ძიოდან გშეგნოდეს,
ესე სამკლავე შეიბი, თუ ჩემი **გადაგვლენოდეს**“ (496)
გაპარვის წინ ავთანდილი არიგებს შერმადინს:

„სახლი ჩემი შეინახე, სპათა ჩემთა ერთავადე,
სამსახური აქანამდის კვლა **გავლენა გააკვლადე**“ (778)
შემდეგ: ავთანდილი უამბობს ტარიელს თუ როგორ დას-
ცავდა ის თინათისს, რომ თინათისს უთხოვია მისთვის
ტარიელისადმი დახმარება.

„მან მიბრძანა: მადლითა ვარ, კარგად ხარ; და მამაკურად,
შენგან მისსა **გავლენასა** მე დაეიგნევე სამსახურად“ (933).

კიდევ რამდენიმე ადგილს არის მოხსენებული ეს სიტ-
ყვა, ყველგან ერთნაირი მნიშვნელობით. ეს მნიშვნელობ
კი ვეფხისტყაოსნის შემდეგ მხოლოდ სამცხეში მშენია.
მაგონოდება ერთი ამბავი: ერთი ხანში შესული დედაკაცი
ახალგაზრდა ქალს გხვეწებოდა: შენი ქორიბე, თუ ჩემი
გავლენა გაქვს ეს საქმე გამოიკეთო! მე მაშინ ახალგაზრდა
ვიყავი და ვიფიქრე რომ ამ დედაკაცს ეტყობა არ ესმახ
ამ სიტყვის მნიშვნელობა და უდაგიოდ ხმარობს.. ძალ-
ის გვიან როდესაც ეს სიტყვა ვეფხისტყაოსანში ამოვი-
კითხე, მივხვდი, რომ ას დედაკაცი მართალი იყო და მე
არ მესმოდა სიტყვის ძელი მნიშვნელობა.

24. სახლი. თანამედროვე მესხურში სახლს ეძახიან აგ-
რეთვე ცალკე ოთახს. ამავე ვხედავთ ვეფხისტყაოსანში.
როდესაც ტარიელმა გახსნა დევევის სახლი:

დაღმევეს კარი ორმოცი, მათგან არ ზედა ომია:“ (1365)

„იგი სახლი ორმოცივე შივან იყო გატენილი“ (1367)

25. ხევა. ამ სიტყვასევე სავალალორად უნდა შევხედოდით,
რადგან მისმა მცდარ ახსნამ მრავალი გაუგებრობა გამო-
იწვია. დადამინჯავ ავტორის მადვილი აზრი და რაც მოა-
ვარია ასეთი დამახინჯებით ითარგმნება ხშირად ის უტო-
რენებდაც. ეს სიტყვა ნიშნელობა ვეფხისტყაოსნის
შესავალში, რომელსაც უფრო მააწერენ სხვა პირს და
არა რუსთაველს. ასეთად კი ახახელებენ **ვინმე მუხს.** თუ
ეს მართალი გამოდგა საკითხი მარტივად იხსნება. მესხი-
სთვის მესხიზმის ხმარება ბუნებრივ იქნებოდა! მაგრამ
ამ სიტყვის მნიშვნელობა მიიტე უნდა გამოირკვეს, რაკ
მან ასეთი გაუგებრობა გამოიწვია.

საზოგადოდ ამ სიტყვის ორ მნიშვნელობას ვიცნობთ:
დახვეა: დახვეა ქალადისა ან და უკან დახვეა. მაგრამ ამ
სიტყვას აქვს ერთი მესამე მნიშვნელობა, რასაც გულისხ-
მობს რუსთველი და რაც მხოლოდ მესხურში უნდა იყოს
დაცული. ექვი ჰქონდა რომ ის არსებობდა ქართულშიც
და ზოგიერთი ავტორიტეტული პირების გამოკითხვამ ეს
არ დაკვიდასტურა.



მესტურ კილოში ხევა იხმარება დენის მნიშვნელობით. მესტურში ეს გავება ვაგრცლებულია. როდესაც ვლხი ყანაზე წყალს მიუშვებს, ამაზე აგრედლე იტყვიან: ყანას წყალი დავაპარი ან მიავაპარიო. ეს იმ შეთხვევისათვის როცა წყალი პატარა და დინების პროცესი ნაო. ხოლო როდესაც წყალი დიდი და დინება სწრაფი, იტყვიან: ყანას წყალი დავახე ან მიაახეო. რუსთაველი ხევას სწორედ ამ მნიშვნელობით ხმარობს:

„მარ აგრედლე მელექსეთა, ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“
 „როდესაც ავლ. ბარამიძე ლაპარაკობს რუსთაველის პოეტაზე და მოყვის შედარება პოეტის მებრძოლთან, სწეხს: ბრძოლის დროს მნიშვნელოვანი მომენტია სტრატეგიისა და ტაქტიკის შეხამება, ხან თავდასხმა, შეტევა არის სპორი, ხან გონივრული ფანდის გამოყენება, უკან დახევა („ლიტერატურული ძიებანი“ 7. გვ. 188) — ამ სტრატეგიებს რომ კითხულობთ, გვეგონებათ ავტორი დავით აღმაშენებელსა და დიდ გიორის ომზე ლაპარაკობს! მაგრამ თავი დავკვირებთ ბარამიძის „სამხედრო ხელოვნებას“ რად გან რუსთაველს არც ომი აინტერესებს აქ და არც მისი ტაქტიკა — სტრატეგია. ავტორი უბრალოდ ადასტურებს შალვა ნუცუბიძის მცდარ გავებას სიტყვა ხევისა. ნუცუბიძემ ეს ხევა ვაგო უკან დახევა, რაც სწორი და უზრუნველი რუსთაველის ნუცუბიძის და ეწინააღმდეგება ავტორის ნამდვილ აზრს. რუსთაველი სწერს:
 „ეთა ცხენას შარა გრძელი და გამოსცეთის დიდი რბევა, მობურთალსა — მოენდი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა, მათ აგრედლე მელექსეთა — ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა რა მისკირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.“ (13)

ნუცუბიძემ მას ასე სთარგმნის: როგორც ცხენს გამოსცეთის გრძელი შარა და დიდი რბევა, ან მობურთალს მოენდი და სწორად ცემა, მარჯვედ ქნევა, ასევე ნამდვილ პოეტს გამოსცეთის ლექსთა გრძელთა თქმა, ხოლო: თუ გაუქირდა და სიტყვა შემოაკლდა, შან უნდა დაიხიოს და ძალა შემოიკრიბოს...“

შედარების ლოღია მოითხოვს, რომ პოეტის შესახებ აზრი ვაეკარცლებოდ ცხენზედაც. სხვანაირად რუსთაველი ასეთ შედარებას არ მიმართავდა. და აქედან ასე უნდა ვავიეთ რომ ცხენსაც, როდესაც დაბრკოლება შეხვდება, მან უკან უნდა დაიხიოს, თევა — ქერი მიირთვას, ძალა შემოიკრიბოს და მერე განაგრძოს თავისი რბევა: ცხადია ეს ბარამიძის სტრადეგიასაც უღდება!

რუსთაველის აზრის ასეთი გავება კი სრული აბსურდია; ჯერ ერთი რუსთაველი სრულობით არ გულისხმობს ცხენის უკან დახევის აუცილებლობას. პირიქით აზრი ისეთია რომ კარგ ცხენს უკან დახევა არ უნდა დასკირდეს, მაშინ ის კარგი ცხენი ვერ იქნება. გამოსაცდელად დიდი მანძილი ვაჭერნული, რადგან პატარა მან ძილს ცუდი ცხენიც გაიჭრის. იგივე აზრი უნდა ამოვიკითხოთ პოეტის შედარებაშიც. შოთასათვის ნამდვილი პოეტი ის არის რო-

მელსაც შეუძლია ვრცელი ეპოპეის შესრულება; „მოწინააღმდეგარე არა ჰქვია, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“ — რუსთაველის კრეო: (ყოველ შემთხვევაში, მისი „დასტურების“) რუსთაველი სწორედ რომ არ ცხნობს ისეთ პოეტს, რომელსაც სიტყვა შემოილევა და საქმე უკან დასახევადა ვაგებხვდა. ამას ადასტურებს მომდევნო სტროფიც, სადაც ავტორი ირონიით დასძენს:

„მაშინდა ნახე მელექსე და მისი მოზიარობა რა ვეღარ მიხვდეს ქართულსა დაუწყოს ლექსმან ძვირობა“ (14)

რუსთაველი ასე დასკინის ისეთ მელექსეს, რომელსაც სიტყვა გამოილევა და მასადასმე იძულებულია შეჩერდეს ის ასევე დასკინება ისეთ ცხენს, რომელიც დაბრკოლებას ვერ გადალახავს და უკან დაბრუნდება. ეს არის რუსთაველის ნამდვილი აზრი და არც გაუგებარი. რუსთაველი პირდაპირ გვეუბნება, რომ ნამდვილი მელექსე უნდა იყოს ისეთი, რომ

„არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა — მცირობა, ხელმარჯვედ სცემდეს ჩოვანსა, იხმაროს დიდი გმირობა“ (14)

მაშინ როდესაც ნუცუბიძის გავება სრულიად ეწინააღმდეგება ამას. ასე მეთარად სთარგმნა ეს რუსულად და სამწუხაროდ მერე ყველა რუსულად მთარგმნელები ამას იმეორებენ და რუსთაველს ნამდვილ აზრს უკარგვენ.

შ. ნუცუბიძის ასეთი დიდი შეტობა იმიტომ მოუვიდა რომ მან ვერ ვაგო სიტყვა ხევის რუსთაველისებური გავება. ხოლო ბევრმა სხვა მკვლევარმაც თუმცა ეს სიტყვა ვერ ვაგო, რუსთაველს აზრი მაინც სწორად ვაგო. ნუცუბიძის ყალბ წყითხეას, უთურად ხელი შეუწყო მომდევნო სტრიქონის ერთმა პატარა შეცდომამ; „რა მისკირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა“ ესრა შეიძლება იყოს ვადამწერთა უნებლიეთი შეცდომა; მის ადვოლას კი უნდა ყფოდა იყო არ და მაშინ ყველავერი კალაპოტში დევა. მაშინ ვამოვა:

„მართ აგრედლე მელექსეთა, ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა არ მისკირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა“

მაშინდავე რუსთაველი კატეგორიულია: რომ ნამდვილ მელექსეს არ უნდა მისკირდეს საუბარი და არ უნდა დაუწყოს ლექსმან ლევა.

ვინც კარგად იცნობს რუსთაველის ლექსის ბუნებას, დავგვთანხმება რომ აღნიშნული შესწორებით სწორედ რუსთაველის ხასიათთან ვეაქვს საქმე. ამ აზრს რუსთაველი მომდევნო სტროფშიც იმეორებს და სწორედ ჩვენს მიერ შესწორებული ფორმით:

„არ შეამოკლოს ქართული, არ ქმნას სიტყვათა მცირობა“ ეს აზრი უკვე დამუშავებული გეჭონდა როდესაც იმედაშვილის ბიბლიოგრაფიით ვავიციანი ვ. ბერიძის აზრი „ვეფხისტყაოსნის პროლოგის ერთი ნაწილის შედგენილობისათვის“. მისი აზრით რუსთაველის სტროფებს ახასიათებს ლოღიკური კავშირი და სინტაქსურიც; ; და აღნიშნულ



შემთხვევაში სწორედ ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ეს მოვლენა შემინვევა ძირითად ტექსტშიც და რუსთაველის თხრობის ასეთი ფორმა უნდა მოდიოდეს ხალხური ფოლკლორიდან; ამ შემთხვევაში ჩვენ ერთგვარ განმეორებასთან გვაქვს საქმე. რუსთაველი ერთ სტროფში, ან მის ბოლოში უბრალოდ გადმოსვრის აზრის დასვენას, ხოლო შემდგომი სტროფში ამასვე იმეორებს, ხშირად ერთნაირი ფრაზითაც; უფრო მეტი განმარტებითა და დამაჯერებლობით; ეს არის რუსთაველის თხრობის წესი და ამის მაგალითების დასახელებაზე აღარ შევჩერდებით.

როგორც ავლინა სიტყვა **ხევა** ვერ გაიგო და აზრი დაამახინჯა მისი მცდარი წყაიბებით. ზოგმა კი აზრი ვაი გო და სიტყვა **ხევა** ვერ გაიგო, ამიტომ საჭირო იყო ამ სიტყვის ისეთი ახსნა რაც რუსთაველის აზრს არ დაამახინჯებდა.

მიხეილ წერეთელთან ერთ კერძო საუბარში პირველად მოვისმინე **ხევის** ახალი განმარტება, ვერ შევთანხმდით და მერე მან ეს პატარა "შენიშვნის" სახით დაბეჭდა „ბედიქარძოლისას“ 39 — 40 ნომერში, და აქ ამ დაბეჭდილ მასალა გამოვიყენებთ.

მიხ. წერეთელი განმარტავს რა სიტყვა „მესხურის“ მნიშვნელობას, ანალოგიასთვის ასახელებს **ხევასაც**. მისი აზრი ეფუძნებას ნიშნებს **ხევა** უნდა წყაიკითხოთ როგორც **ხევა**. **ხევა**, „ნიშნავს თქმას, რეცტაქსის, დეკლამაციას.“ ე. ი. გამოდის რომ რუსთაველის სტრიქონი:

„მართ აგრევე მეღვქესა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“ წერეთლისებურად ნიშნავს: ნამდიღლ მეღვქეს უნდა შეეძლოს გრძელი ლექსის თქმა და დეკლამაცია, ე. ი. მისი შესაფერისი წამოთქმაც.

ახლა გავსინჯოთ რამდენად უდგება ეს რუსთაველის აზრს ჯერ ფორმალური მხარე. **ხევა** რომ **ხევა** ყოფილიყო, საკვარაუდლო რომ ბგერა **ჰ** ამოვარდნილია. რა კი ეს ბგერა რითმულ ნაწილს არ ეკუთვნის, შეიძლება მასზე დავა; ვფიქრობთ, რომ თანხმონების **ხე** გამოთქმა მეტად მძიმეა, მიუთმეტეს რომ მას წინ უძღვის და კავშირის წინ **თქ** თანხმონების კრებული და მათი ერთად გამოთქმა არღვევს რუსთაველისებურ მუსიკალობას.

რაც უქმნება შინაარს აქ კი შემდეგი უნდა ითქვას: თუ **ხევა**ც თქმას ნიშნავს, მაშინ შეიძლება ეს გამოერება არ უდგებოდეს რუსთაველის განმეორების წესს. უფრო კი დეკლამაციის უნარი, ანუ წარმოთქმისა რუსთაველი ვერ გამოიყენებდა კარგი პოეტის დამახასიათებლად. რადგან აქ ჩვენ ერთ ისეთ ბუნებრივ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რომ რუსთაველს მის გაუგებრობას ვერ ვკადრებდით. მაგალითად: პოეტს შეიძლება იყოს დიდი ნიჭის და გენიალური რამეც დაგვიყვაროს, მაგრამ მას არ შეეძლოს მისი რიგადი წარმოთქმა. ან და პირიქით, ხშირად ყოვლად უნიჭო პოეტს შეიძლება ძალიან კარგი დეკლამაცია შეეძლოს.

რუსთაველსაც ამ მოვლენისათვის რომ თითქმის კარგ პოეტს კარგი წარმოთქმაც უნდა შეეძლოს არცაა სწორი არ გაუესკია. და ამ ფაქტით მიხეილ წერეთელის განმარტებაც არ უდგება რუსთაველის აზრს. გვჩვენებ ერთი ახსნა: როგორც კარგ ტენს გამოსცდის დიდი რბევა და ისიც დიდ მანძილზე. ასევე დიდ პოეტს ლექსის გრძელად თქმა, მის შეტყუებლად, და ის უნდა დიდოდეს დაუბრალოებლად, როგორც მინდარი. ესაც დეკლამაციის უნარი შემოქმედებისა არა აქვს რუსთაველს ის არ მიაჩნია პოეტად, მიუთმეტეს დიდად.

ყველა ამას დასატურებს ისიც, რომ როგორც სწორად რუსთაველის შედარება ყოფილა ძველი, კლასიკური და შეიძლება გავრცელებულიც იგი ჰქონია ტატიკის თავის დიალოგებში. გამოაქვეყნა მიხეილ წერეთელმა და მიმართა მისგან. (თარგმანი მიხეილ წერეთლისა):

; (რათვან) რავგარადაც კითილი ჯიშის ცენებს რბევა და მანძილი გამოსცდის, აგრედვე მჭემრტყველთათვის (ორატორთათვის) არის ერთგვარი მოედანი, რომელიც მათ თავისუფლად და შეუბორკავად უნდა გაიბრინოს. (რათვან) რავგარადაც კითილი ჯიშის ცენებს რბევა რომ არ შესუსტდეს და არ დაბრკოლდეს მჭემრტყველებს“.

შეცვალეთ აქ **მჭემრტყველი პოეტი** და მიიღებთ რუსთაველის შედარებას. აქ ყველაფერი ზედმიწევნით ერთი მეორეს ხვდება, აზრიც და ფორმაც და აქედან ისიც სჩანს რომ ყოველგვარი „უკან დახევის“ შესაძლებლობა გამოირცხლება. პირიქით სწორედ ეს უკანდაუხეველობის აუცილებლობა არის მთავარი სიბრძნე რუსთაველური პოეტისა და ტატიკის ორატორისა.

აღბად ტატიკის შედარების ფორმამ შთაგონა მიხეილ წერეთელს როდესაც აღნიშნული სტროფის ბოლო სტრიქონში რა შეცვალა არ-ით (ჩვენგან დამოუკიდებლად). მასასადამე მისითაც.

„რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა“

უნდა იკითხებოდეს:

„არ მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა“.

გამოდის ანალოგიური ტატიკისა:

(რომ) არ შესუსტდეს და არ დაბრკოლდეს მჭემრტყველებს და სხვა...

შთაბეჭდილება რჩება თითქმის რუსთაველს (თუ ვინმე შეესხს) პირდაპირ უსუსხის ეს ადგილი და ტატიკის ორატორის ადგილას პოეტი ჩაუსვამს.

ამის დასამტკიცებლად რომ სიტყვა **ხევა** - ს ჩვენს მიერ ახსნილი მნიშვნელობა სწორია და ზომიდანარეობს ამდვილი ქართული მეტყველების ძირებიდან, კიდევ მოვიჩინებ მასზე შეჩერება.

აქ სამი შესაძლებლობა შეიძლება დაუშვათ: ის უნდა ნიშნავდეს ან დახევის (მავალითად ქალღისი), ან შეხებას (ახლოს ხლებას), ან და დენას, დინებას. აქედან პირ-

ველი და მეორე შესაძლებლობა ადვილად გამოირიცხება. დავგრძელებ მესამე და ეს უნდა იყოს სწორი.

მეორე სტრიქონის დასაწყისი „ანუ“ მიგვიბრუნებს პირველის აზრის განმეორებაზედ სხვა სიტყვებით, თანახმად რუსთაველის წესისა. ვამოდის რომ მეორე სტრიქონის „ჩუყვა“ იმეორებს პირველის „ხევს“.

„ხევის დენის მნიშვნელობა რომ ქართული მეტყველების მოდის, ამის საუკეთესო საბუთი გვაძლევს საბა - სულს ორბელიანის ქართული ლექსიკონი. ავიღოთ მისი ამბარტება „ხევი“ - სა:

„რა წყალნი შევრთდებიან და ჩავლიან, ხევი ეწოდების და სხეები რა შევრთდებიან მდინარე ეწოდების“ და სხ. ალა ენახათ მეორე სიტყვა „აღლდა“... „ღელდა ითქმის ხევი მცირე... ბოლო ხევი უდიდეს და უღრმეს და წყალი-ნიშნითაჲც მეტი ღელეთასა“... აქედან ძიანს რომ საბა ხევა და ღელეს პირდაპირ წყალს ეძახის და არა იმ სივრცეს სადაც ისინი მიმდინარეობენ, როგორც ღელს ეძახით; ხოლო არსებითი სახელისაგან ზნის მიღება უკუღმა ჩვეულებრივი ამბავია. ვნა ფშაველა სწერს: „კლდეს შეზღუდა მდინარე, სადაც ხეობა დიოდა“; მაშასადამე ვამოდის: ხევი - ხევა, მდინარე - მდინარება ანუ ღემა. ვეფხისტყაოსანში დენის ნიუანსადგვა გამოყენებული იგივე ძირის გავხე.

„ხანი დავყავ, გავყყავ, მაგრა გავხე ვითა ხელი“; ამ სტრიქონში გავხე არ შეიძლება გავებული იყოს როგორც ხელი - ს შემოკლება. მაშინ გამოვიღოდა გავგიჟდი ვითა ვიგოი; აქ ლაპარაკია გავცევაზე, გავაქნაზე; ამბოხენ გიჟივით გავარდაო! სიტყვა ვარდნაც არის გამოყენებული წყლის დენის ზოგიერთ მომენტზე. მაგ: წყალ-გაღნდიო.

ამგვარად ჩვენ დავრწმუნდით, რომ სიტყვა ხევა - ს ვეფხისტყაოსანი ხმარობს იმ მნიშვნელობით, რომელიც შემოუნახავს მესხურს და ამავე დროს ის მოდის საერთოდ ქართული მეტყველების საუნჯედან.

რუსთაველის მიმართ საერთო დასკვნა იქნება: რომ ნამდვილი მელოქსე ის არის რომელსაც ძალა შესწევს კრძელ ლექსთა თქმა. შეუჩერებლად, ისე რომ ის უნდა დიდდეს როგორც მდინარე.

რუსთაველამდე სწორად ანალიზიურ აზრს გამოსთქვამს გიორგი ხუცესმონაზონი. ის სწერს გიორგი მთაწმინდელის შერმეტყველებაზე:

„რამეთუ, ვითარცა მდინარე დაუწყუთეულად, ისრითილოდეს სიტყვანი სწოდთა წყრილთანი პირით მისიო“ და ბოლოს მზგავსავე გამოთქმას ხმარობს ილია ჭავჭავაძე ვთქა - ფშაველას შესახებ: „გზა - კვალი პოეზიისა, სიგრძ - სივანე და სიღრმე მისთა აზრთა დენისა მეტად ღრსწესანიშნავია“....

4. - ვეფხისტყაოსნის მორფოლოგიადან.

1. გნით, ამ თანდებულს ხმარობს რუსთაველი:

„სხვაგნით, ყოველგნით უღონო ვარ, შენგნით არის ჩემი ღონე“ (347) 1911

დღევანდელ ქართულში ეს თანდებული უღრის სხვა-სხრივ, სენარიად. რუსთაველის ხმარებული ფორმა რომ დიალექტურია ეს იქნადი ხანს რომ ის თანამედროვე ფორმებსაც ხმარობს. (მაგალითები!)

ეს ფორმა კი უმთავრესად დამახასიათებელია მესხურისადა გურულისათვის.

2. თვის. ვეფხისტყაოსანში ეს თანდებული იხმარება ისე როგორც თანამედროვე ქართულში; მაგ: „მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს“ (228) და სხვა. მაგრამ რუსთაველი მას გვერდით ხმარად ხმარობს მეორე ფორმასაც, რაც დიალექტურად უნდა მივიჩნიოთ. ეს ფორმა არის და (ხან კიდევ აღ), რომელიც ღელს შერჩერულია აქვს დასავლურ დიალექტებს შემდეგი ფორმით: ჩემდა - ჩემიზდა - ჩემიზა. აი რამდენიმე მაგალითი რუსთაველიდან:

„გული თქვენი მიპოვნია, მისი შენდა შენი მისდა“ (250) „თუ მოყვარა გულისაჲ,ქმანს ჩემყენ მონაზილობა, თვარა მე ჩემდა, იგ მისდა, დია სჯობს კიდის კილობა“ (1488)

თანამედროვე დიალექტიკიდან კი ეს ფორმა ყველაზე მეტად გავრცელებულია გურულში, რომელიც დასავლურითაგან ყველაზე ახლოს სდგას მესხურთან. (მაგ. „თქვენდაც კარგი იქნება და ჩემდაც.“ ნინოწიფი); თანამედროვე თქვენთვის ვი ვადაღის უ - ში, თქვენითვის - თქვენთვის, თქვებოუნ და სხ. და ეს მოვლენა, შოთა ძიძიგურის სამარტილიანად წმინდა მესხურად მიანჩნა. და მგონია ის ანალოგიური უნდა იყოს მესხურის მეორე საეციფიური მოვლენის, ორდესაც მიმდევობაში ილ ვადაღის ულ - ში. ამაზე კი ქვემოლ.

ფორმა და შეიძლება მიგვეჩინა ძველი ქართლისა ვადიმონაშთად. მაგრამ ის ფაქტი რომ მეორე ფორმა ძველადაც იყო გავრცელებული და და ფორმად დღეს მხოლოდ დასავლეთის დიალექტებმა შემოინახეს, ის უნდა აღვიპროთ დიალექტურ ფორმად რომელიც იხმარებოდა მეორე დიალექტურ თვის ფორმისთან ერთად და რომელიც შეინაჩუნდა თანამედროვე ლიტერატურულში მაშასადამე ეს ორი ფორმა მოდის ორი სხვა და სხვა დიალექტური ჯგუფიდან. რა კი თვის ფორმა დამკვიდრდა ლიტერატურულში და და ფორმა დარჩა როგორც დიალექტური დასავლურ კილოებში. აქედანვე ცხადი ხდება რომ თვის თანდებული დამახასიათებელი ყოფილა აღნოსავლური დიალექტებისათვის. და რა კი ეს უკანასკნელი დაედო საფუძვლად თანამედროვე ლიტერატურულს, ცხადია თვის შევიდა ლიტერატურულში და და კი დარჩა დიალექტურ ფორმად.

მაშასადამე ამ თანდებულის მიმართაც რუსთაველი შერეულ ენობრივ ნიადაგზე დგას და იმეორებს აგრედვე შერეული ტიპის მესხურ დიალექტს.



3. ი. - როგორც ვეფხისტყაოსანში, მესხურისათვისაც დამახასიათებელია ხმოვან - ფუძიან სახელებში სახელობითის დაბოლოება **ი** - ს დამატებამ პატარა - მატარაი, დედა - დედაი და სხ. ჩვენ საერთო დებულებას ამართლებს ეს პატარა მოვლენაც. ამ გვარ მოვლენას მესხურის შემდეგ ადგილი აქვს აღმოსავლეთში უშთაერესად ქართულში და დასავლურთაგან უშთაერესად გურულში. სწორედ იმ კილოებში ორივე გვევლინება, რომელიც ვეფხისტყაოსანის და მესხურისათვის საზიარო ფორმებს იმეორებენ. **4. შიგან, ზეგან.** ეს თანდებულები კი ახასიათებს ერთის მხრივ ვეფხისტყაოსანს და მესხურს და მეორეს მხრივ აღმოსავლურ კილოებს.

აქვე უნდა შევხებით ერთ მოვლენას ვეფხისტყაოსანში რაც საკმარისად ხშირად გვხვდება. ეს არის ბრუნვების შენაცვლება. ხშირად ესა თუ ის სახელი ან სხვა ნაწილი სიტყვისა ერთი ბრუნვით მაგირ იხმარება მეორე ბრუნვაში, ხშირად კიდევ ბრუნვის მარჯვენა ბოლოსართი მოკვეთილია და ის სტოვებს სხვა ბრუნვის შთაბეჭდილებას. მიუხედავად რუსთაველი ასრებულ წესებს ბრუნვებისა ძალიან კარგად იცნობს და რასაკვირველია, უშთაერესად საერთო წესებს მისდევს. და ჩვენ ვფიქრობთ რომ ამ შემთხვევაშიც, როდესაც ის ბრუნვათა არა სწორ ფორმებს მიმართავს, საქმე უნდა გვექონდეს დიალექტურ გავლენასთან. თუმცა ასეთი მოვლენები გაცილებით ცოტაა სწორ ფორმებთან შეფარებით.

1. რუსთაველი ჰკვირს მიკემითი ბრუნვის დაბოლოებას და ვიღებთ სახელობითს, „საღამო - უამ დაიძახა ქედილ მათქან დარაჯამა,“ (449) ხაზგასმულ სიტყვას თუ კომოზიტად მივიღებთ, ვაშს მოკვეცილი აქვს მიკემითის დაბოლოება. ხოლო თუ ამ სიტყვას ცალ ცალკე ავიღებთ მაშინ ორივეს აქვს მოკვეცილი. ეს მოვლენა დამახასიათებელია მესხურისა და მით უახლოვდება აღმოსავლურ კილოებს.

2. „მით **ორთავე** აშენებდა ფიჭქსა თოვან, ვარდა ნამა“ (686)
„მივიდით. გვექონდა **ორთავე** კრძალა მისისა კრძალისა“ (1153)

აქ ორივე შემთხვევაში **ორთავე** სახელობით ფორმაშია, მაშინ როდესაც გამოხატავენ მიკემითს. მაგრამ შესაძლებელია ფორმა, სწორედ, სახელობითი მნიშვნელობითაც იხმარება: „მოასხნეს კანერი, გაგზანეს **ოთხოთავე** ცისა კიდეთა“ (115)

ვეფხისტყაოსანის ეს მოვლენაც საზიაროა მესხურისა და აღმოსავლური კილოებისათვის.

3. „შემოვიდა მას წინაშე, თინათინის მონა ზანგი“ (120).
„ღლისით ვიყვი მას წინაშე, გამიშვებდის არცა ძილსა“ (332).

აქაც აღნიშნული ნაცვალ სახელი ნათესაობითის **მის** მაგი-

ერ გვაქვს მიკემითი. ამ მოვლენას იცავს მესხური და მანარად შედგენილი სიტყვა: **მას უჩან ვეფხისტყაოსანში** მესხურში იღებს **მასუჩან** - ის სახეს (ერთი ასის ვადას ცვლებით). სხვა დიალექტებიდან კი ის გავრცელებულ გურულში.

4. „ავთანდილ **ცხენა** ვარდახა, მონახა დიდნი ხენი“ (220 და სს.)
აქაც **ცხენა** მიკემითშია და იხმარება მოქმედებით მაგიერ.
„თუარა მე ჩემდა, ივი მისდა, დია სჯობს **კიღის** - კიღობს“ (1483)

აქაც **კიღის** ნათესაობითი იხმარება მოქმედებითის მაგიერ და კიდევ სხვა მრავალი მაგალითების მოყვანა შეიძლება მსგავსად და ანოლოგიური შემთხვევების შესახებ დროა მიგვანია ავრედევ დიალექტურ მოვლენებზე.

5. ზოგი ნაცვალსახელი, ნაწილია და ზმნისზედ ვეფხისტყაოსანში.

სხვა წამალი ჩემთვის სად არის, კაცი როგორ იპოვის ამ
ქვეყნად იმას, რაც ღმრთის მიერ, ღმრთის საქმე არ არისო,
ესე იგი, - ღმერთმა უნდა მოგანიჭოსო —
კაცმანმცა სოველს ვით პოვა, რაც არა საქმე ზენია! (1338)

და თვით ვ. ტ. - ის დამწერი გვეტყვის —
კაცსა ღმერთი არ გასწირავს, თუცა კაცი შეიგებდა (1362)
გაიგებს, მიხვდებაო.

რამაზია და მისი ლაშქარი ტარიელს ეხვეწება: ნუ დაგ-
ვხოცავო, - და მან წყალობა მისცა - და აქ ნათქვამია —
ღმერთი ალხენს მონაწულთა, არ შეუნდობს კაცი ვინა! (1612)

ანუ: ღმერთი სისარულს ანიჭებს, ალხენს მათ ვინც
თავის ცოდვას მოინანიებს და რომელია ის კაცი, რომე-
ლიც მერე კაცს არ შეუნდობს! მან ღმერთს უნდა მიბა-
ძოსო. რაღვან —

კაცი ცრემლითა შეინდობს, თუ ცოდვა მის თანაც არსა (1613)

და ტარიელმაც უწინდო მათ, აპატივა.
ასეთი არის ურთიერთობა და დამოკიდებულება ღმ-
რთისა კაცისადმი და კაცისა ღმერთისადმი.

კაცი = ჰომო.

თავისუფალი ადამიანის სამსახურებრივი ურთიერთობა
თავის პატრონთან, უფალთან (პატრონი = უფალი, ბერ-
ძნული „კიროსი“, „ლათხნური „პატრონუს“, = „სენიორ“) ^{სახე}
ბიზანტიაშიდაც არსებობდა და ასეთ ადამიანს ეწოდებ-
ოდა „დოლუსი“; ასათი პირი უმთავრესად დიდ კაცე-
ბთან და განსაკუთრებით ზიზანტიის იმპერატორებთან
იმყოფებოდნენ. ასეთი კაცები მათ მსლებლებს წარმო-
ადგენდნენ. ასეთ პირს ეწოდებოდა ივრეთეუ „ანთროპოსი“
ანუ „კაცი“.

ეს სახელი ადვილად მოგვაგონებს დასავლეთ - ევრო-
პულ სახელს „ჰომო“ = ომო, რაც ითარგმნება სიტყვით
„კაცი“. ამ კაცს დასავლეთი ევროპის ფეოდალურ კიბეზე

თავის საფეხური ჰქონდა, თავისი საკუთარი სოციალ-
ური მდგომარეობა ეჭირა. ბიზანტიურში „ანთროპოსი“ =
„ანთროპოს“, რასაკვირველია, არ იყო დასავლეთ-ევრო-
პულ „ჰომო“ = ომო, რადგან საერთოდ ბიზანტიაში
ფეოდალიზმი არ ყოფილა. ბიზანტიური „დოლუსი“ =
„ანთროპოსი“ იყო უფრო იმპერატორის, დიდი კაცის თან-
მესულფე, მეინახე, გამართბელი (თუმცა ეს „კაცები“
პოლიტიკურ როლსაც თამაშობდნენ სახელმწიფო გაღ-
ტრიალების დროს).

სხვათა შორის „ოიკეისი“ იყვნენ „ფამილიარესი“ ანუ
„დომესტიკუს“, ეფხისიტაკიანის „მოვალაბე“.
(ჰანს გეორგ ბეკ, ბიზანტინიზმს ფეოდალ-მეფეტესზე.
ბაიერიში აკადემიე დერ ვისენშაფტენ. იაპრაგანგ 1965.
ჰეფტ V. მიუნხენ 1965. ზაიტე - 8.

ფეოდალურ საქართველოში „მსახური“ ვიანაბრებს
ეროვნული ფეოდალიზმის „ჰომ დე სერვისი“, „ლოი“
და ვახტანგ სჯულმდებელის კანონის მიხედვით „მსახ-
რის სისხლი - ოცდაათი თუმანი“ ღირდა. „გლეხის სის-
ხლზე ერთი ორად მსახურისა არის, მსახურზე ერთი ორად
ცალმთელი აზნაურისა“ (მუხლი 32 - 33).

ქართველ ფეოდალურ = პატრიარქულ იერარქიაში
ექვსი საფეხური იყო (მეფის შემდეგ): 1. ერისთავი,
2. მთავარი, 3. აზნაური, 4. ვაჭარი, 5. მსხებური, 6.
გლეხი - ყმანი ანუ მუშაკი გლეხნი.

პროფესორი იოსებ კარსტ-სიტიკეა „მსახური“ ნათ-
რგმნი აქვს ფრანგულად ჰომმ-ლიეე, ვასო - მინისტრიელ
და ესენი არიან „კაცი“.
პროფესორი იოსებ კარსტ. მეფე ვახტანგ მეექვსეს კოდ-
ექსი. სტრასბურგი. წიგნი პირველი. გვერდები: 204 205.


ეს მსახური - კაცი იყვნენ უმთავრესად გლეხის შვი-
ლები და ისინი მსახურებდნენ მეფესთან, მთავარ - თვა-
ლებთან და საერთოდ დიდ კაცებთან. ესენი იყვნენ „კაე-
ნი“ და მათ თავისი ხარისხი ჰქონდათ, როგორც სისხლის
ფასში, ისე სოციალურ ვითარებაში.

ჩემს ახალგაზრდობიდან მასსოვს ასეთი შემთხვევა:
საჩხერეში ამირანდო თუ ფრიდონ წერეთელი, თავად
ცხენით მიდიოდა და მას მისდევდა გვერდით და ფეხით
ერთი გლეხი, რომელიც მე შენახა. მამას ვეცითხე, რატომ
მისდევს იგი ფეხით - მეთქი. ეს გლეხი წერეთლის კაცი
არისო, და საერთოდ გამეოცონა ხშირად.

კაცი = ყმა.

რაფიელ ერისთავს აქვს ჩაწერილი ერთის მოსწრებუ-
ლი სიტყვა —

ერთმა გურულმა ჰკითხა ყაზახს — „ვისი კაცი ხარო“
მან უპასუხა: „ჩემის თავისაო.“ გურულმა მიუგო: „კი შენ
დაგემართა, კი ბატონი შენა გყოლიაო.“
„ლიტერატურული ძიებანი“ (შრომების კრებული) წიგნი



მე - 11. თბილისი, 1958, გვ. 220.)

ესა და ის გულენი ამა და ამ თავადის „კაცი“ არისო, მხოლოდ შემდეგ და გვიან გავიგე, რომ ეს კაცნი იყვნენ პატრონმეტრი = ფეოდალური ერაჯიკის არსებობის ხნიდან ვადმონაშთი, ისინი აღარ იყვნენ მსახურნი სასახლეში, თუ სხვა საქმეში, მაგრამ ჩამომავლობით ჰქონდათ შერჩევილი ეს სახელი „კაცი“ ამა და ამ თავადისა.

ქართული სამართლის მიხედვით მსახურთაშუალები იყო უფროსი კაცთა = მსახურთა ანუ „ომ — ლიე“ - ბისა და აღმინისტრაციულ სამსახურში მყოფთა, ვით მავალითადაც საქურველში, ლაშქარში, გარნიზონში, ციხის დაცვაში, თანხლებებში და სასახლის სხვა საქმეებში, მოსამსახურებაში.

დასავლეთ ევროპაში, პატრონმეტრი ურთიერთობაში პატრონსა და ყმას შორის პროვენს - ის ფეოდალურ ურთიერთობაში აატრონს ეწოდებოდა „სენიორ“ = უფალი, ხოლო ყმას „ჰომი“, - ომი, - კაცი = „ჰომ ლიტ“.

გერმანულად მასვე ერქმევა „მან“ = „კაცი“, რომელსაც კრებასაც უკვე კაიზერჰოფიკ - ებშიც ვეცნობით და პოეტურ ნაწარმოებებშიც. (მინეზანგს ფრუენლიგ) — „მე ყოველი შენი კაცი და შენს მსახურებაში“ ო, — ეუბნება პოეტი პინრის ფონ მირუნგენ (უკანასკნელად მისი სახელი იხსენება 1217 - 1218 წ. წ.), — ეუბნება თავის ქალბატონს, ეს იგივე არის, რაც პროვენსულ პოეზიაში: „კაჰცე და მსახურებ“ — „ჰომ ე სერვირ.“

ბონს დე კადულელ ის ლექსში (მისი სახელი მოხსენებული არის 1176 — 1218 წ. წ. საბუთებში).

უფრო ძველ პოეზიაში სიტყვა „კაცი“ გამოყენებულია ვითარცა მამაცი ანუ მამაკაცი (სქესობრივი მნიშვნელობით.)

დოქტორ ანნა ლედე რიტცი. დი ლიბერატორი დერ პროვენსკალენ ბაი დენ მინენზინგერნ დერ შუათუფერციტლიტერატურისტორიფე ფორბუნგენ. (რეველუ 29. ბერლინ-ლაიპციგ 1904. გვერდი 32.)

როდესაც შევიგობრითი ნადირობის საყითხი ვადაწყდა მეფემ — კვლა ბრძანა:

„მონა თორმეტი შევსხათ ჩვენთანა მარებელად“ (70) ამ თორმეტ მონას მარტო ერთი შერმაღინი უღრისო. შერმაღინი ავთანდილის ყმა არის. — კაცი მასთან ერთად გაზრდილი და მისი მსახური. დასახლებული თორმეტი მონაც კაცი არის, — მსახური კაცი მეფისა, რომელთაც ნადირობის ზელობა იციან. ეს თორმეტი მონა მათ ემსახურებოდა; მათთან ერთად ვილოდნენ, ისარს მიაწოდებდნენ, დაქრილ თუ მოკლულ ნადირებს თვლიდნენ და ნადირობის შედეგს როსტვენ — ავთანდილს აცნობებენ. (79, 80); მერმე დაისვენეს და მათ ახლო ჰყავს — ახლოს უთქს მონა თორმეტი, უზუნესი სხვათა მხნეთას (83)

ყველგან „მონა“ აქ მეფის კაცი არის, მისი მსახური. ევროპული „ომ ლიტე“.

როდესაც პირველად ტარიელი ნახეს „წყლისა ზონისა“ მჯღომარე, როსტვენს მეფემ მოსაწოდებლად, მოსახლობად მასთან კაცი ვაგზუნა —

წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულმდღღარისად (86) ევერა ჰკადრა საუბარი, მონა მეტად შეუზარდა (87), მის მონისა არა ესმა სიტყვა, არცა ნაუბარი (88)

ესე მეფისა ბრძანება ერთელ კვლა ჰკადრა მონამან (89), ჯგზუნა მონა თორმეტი მისი წინაშე მდგომარე (91),

მონანი მიღვს, მოვიდეს, ვახდა აბჯრისა ჩხარია (92)

მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაყარებულად (94)

აქ დასახლებული მონანი, როგორც აქვე ვანმარტებულაია, არინ, კაცნი, რომელნიც მეფის წინაშე იმყოფებიან, მის სამსახურს ასრულებენ.

თინათინი მამას ურჩევს უცნობი ყმის (ტარიელის) მოსაძებნად —

ვაგზუნე კაცი ყოველგან მისთა ამავეთა მცნობელი (114) მოასხნეს კაცნი, ვაგზუნეს ოთხთვე ცისა კიდეთა (115) კაცნი წავიდე, იარეს მათ ერთი წელსწავიდა (116).

ყველგან აქ „კაცნი“ არიან სასახლეში მყოფნი, მეფის კარზე მსახურნი.

ავთანდილი შერმადანს უბარებს —

დარბაზს კაცსა ვაგზუნელი (156),

ეს კაცი არის ავთანდილის მსახური, შიკრიკი. ტარიელი როცა —

მე წამოვევ, მეფისაგან კაცი დია მოვიდოდა (355)

და იგი მეფეს ახარებდა. — ეს კაცი შინამოსამსახურე კაცი იყო, და ტარიელთან —

კაცი მოვიდა მეფისა (366)

ეს კაცი მეფის ახლობელია, მის დეალებათა შემსრულებელი, აქ — შიკრიკი.

რამაზ მეფესთან ამბობს ტარიელი —

ვაგზუნე კაცი ხატათს და წიგნი ჩემ - მაგიერი (387)

კაცნი ვაგზუნენ... (389)

ესენი არიან კაცნი მოციქულნი, დიპლომატიური წარმომაღდენლები.

გზაში ტარიელს —

რამაზის კაცი მემთხვია..... (421)

ეს კაცი არის რამაზ მეფის მოციქული, პარლამენტერი.

ტარიელს ურჩევს. დატოვებულ ლაშქართან კაცი ვაგზუნე ხოლმეო —

ლაშქარნი ახლოს გეკიდნენ, სცნობდენ ამავესა კაცითი (425)

სამ დღე ვიარე მემთხვია სხვა კაცი მისევე ზ. ნისა (428) და ეს კაცი არის მოციქული, დიპლომატიური შიკრიკი — კვლა მოციქულნი მოვიდეს..... (430).

ტარიელმა უკან დარჩენილ ლაშქართან —
მავრა საბაოკენ გავგზავნე კაცი, თუ გზაცა შორია (437)
და კიდევ რამაზის —

კაცი მოვიდა, მომთავა მოციქულობა (442).
შემდეგ ტარიელთან მივიდა მეფე ფარსადანის კაცი შიკ-
რიკად —

მოვიდა კაცი მეფისა... (473)
და სასიძოდ თხოვნის მიზეზით —
გავგზავნე კაცი ხვარაზმეს წინა შევილისა მთხოელი (514)
და ეს კაცი არის ფარსადან მეფის რწმუნებული, საგან-
გებო დაჯვლებით გავგზავნილი.

და ეს კაცი მობრუნდა —
კაცი მოვიდა... (515)

კვლა გავგზავნე სხვანი კაცნი სასიძოსა მოყვანებად (516)
აქ უკვე მთელი წარმომადგენლობაა წარმომადგენელი.

ცხადია, ყველგან აქ „კაცი“ არ არის გლების წოდების
არამედ სოციალურ საფეხურზე მაღლა მდგომი პირი.

მოვიდა კაცი: „სასიძო მოვაო“, მოსვლა გვახარა (548)
და ქორწილისათვის მზადების გამო ტარიელმა — მე გავ-
გზავნე ყოველგნითი კაცნისაჭურჭლეთა წარმომსენელი (550)

რასაკვირველია, ეს კაცნი მდაბიონი არ იყვნენ, არა მხო-
ფლიონი, არამედ მაღალი თანამდებობების პირნი.

ტარიელი მეფე ფარსადანს გადაუღდა, სასიძო მოკლა
და თავის სამფლობელოში გამაგრდა რა —
კაცნი გავგზავნე, ეაცნობე ყოველგან ლაშქრისა ყველასა (560)

მოლით მომეშველეთო.

ტარიელთან ფარსადანის კაცნი მოვიდნენ მოსალაპარა-
კებლად, მშვიდობის დასამყარებლად, რაც უშედეგოდ და-
სრულდა და ისინი დაბრუნდნენ —

ეს კაცნი გამეგზავნენეს ... (567).
ეს იყო დიპლომატიური წარმომადგენლობის კაცები, ფრი-
დონმა ნესტანის საქმენად —

კაცნი იხმნა მასვე წამსა ... (639)
იჩინა კაცნი ... (640)

ეს კაცნი იყვნენ მეზღვაურნი ავთანდილთან —
რა გათენდა, კაცი მოვა მომკითხავი, დარბაზს მსმობი (720)

ეს არის კაცი მაწვევარი, მათიური მეფისა.
ავთანდილმა ვაზირის საჩუქარი გაუგზავნა —
კაცი გავგზავნე ვაზირისასა, ესე ყველია მისთვის არა მან (771)

როსტევან მეფესთან —
რა ვაზირი არ შევიდა, კვლავ მეფემან კაცი გზავნის (818)
ეს არის სასახლის კაცი.

და სასახლეში —
ზარი გაისმა, შემოკრვა ჯარი მრავალი კაცისა (825)
და ეს კაცნი არიან სასახლის კაცნი, დიდებულნი, მეფის

ახლობელნი. ფატმანსაც ჰყავს თავისი „კაცი“ მებელს
ავთანდილს ეუბნება, ფატმანი —
წინა კაცსა მოვაგებებს, ქალაქს შეხვალს (825)

ავთანდილს ზღვის პირას მენავენი შეხედნენ; მან მოი-
ცადა და მათ ჰკითხა, ეინა ხართო? და ისინიც უპასუხე-
ბენ —

ჩვენცა მისნი ვართ, ვიამბობთ ... (970).
და ისენი იყვნენ მისნი ანუ ფრიდონის კაცნი და ვახარებუ-
ლმა —

ყმაშან უთხრა: „მძნო ჩემო, კარგთა კაცთა გარდგეკოდ
მე მეფესა თქვენსა ვეძებ ... (972)

და უკვე ფრიდონის სამეფოში ავთანდილს —
კაცი ემთხვა, მას ჰკითხა ამბავი მის ლაშქრისა (978).

ფრიდონი ნადირობდა და მან —
ლირსნი მას თანა სროლასა ირომოცი კაცი ჰხლებოდა (982)

და ასე „კაცი“ = ჰომო - ს ამბავი გრძელდება შემდეგ
შაირებშიც:

1062, 1063, 1064, 171, 1110, 1200, 1206, 1432, 1491
1499, 1502, 1504,

ამგვარად გამოირკვა, რომ ვეფხისტყაოსანში სიტყვა
„კაცი“ კიდევ თავისი განსაკუთრებული დანიშნულებს
აქვს: კაცი არის მეფის მსახური, დიდი კაცის მსახური,
მეფის, დიდი კაცის შიკრიცი, მაცნე, მოლაშქრე, ამბავთ
მცნებელი, სასახლეში მყოფი თანამდებობის პირნი

დიპლომატი — მოციქული, წარმომადგენელი, პარლამენ-
ტერი, მომკითხავი მეფისაგან, ლაშქარში მიწვევნი, სა-
სახლის კაცნი — დიდებულნი, მეფესთან ერთად მონადი-
რობენ და სხვა.

ეს კაცი რომელს ევროპაში ეწოდებოდა „ჰომო“, „ომო“
„მან.. არის ფეოდალური იერარქიის სოციალურად სხვა
და სხვა საფეხურზე მყოფი, მაგნას მეფის ან დიდკაცის
კაცი „ჰომოლიე“ „მინისტერიელი“

სრულსა — სრული. (729).

ბიბლიის თანახმად კაცი არის ერთი შთლიანისა, მთლია-
ნი არსება, იგი არის ხორცი და მაცხოველებელი სული,
ანუ სული, გონება და ხორცი = გვამი ცალ-ცალკე არ
არსებობენ, მათ ემატება კიდევ მეოთხე ნაწილი „გული“,
როგორც არსებითი შუა მყოფი; ეს არის თქმული მარტოზის
სახარებაში 12, 30 — და შეიყვარო უფალი ღმერთი შენი
ყოველითა გულითა შენითა და ყოველთა სულითა შენითა
და ყოველითა გონებითა შენითა = და ყოველითა ძალითა
შენითა. (აგრეთვე ლუკა; 10, 27).

სული. გული, გონება, ძალი, —მათი ერთობა ეს არის კაცი.
ამას გარდა ვეფხისტყაოსანში ლაპარაკი არის სრულ კაც-
ზე (შაირი 723).

სრული—გასრულებული, უნაკლო (საბა), წარმატებული.
წარმატებული.



თავი 5,48: იყენებით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ცუტათა სრულ არს.
(რუსულ სახარებაში: „სოვერშენნი“, „სოვერშენ“ მათე 19,21 რათა სრულ იყო, რუსულად: „ბიტ სოვერშენნი“).

ეს სიტყვა „სრული“ ადამიანის მიმართ მხოლოდ ერთ-ერთ არის ნახშირი და „სრული“ ვახლავს ავთანდილი.
როდესაც ავთანდილი ვაზრის ესტუმრა, სოვრატ — შეგება, თავყანის - სცა, ჰყადრა ქება.

სრულხა — სრულთა (729)

რომელს ეწოდება „სრული კაცი“? ეს საკითხი გამოასახნია და გამოასარკვევი. უნდა ვივლინსებოთ, რომ სრული კაცი უნდა იყოს ფიზიკურად უნაკლო, სულიერად, გონებრივად წარმატებული, ზნეობრივად სუფთა და გასრულებული; კაცს უნდა ახასიათებდეს სიღამაზე, გვირობა, მწირობა, ნებისყოფა, ატანა ჭირისა, თობა, სიბრძნე გონება - ცნობა, გულადობა, წონასწორობა და სცვა სათნობანი.

ძველ საბერძნეთში, ჰომიროსის „არეტე“ (სათნობა) ანუ „ექსელანს“ იგივე არის რაც „ანდრეია“ „მამაკობა“, გულადობა, „მწნეობა“ იყო. სრული მამაკაცი ნიშნავს იყო; გულადი, მამაცი, მხნე, ვაბეული, შემართებული, კარგი მეომარი, კარგი მებრძოლი. ეს არის უპირატესობა „ექსელანს“, როგორც ჰომეროსთან, ისე პინდართან; თვით სიტყვა „ანდრეია“ არა აქვს არც ჰომეროსს, არც პინდარს.

სიტყვა „არეტე“ პლატონის შეხედულებით არის თვისება საყვანა, არც მას აქცევს იმით, რაც უნდა იყოს იგი, რათა თავის დანიშნულება კარგად აღასრულოს, ეს შეიძლება იყოს ტანი = გეგამი, შევერობა, სახლი, ნავი დასხვა. როდესაც „არეტე“ ეხება ადამიანს, ეს „არეტე“ იქნება იმ კაცის თვისება, რომელს სურს თვითონ თავის თავს თავყანისცეს და ასევე თანამოქალაქებმა მას თავყანისცეს; იყოს ადამიანი, კაცი, როგორც „მართლა (ნამდვილი) კაცი“.

იგონ ბრეს, ლა ფსიქოლოგი დე პლატონ - პარი 1968. გვ. 33. „არეტეს“ - ის მიღწევა ნიშნავს: ვახდე კაცი ყველა ფისებით, ფიზიკური, ზნეობრივი, ინტელექტური ღირებულებით. (იქვე, გვერდი 193). არეტე = არეთე არის ვირტუს პოეტესტას დივიტაე ვირტულდ, ვალორ, პოდერ, რატეუბას „კაცი სრული“ სუფისტურ, მაკმადიანურ შეხედულებაში არის ღმერთის კაცი, წმიდანიანი; ადამი არის „კაცი სრული“, რომელში ღმრთიებერი დიდება არის გამოცხადებული; „კაცი სრული“ არის ასლი ღმერთისა, გამოხატულება მისი. „კაცი სრული“ არის წინასწარმეტყველი, პროვეტი. ვეგომორივი ბუნება „სრული კაცისა“ არის მხოლოდ ღმერთებრი თვისება და მოქმედება; იგი არის შუამავალი ღმერთის წინაშე, სულიერი მეფე და სხვა.

ქრისტიანული თეოლასზრისით, „ადამიანის ბუნება ულლისიდან სისრულეს აღწევს“ — ერთ ღროს კაცის ბუნება „სრული“, მაგრამ „ცოდვის გამო კაცობრიობის სრულყოფის ბუნება „დაებრკოლა მადლისა მისგან სულისა“ — „ხოლო ამის შემდეგ მარტო თანდათანობითი განვითარებითა და მოღვაწეობით ღვთაების შეწყვეთი ადამიანმა კვლავ სულიერის სისრულეს მიაღწია“ — „ო, — ფიქრობდა გრიგოლ ნასელი, (ივანე ჯავახიშვილი, - ქართული სამართლის ისტორია.) თბილისი 1928წ. წიგნი პირველი, გვ. 132). მაქსიმე აღმსარებელის (580 - 662 წ. წ.) აზროვნებაში მთავარი ადგილი სულის სათნის უჭირავს. იმ ბუნებას, რომელიც სულსა აქვს იგი მიჰყავს ერთი მხრით ასკეტოზმისაკენ და მეორე მხრივ, შემიცნების განსაზღვრულ თეორიამდე, ინტელექტამდე, ღმერთამდე კაცის ამაღლები-საკენ.

ბაზილიო ტატაკის, ვილოსოფია ბიზანტინა. ბუნენოს აირეს 1951. გვ. 82.

მაშინ როცა კაცის გონება მისწვდება იმას, რომელიც არის ყოველივეს მიზეზი; მაშინ როდესაც კაცი მთელ თავის სიოცულებში გასდევს მზიდა და ღმრთულ გზას, მიიღებს იგი ჯილდოდ თავის განღმრთობას, რამეთუ ღმერთის წყალობა მიენიჭება მას (იქვე, გვ. 85).

მაქსიმე აღმსარებელის თანამედროვე უმცროსი თაობიდან განღმრთობის = თეოსის = ლივიეკაციოს შესახებ ნათქვამია: უნდა ვავიგოთ, რომ ღმრთობა იმანი კი არ არის, რომ შემეცირდეს და შეიცვალოს კაცის ბუნება, არამედ ამ ბუნების ამაღლებაში; განღმრთობით კაცი ისევე კაცი რჩება, ოღონდ ეს კაცი არის „სრული“, „სრულყოფილი“. „პერფექტუს“ (იქვე, გვ.84)

იოანე დამასკელის (674 - 749 წ. წ.) შეხედულებით, კაცის განვითარების ობჰანი = მოლო, მის სრულობაში არის; სრულკაცად ყოფნისათვის არის მისი ვალმერთება, რაც არის ღმერთისადმი კაცის მისწრაფების შედეგი; და ამას კაცი აღწევს ღმერთის მადლით. სული = სპირიტუს არის კაცის არსება, სახე, რომელი ღმრთული ენერგია ანუ წყალობა მასში ღებულობს; ამის შედეგად თუ სული ღმერთის შეიგებს და შეითვისებს, მხოლოდ ეს კმარა, რათა მოხდეს ვალმერთება გონებრივი ცხოველისა, რომელს ეწოდება „კაცი“ (იქვე, გვერდი 120 - 121).

ამგვარად ვავიციანთ შეხედულებანი „სრული კაცის“ შესახებ, როგორც ქრისტიანული, ისე მაკმადიანური რწმენით: კაცის სრულადობა, კაცი რომ სრული იქნეს, ამისათვის საჭირო არის განღმერთობა, „კაცი სრული“ არის მაკმადიანურ მისტიკოსთა, სუფისტთა მწერლობაში „ასლი ღმერთისა“. „გამოხატულება მისა“, ხოლო ქრისტიანულში — განღმრთობა, ღმერთამდე კაცის ამაღლება „იყენებით თქვენ სრულ“.



ვაზირი სტუმარ ავთანდილს მიეგება, თაყვანის - სცა —
 „ჰკადრა ქება სრულსა სრული“ (729)
 ანუ ავთანდილს, რომელიც არის სრული მოახსენებ ქება
 სრული..

რათ არის ავთანდილი „სრული“; არც მამპლიანური,
 არც ქრისტიანული თვალსაზრისით ავთანდილი არ არის
 სრული; იგი არც არის ასლი „აღლაპისა, არც განმობრთო-
 ბელი, არც გაღმერთებული, გონებრივი ცხოველი. მაშ
 რატომ უწოდებს სოგრატი ავთანდილს სრულს და რა უწ-
 და ბრძანოს მან ამ დახასიათებით? რა სახასიათებს ავთან-
 დილს? პირველად ყოვლისა ფიზიკური შვენიერება, სი-
 ლამაზე, სრული შვენება, მეორედ ავთანდილი არის გონე-
 ბრივად მაღალი, ბრძენი, დიდად განათლებული; მესამედ,
 ავთანდილი არის გმირი, მხნე, გულგვიანი, მამაცო.

მეოთხედ, ავთანდილი არის ზნეობრივად, ყოველი სათ-
 ნოებით შემკული; სახიჯი = კეთილი, კარგი, ქველი,
 მადლცხებული, მეგობრობაში მტკიცე, ძმისა და მოყვა-
 რისათვის თავდადებული და სხვა სიკეთით შეწყვლი.

მაშასადამე ვაზირმა იცის ავთანდილის ფიზიკური, გო-
 ნებრივი მამაცობითი, ზნეობრივი ღირსება და ამიტომ
 უწოდებს იგი ავთანდილს: სრულს, და ამიტომ მას სრულ
 ქებასაც ეუბნება, ღირსეულად და სათანადოდ.

კაცი კაცობნ

როსტევან მეფე იმას წუხს; უცხო მოყმე მოვიხმე,
 არ მოვიდოა. სპანი დამარცხდა და ვითა ეშმა დამეკარგა.
 არ კაცურად გადამოკნა (110). აქედან ჩანს: იმ შემთხვე-
 ვაში თუ, ტარიელი მას ეახლებოდა, ისინი ერთმანეთს გარ-
 დაკაციონდნენ, როგორც ჰკოცნიან, პირველ შეხვედრისას,
 ტარიელი და ავთანდილი ქ ფრიდონი და ავთანდილი.

ავთანდილი შერმაინის ეტყვის —
 „კაცი ცრუ და მოლაღატ, ხამს ლახვრითჱ დასაქრელად“
 (162)

ტარიელი ასმათს მოუთხრობს: დავბრუნდი, რადგან
 მონადირე მეფეს შეეყვარეო და —
 „სევდად შეცა კაცთა ნახვა, ცეცხლი უფრო გავიალე“
 (271)

ასმათი მაინც ეკითხება ტარიელს —
 „ერთი კაცი შემაქცევრად შენად ვითა დავგელა? (273)
 ამაზე მას ტარიელი მიუგებს —
 ვის ძალ აქვს პოვნა კაცისა, თვით სოფლად არ მოსულისა?
 (274)

მაშასადამე ტარიელი წინააღმდეგი არ არის მას თანხლები
 და შემაქცევარი კაცი ჰყავდეს, არც ისე განადირებულია,
 მაგრამ ფიქრობს, ასეთი კაცი სოფლად არ მოსულაო.
 მაგრამ თუ კაცი მოგვგვარო, მოგვეყვას თავისა ნებითა (278)
 ტელს ნუ შეამთხვევო, - ეუბნება მას ასმათი.

კაცთა თუ ვინმე დაიმობილა, ან დალიტვიდეს, ასეთი
 წმიდა ქმედობაა, რომელიც მოითხოვს, მსესფის [არც] უწეს-
 დარღილს და არც სიკვდილსო, — ასე გვასწავლის ტარ-
 ელი —

კმასა უთხრა: „ვიცნა კაცმან ძმა იმმოს, თუ დაცა იღოს,
 ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ: დარიღოს“
 (306)

თუ კაცს კარგს უზნაო, - ამბობს ტარიელი, - იგიც კარ-
 ვით მოვიზღავსო —

კარგი საქმე კაცსა ზედა ზომო თურე არ წახდების (432)
 და რა მოხდა აქ? ტარიელს ხატაელი ღალატს უშმაღებენ;
 უნდათ იგი მიიტყუნონ, და მერმე თავისი ღამქარის უც-
 ბელი შევიკეთა და სიმაკვლით დაამარცხონ. ერთმა ხატა-
 ელმა, რომელიც მოციქულია შორის წყვირი იყო, და ძვე-
 ლად თურმე ტარიელს მამის, სარიდანის განაზარდი იყო,
 როცა ვაიგო ტარიელის საღალატო საქმე, მან ეს მას აც-
 ნობა, - ესე იგი ხატაელთა მიმართ ღალატი ჩაიდნა,
 იოლნდ ტარიელს მამა-მისის მიერ განაზარდობის აზვი
 გადაუხადა. აქ ზნეობის საკითხი ორად იკვეთება: 1) საზ-
 გიეროს კეთილისათვის კეთილად და 2) ღალატი თავისი
 მეფის წინაშე —

ერთი კაცი უქმო - რე - სწყდა, მოდგა, მალვით მეუბნების:
 „ლიდი მაცო თქვენი ველი, ჩემგან ძნელად გარდხიხდების.
 განწირვა და დავიწყება ჩემგან თქვენი არ იქმნების (432),
 რომე უტლად არ მოიღორდე, ისე კაცნი გღალატობენ (434)
 რასაკვირველია ტარიელი ამ კაცს მოეფერა, სამაგიეროდ
 პატევი დაჰპარდა —

მას კაცსა ამოდ ეუბუნენ და მადლსა გარდხიხდია (436)
 ტარიელმა ეს ამბავი არავის გაანდო. როდესაც ხატაელი
 მიუახლოვდა —
 ეთქვი, თუ: ქმანო, ისი კაცნი ჩვენ ღალატსა გვიღებენ
 (440)

და აქ ოში გამარჯვებული ტარიელი ამბობს —
 ერთსა კაცსა ეყოფოდეს, დიდებანი რომე მჭირდეს (454)

ნესტანი ტარიელს სასიძოს მოკვლის ვეგმას აცნობს და
 ეუბნება, მხოლოდ სასიძო მოჰკალი და სპას ზელს ნუ ახ-
 ლებ, უზრალი კაცის სისხლი არ უნდა იტვირთო! —
 სისხლი კაცისა უზრალი კაცმანცა ვით იტვირთაო? (543)
 ტარიელი ველად არის გავრლი, და ცხადია, —
 არ მაიამის კაცთა ნახვა, მიღლივდეს გულსა დაღინ (591)
 ფრიდონის შესახებ ტარიელი ამბობს —

კაცი ხნდა მათად მაქებრად, ღონემცა ეაჯა რისა! (613)
 როდესაც ფრიდონმა გავგო, ტარიელი ინდოთ მეფეაო.
 (თუმცა იგი ჯერ მეფე მაინც არ იყო), მას უთხრა —
 ვინ არის კაცი, რომელმან თავი არ დაგამონსა? (641).
 ავთანდილი ტარიელზე ამბობს, მასო —
 საწუთრო და სოფელს ყოვნა, კაცი უჩნსო, ვით ნადირსა
 (698)



სუ: ბედი, სოფელი = ქვეყანა და კაცი მიჩნია, ვით ნა-
ლისაო.

თინათინს აეთანდლიო —
ეს ეტყვის: ვისა აქვს მინდობა კაცისა მომცაფავისა?
(702)

ანუ: ვინ მიენდობა ისეთ კაცს, რომელიც მოუფიქრებლად
დაპარაკობს ან მოქმედობს? და —

იმცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცთა გამტეხელსა (736)
და —

ველთა კაცთა საუბარი კაცსა მეტად დააჰმუნვებს (747)
ეთანდლიო ვაზირს ეუბნება —

ჯობს წაიფიღე, არ გავტეხნე, კაცსა ფიცი გამოსცილიან
(748)

ბრინ მისგან უნახავნი, კაცსა ვისმცა ვაღუხდიან (748)
მეფე ვაზირს უწყობდა აეთანდლის წესლის ამავეი
ად მითხარო —

ვისა კაცსა ურჩენია, ავსამცა რას ადრე სცნობდა (756)
სამსა, კაცმან პატრონისა საწყნარსა არ დახედნეს (758)

დღნ სიტყვა უმეტრული უალაგოდ დაიფიქნეს?! (758)
შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი!
(759)

ბერი მტერსა ვერას ავინებს, რომელ კაცსა თავსა ივინებს
(761)

ვინცა კაცმან კანდიერად პატრონსა რა მოახსენოს,
სემი დღენი მასმცა ადგარ, რაძი ვითა ვაისვენოს! (762).

მგრამ აეთანდლიო ტარიელს უსაყოფოდ უნდა მიუბრუნ-
დეს, თავისი დანაპირები შეუსრულოს, ფიცი არ გაუტე-
ხოს, თორემ —

სჯობს უყოლობა კაცისა, მომდურავისა ყოლისა. (768).
და აეთანდლის შესახებ ნათქვამია —

კაცი იყო საქმისა შესაფერი, შესატყვისი. . .
ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი (773).
ეთანდლიო ტარიელზე ამბობს —

არს კაცსა არ იახლებს, ერიდების, კრთების ქსოვს (776)
კაცი პრძენი ვერ გამჭირავს მოყვარესა მოყვარულსა (789).
ამბობს აეთანდლიო ტარიელთან ურთიერთობის გამო და
განაგრძობს წერას მეფის მიმართ —

„სიყვარული ავგამალდებს“, ვით ეყვანნი ამას ელერენ,
შენ არ სჯერხარ, უსწველენი კაცნი ვითმცა შეევაჯერნ.
(791)

და კიდევ —
ვემბო კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ლალატანსა! (798)
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქალისა მემეველსა?
(799)

და ზოგადად ნათქვამია —
კაცი კაცსა მოელოდეს, მოსვლა დია ეამბის (843)
აქ კი ჩვენ ვეცნობით ასმათის ფილოსოფიას კაცის შესა-
ხებ —

უფულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკილია (848)
ანუ: კაცი რომელს გული აღარა აქვს, ვეღარც კაცობს.
იგი კაცთაგან მოშორებულია, მათ შორის აღარ ჩაითვლება.
ლებათ.

ასმათი ფიქრობს: ტარიელისთანა სასჯელი არავის გაუ-
გონარია —

არა თუ კაცთა, სასჯელი ქვათაცა შესაძრწენია (850)
ეთანდლიო ტარიელს არივებს, რატომ ივლავ თავს —
ვის უქნია შენი მსგავსი სხვისა კაცთა ნათესავსა? (874)

კაცთა შიამაშელობიდან სხვის არავის არ უქნია შენი
მსგავსით, მაგრამ თუ კაცი კაცს სასიამოვნოს, საამოს ელა-
პარაკება, მაშინ იმ ცეცხლს, რაზომ დიდიც იყოს, დაუე-
სებს —

ამოა, რომე კაცი კაცს ამოსა ეუბნებოდეს (924)
ეთანდლიო, სხვათა შორის ამბობს, —

კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის (952)
ანუ ყველა კაცი არ არის სწორი, მათ შორის დიდი მან-
ძილი არისო.

ქართული ანდაზაც ამას ადისტურებს — ზოგსა კაცსა
კაცი ჰქვია; ზოგსა კაცსა კაცუნაო; ზოგ დედაკაცს — დე-
დაკაცი; ზოგ — დედაკაცუნაო! და თვლი საზოგადოების
წიგნში „ქართული ხატოვანი სიტყვა - თქმანი“, თბლისი
(1950წ. გვ. 199.) ნათქვამი აქვს — კაციც არის და კაციც.

პირდაპირი მხიშველობით — ერთი კაციც არსებობს და
მოეროეცა. მხატვრულად — კაცსა და კაცს შორის განსხვავ-
ებაა, ყველა კაცი ეთნაირი არ არისო.

აბუ ლ, ატაპია არაბი პოეტი პესიმისტი, ცხოვრობდა
პარუნ არ - რაშიდ - ის დროს. უგალობდა სოფლის ცვა-
ლებადობას, სიკვდილსა და სუფლავს; აფრიხილგდა კაცთ,
ფეიქრათ სიყვდილზე და უკვდავებაზე. სხვათა შორის მას
აქვს ასეთი გამოთქმა —

ჩემს გარშემო რამდენი ხალხია, გარნა ცოტაა, ვინც ნამ-
დილი კაცი!

ფრიდონს ტარიელის ამბავს მოუთხრობს აეთანდლიო
და განუმარტავს იგი ასმათთან ქებაში ცხოვრობს მარტოდ
და კაცთა ტომს ახლო არავის იკარებსო —

მისთან კიდევ (ასმათის გარდა) სანახავდ არა უნდ კაცთა
ტომი (999).

არას ნახავს პირ - მეტყველსა, ვით ნადირი კაცთა ჰკრთებოს
(1001)

ეთანდლიო ფატმანს სთხოვს, ვუშველოთ ნესტანსა და
ტარიელსო —

ვინცა სცნობს კაცი, ყველაი ჩვენსა დაიწყებს ჭიბასა (1266)
ფრიდონს აეთანდლიო სწერს —

არ თურე კაცმან დავიდანას, ევეჯ, კლდეცა გავიციოდლები
ანუ: არამც თუ კაცი დავიდგეს, დაგეწინაღმდეგება, არა-
მედ ვფიქრობ, კლდეც კი ცეკლად გადაიქცევაო. (1321)

სწავლა (სწავლა)
წილი (წილი)
წილი (წილი)
წილი (წილი)

თუ როსტევენთან და თინათინთან განწყობილება გავა-
ფუჭებთ, მაშინ, - ამბობს ავთანდილი, —

შენდობას ხორციელი კაცი ვერა დამიურვებს (1486).
ანუ: ვერც ერთი ხორციელი კაცი ვერ იმოქმედებს ჩემი
სულისათვის; შენდობას, პატივებს: ცოდვისა ვერ მომიას-
ვებს ვერ დამიურვებსო.

როსტევენი ტარიელს ეუბნება —
ვით ეგების, რაცა გწადდეს, რომე კაცი არ მოგთმინდეს,
(1525)

ანუ: როგორ იქნეს, როგორ შეიძლება ის რაც გწადდეს,
კაცმა არ დაგიტოვოს, არ მოგთმინოსო.

ამგვარად არის დახსიათებული კაცისა კაცთან ურთი-
ერთობა.

1 — თავი კაცსა

ეგებისტყაოსანში თავიდანვე არის წარმოდგენილი
კაცის ბუნება: კაცი შეიძლება იყოს კარგი, ან ავი; და რა-
დგან კაცი იქნება ავი იყოს, ამიტომ მას —

ავსა კაცს ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა (30).

თინათინი ოდეს ხედავს, მამა-ჩემი დიდად შეწყუბებუ-
ლია უტხო მოყმის (ტარიელის) გადაკარგვითო, მამას ამ-
წყიდებს და მას ურჩევს —

კაცმან საქმე მოავაროს. ვევე, ჭმუნვასა ესე სჯობდეს
(107)

გავზავნე კაცები მის მოსაძებნადაო, აქ ჭმუნვის, მწუხარე-
ბის ნაცვლად წინ დგას საქმის მოვარება, ჭკუის მოხმა-
რება.

როდესაც ავთანდილი უცნობ მოყმეს, ტარიელს მოუ-
ხლოვდა მსჯელობდა. თუ მას როგორ შეეხედეო —
ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოავოს,
არ საწყენარე გონებისა მოიძულოს, მოიძავოს (215).

აქაც გონების უპირატესობა არის აღიარებული.

კაცის ბუნება - ხასიათი

ტარიელის მოთხოვნით ავთანდილი მიხვდა, ტარიელი
გულფიცები არისო და ეუბნება —

კარგად ვერას ვერ მოივლენს კაცი გვრე გულ - ფიცელი
(663)

და —

გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი (718).

ავთანდილი ტარიელის შესახებ მისი ქვაბიდან წასვლის
გამო ასმითს ეუბნება —

ქალსა ეტყვის: „აბა, დაო, ეგეთმცა კაცი ნუა,
იგი ფიცი ვით გატეხა, არ ვეცრუე, ვით მეცრუა!“ (845)

ავთანდილი —

კვლავ იტყვის: „მიკვირს ნაველი კაცისა ჭკუიანისასა,
რა მჭმუნვარებდეს, რას არავებს ნაკადი ცრემლთა ბანისა?“
(863)

ტარიელი ასმითს ეუბნება —

სწუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის კაცი უშმაგო, ცნობი-
უშმაგო = ჭკუიანი, ცნობილი = გონებაში მყოფი კაცი
როგორ დაღვრის წყალს, თუ მას სწუროაო?

ავთანდილი ტარიელს ეტყვის —
მჭმენელი საქმისა ძნელისა კაციმცა იყო ცნობილი (934)
ანუ გონიერო.

პირდაპირ ნათქვამია ვაჭართა ქარაენის უფროსი —
უსამ იყო ქარაენის უხუცესი, კაცი ბრძენი (1030)
ავთანდილი —

მისი ჭკურტა გააშმაგებს კაცსა ბრძენსა, ვითა ხელსა (1049)
ესეიგი: ავთანდილის სილამაზის ხედვა, მზერა ისე გაა-
მაგებს კაცს ბრძენსა, ვითა ხელსა, გეოსაო. კაცის სილამა-
ზით გამოწვეული უფრო ძლიერი შთაბეჭდილება შეუ-
ღლებელია.

ფატმანმა თავის მეუღლეს ნესტანის მისთან ყოფნის სა-
დუმლოება გაანდო —

მერმე უთხარ ყველაკი უსენს, კაცსა ლობიერსა (1154)

გაუკირებებაში ჩავარდნილი ნესტანი არ ფიქრობს სიკ-
დილზე, პირიქით, ამბობს —

სიკვილლადის ვის მოუტლავს თავი კაცსა მეცნიერსა?
(1191)

ფატმანი ავთანდილს ეუბნება —
კაცსა დასვრის უფულოდა და დიაცსა ბოზი ნაცი (1204)
ავთანდილი იტყვის —

ცრუ კაცი კარგად ვერა იქმნ საქმესა გამძლეებულსა (1344)

ავრევე გული კაცისა მოსავარებლად ძნელია (1348)

რადგან იგი არსაოდეს კმაყოფილი არ არისო.

და ავთანდილი —

იტყვის, თუ: „ნაქმრად არ ვარგა კაცისა გასწავლილისად“
(1350)

ნასწავლი, შეგნებული კაცი ასე არ მოიქცევა; ნაქმრად,
გაყვებულად არ ვარგაო. ხოლო კარგი მჭმენელი კაცი
დაბოლოს არ წახდებაო —

მაგრა თქმულა: „კარგის მჭმენელი კაცი ბოლოდ არ წა-
დების“ (1500)

მამ, კაცის ბუნება შეიძლება იყოს ავი; კაცი საქმეს უნ-
და ავგარებდეს; არ ჭმუნავდეს; მას უნდა ჰქონდეს სიწყ-
და ავგარებდეს; არ ჭმუნავდეს; მას უნდა ჰქონდეს სიწყ-
ნარე გონებისა, სიბრძენე; კაცი არის გულფიცტელი; გული
კაცისა კრულია, ხარბი, გაუძღომელი; ცრუც; გიგი =
ხელი; კაცი ჭკუიანი არის, უშმაგო; ცნობილი = გონიერი,
მწუხარე = მჭმუნვარე; ლობიერი; მეცნიერი; უფულო;
გასწავლილი; კარგის მჭმენეი.

გასწავლილი; კარგის მჭმენელი.
ასეთი არის ვეტის „კაცის გუნება“.

კაცი მოლაშქრე

კაცი — მოყვარესთან, მიჯნურთან



საქართველოს ენციკლოპედია

ხატელებთან ომშია, - ამბობს ტარიელი —
 კაცსა შუბი ვკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიზხდეს
მზესა (446)
 კაცი კაცსა შემოგუსტყორცნე, ცხენ - კაცისა დადეგი **გაორი (447)**
 კაცი, ჩემვან განატყორცნი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი **(447)**
 ცხენსა კაცი გაეყეითილი მანლიკუმად გადავკიდი **(448)**
 ჭკუეთის ციხის დასაპყრობად —
 ამასი კაცი გვეყოფის, წაიღდე მართ მეოტანი **(1387)**
 წი: წაიღდე ჩქარა რბენითა, ვით გაქცულნიო.
 ფრიდონი თავის გეგმას აცნობს მეგობარ გმირებს: გადა-
 ვასარები საბელით ქაჯეთის ციხეში და —
 თქვენ ჭირად გიყო შიგნითა პოვნა კაცისა მთელისა **(1395)**
 წი: გაგიპირდებით თქვენ შიგნით, ციხეში მრთელი ანუ
 დუკუდავი კაცის, მოლაშქრის პოვნაო.
 ათანდილი ამბობს; თქვენ დაიმ.ღეთ, მე შევიპარები ცი-
 ხეში როგორც მგზავრი და ევაპრაიო —
 ეს კაცენი არ იჭირვენ მგზავრსა, ქალაქს შემავალსა **(1399)**
 ესი კაცენი არ არიან ციხის მოლაშქრე —
 ტარიელმა უთხრა —
 კაციმცა მაშინ თქვენ გახლავს, რა ომმაქმნას გაჭირობა **(1402)**
 და გობოიო —
 ვეყოთ კაცი ას - ასი, რა ღამე ჩნდეს ნათენები **(1404)**
 და სამი კარით შევესიოთ. და მართლაც —
 გაიყუდა კაცი ას - ასი, ყველაი გმირთა სახები **(1408)**
 თანა ჰყვა კაცი ას - ასი, ყველაი გმირთა ღარები **(1412)**
 და აქ ბრძოლის დროს —
 კაცსა უკრავად დაბნელის ხმა ტარიელის ხაფისა **(1416)**
 და ბრძოლის შემდეგ —
 სამამისა კაცისაგან ას - სამოცი შეჰყოლოდა **(1425)**
 და დაპყრობილ ციხეში —
 სამოცი კაცი დაგდეს, ქაჯეთის ციხის მცველია **(1427)**
 ეს ციხე ტარიელმა მელიქ სურხავს მიუძღვნა და შეუთ-
 ვალა —
 კაცნი შენნი შეაყენენ, ციხე მაგრად დაიჭირე **(1430)**
 ინდოეთს წასასვლელად შეიყარა —
 კაცი ოთხმოცი ათასი, ყველაი დაკაზმულია.
 კაცსა და ცხენსა ემოსა აზგარის ზვარაზმულია **(1507)**
 კაცი ოთხმოცი ათასი ჰყვა ცხენებითა კარგითა **(1577)**
 ტარიელმა სპა დაასაჩუქრა —
 თეთოს კაცსა თეთიოა ჯოჯორი, მარგალიტი ანაკიდი **((1645))**
 აქ გაეცანით კაცს - მოლაშქრეს.

ვეფხისტყაოსნის შესავალშივე განსაზღვრულია კაცის ურთიერთობა მოყვარესთან —
 რა ჰგავა, თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატკივნოს **(29)**.
 ანუ: რა აღუციბლობა აქვს კაცს თავის მოყვარეს გული ატკივნოს? —
 მიკვირს კაცი რად იფერებს საყვარლისა საყვარულსა **(30)**.
 ანუ კაცი რად უნდა აცხადებდეს თავის საყვარლი-
 სსა საყვარულსო! მის ეს დამალული უნდა ქონდესო.. ამი-
 ტომ მას მიჯნურობა არ უნდა შეეტყოს და სჯობია,
 თუ ეს მიჯნურობა კაცს ეახლება, მასთან ერთად იქნე-
 ბაო. — **(30)**
 არ დააჩნდეს მიჯნურობა, სჯობს, თუ კაცსა იახლებს; **(31)**
 ხოლო როდესაც კაცი თავის საყვარელს ვერ ხედავს, მას
 ცეცხლი განუახლებდა, ფერხალული და მწუხარე გახ-
 ლებდა, რღვან —
 საბრალოა საყვარული, კაცსა შექმნის გულმოკლულად! **(41)**
 ტარიელი ფარსადანის ნადიმზეა. აქვეა ნესტანი, ხელ-
 ავს იგი მას —
 კაცთა კრძალვას ვაწვედი გულსა შმაგსა და რეტასა,
 რა უამეა პირის-პირ საყვარელისა ჰერტასა **(484)**.
 და შემდეგ ტარიელი ნესტანსა სწერს —
 სოფელს მყოფსა უშენოსა კაცსა ვისმცა შევებოვე! **(505)**
 აეთანდილი —
 ყმა წაივდა სვედიანი, მკერდსა იცემს, ამაღ იღებს, **(713)**
 რომე კაცსა მიჯნურობა ატრებს და ავლუჩივლებს.
 და საერთოდაც —
 მოშორება და მოყვრისა გაყრა კაცისა მკლველია, **(942)**
 და ამას ვარდა —
 კაცსა მოყვრისა გაწირვა, ახ, მოუხდების, ახ, ავად! **(1565)**
კაცი და პირი.
 აეთანდილი შირამდინთან სალუბარში იტყობა —
 ხამს თუ კაცი არ შეუღრკეს ჭირს, მიუხდეს მამატურად **(154)**
 აქ სამამცი დებულება გარკვეულია: კაცი ჭირს, გა-
 პირებებს, უბედურებს არ უნდა შეუშინდესო. და თუ
 კაცს ჭირნი ჰქონია საწაიდლის მიულწველობისა გამო
 და შემდეგ იგი განუხორციელებია, მაშინ ამ ჭირთა მო-
 გონებაც არაა საჭირო —
 კაცსა მოჰხდეს საწაიდლი, რას ეძებდეს — მისი პოვნა,
 მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასულთა ჭირთა ხსოვნა **(211)**
 მაგრამ მაინც —
 თურე ბედი მოლაფლებს კაცსა ეგზომ არ დაფალსა **(652)**

ანუ: კაცი, რომელიც მოკთომილი არ არის, (ს. ს. ორბელიანი) ღონე მიღებული (ვახტანგ მეფის განმარტება) ღადალი არ არის, მის თურმე ბელი ასეთად ვახდისო — ჩივის ტარიელი.

ავთანდილი შერმადინს ეუბნება —
ხამს, მამაცი გაგულოვნდეს, ქირსა შიგან არ დალონდეს, მძულს რა კაცი საუფო საქმე არა არ შესწონდეს (785).

ავთანდილი ტარიელს ეტყოდა —
თავისისა ქირსავან ჩაყარღების კაცი ქირსა (875)

ოღონდ თუ კაცს საშუალება მიეცება თავისი ქირი თქვას, თავისი უბედურება სხვას გაუზიაროს, მაშინ ეს თქმა მისთვის ღონიად ვადიქცევა. ესე, იგი, იგი სულღერად დამწვდილება —

ღიდი ღონინა ქირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს (924)

და შემდეგ ნათქვამია —
მაშინ ღონინა ამო არის, რა ვარდხდის კაცი ქირსა (1533)

და დაბოლოს დასკვნა —
ყოლა ღონინთა ვერ იამებს კაცი ქირთა ვარდხდელი (1537)

კაცი და სოფელი = საწურთო = ბელი.

ვეფხისტყაოსანში ნათქვამია —
რა ქირი კაცსა სოფელმან მოუთმინამან (689)
ანუ: ბედმა = სოფელმა მოუთმენელმა, როდესაც კაცს მოუთმინოს, დაუთმოსო. და შემდეგ თინათინს ავთანდილმა ჰკადრა: „რა კაცსა სოფელმან მისცეს წადილი გულისა (696)

ანუ: როდესა კაცს ბელი = სოფელი გულის სურვილს, წადილს შეუსრულებს, მისცემს, მაშინ ქირთა ვახსენება აღარ არის საჭიროო.

თინათინი ავთანდილს ეუბნება —
საწურთო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხედევის:
ზოგჯერ მზედა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების,
რათგან შეება აქვს სოფელსა, თვით რად ვინ შეუწუხდების? (705)

1. — თუ კაცი

ცნობილია, რუსთაველს მიეწერება ზოგი შაირი, რაც ვეფხისტყაოსანის ტექსტში არ მოიპოვება. ასეთია მთავალითად, „ათასად გვარი დაფასდა“. ამ შაირს სხვა და სხვა სახე აქვს —

- ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა,
1) თუ კაცი თითონ არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობა
2) თუ კაცი თითონ არ არი, რას არგებს გვარიშვილობა
3) თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა
4) თუ თვით არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობა
5) თითონ თუ კაცი არ ვარგა.
6) თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა.

(იხილეთ იოსებ მეგრელი — რუსთაველი და ფოლკლორი. თბილისი, 1960. გვ. 115 — რ18).

იოსებ მეგრელიც ვიქრობს, შესაძლებელია ვეფხისტყაოსანში ან რუსთაველის სხვა ნაწარმებში იყო მაგრამ იგი ვაბატონებულ იდეოლოგიას ეწინააღმდეგებოდა და ამიტომ მის გადაწყვერლები გამოსტოვებდნენ: ან იყო ნათქვამი შოთას მიერ ზეპირად და ასე ვადადილიათობებდნენ თაობებზედაო. (იქვე, გვ. 119)

შეიძლება ეს შაირი რუსთაველს სრულებითაც არ ეუთენის, მაგრამ ხალხმა იგი გენიოს პოეტს მიაწერაო (გვ. 120)

პროფ. დ. ჩუბინაშვილი, აკად. მარი ბროსე, პროფ. ალ. ხახანაშვილი, აკად. ნ. მარი, პროფ. მ. ჯანაშვილი, იაკობ ვოგებაშვილი და სხვებიც ამ შაირს — ათასად გვარი დაფასდა - რუსთაველს მიაწერნო (იქვე, გვ. 123)

როგორც არ უნდა იყოს, საკმარისი არის იმის აღნიშვნა რომ ხალხმა ეს დებულება თავისად გაიხადა და დღემდე ცოცხლობს.

სიბერე მქირს (86)

სიბერე - მოხუცებულობა (ნ. ჩუბ.); ორმოცდაათ წლამდე კაცს ეწოდებოდა „სრული კაცი“ და შემდგომად მერმე - მოხუცი, მოხუცებული, მსკოვანი, ხოლო მბებურად მამბოსა - ბერაკაცი. (ნ. ჩ.); ბებერი - მოხუცი.

სწორედ ამ სიბერის გამო წუხს როსტევენი, როდესაც ამბობს —

მე ვარდავესლევარ, სიბერე მქირს, ქირთა უფრო მწელოა,
ღლეს არა, ხვალე მოკვედები, სოფელი ასრე მქმნელია (36)

თუმცა ვახირნი მას ამხნევებენ, ამშვიდებენ —
ვახირთა ჰკადრეს: „მეფეო, რად ბრძანეთ თქვენი ბერობა? (37)

და ვახირიც არის ბერი —
ვახირი ბერი სოგრატი (57).

ფიქრი სიბერეზე როსტევენს ძალიან აწუხებს, რადგან კიდევ იმეორებს —

სიბერე მახლავს, დავლიე სიყმაწვილისა დღენია (62).
ავთანდილი მოუთხრობს ტარიელს, თუ როგორ ემებნენ მას და იგი

ვერ ნახეს შენი მნახავი ვერცა ყმა, ვერცა ბერია (289)
ვერცა მოხუციო.

და ფარსადანიც წუხს სიბერის გამო —
მიბრძანეს, თუ; „ღმერთმან ასე დავვაბერა, და - ცუცვლია;

ეამი ვახლავს სიბერისა, სიყმაწვილე ვარდგევილია (508)
და ტარიელსაც უთელის იგი —

მე, ბერსა შენსა ვამზრდელსა, სიცოცხლე მაარმებინე



ვაზირმა სოვრატმა დაასაჩუქრა ავთანდილის მსლებელნი —

მისი მყოფნი აღ - ვე - ავსნა, მოყმენი თუ უნდა ბერნი (770)

ავთანდილი შერმანდის აჯერებს —

აჭრა ხელია მიჯნურთა, რად სცალს თავისა ბერებად! (784)

აწუ გაჭრა ხელობა, = ხელია მიჯნურთა, არა სცალია, დრო არა აქვს თავი დააბეროს, მოახუცოს, და ამას სუ-
რათით ასაბუთებს —

მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკერეფ კიტრად ბერად (786)

აწუ ბებერ კიტრს არ მოვკერეფავო.

და შერმანდინი როსტევანს მოასხენებს, ავთანდილი —

ეჟო მარტო გაპარულა, ყმა არ ახლავს, არცა ბერი (828)

ავთანდილი საპარაბოთა შევნიერიბითა ტარიელს აართობ-
და და ისე ლამაზად ესაუბრებოდა, რომ —

მისი სმენა ვააყრებოდა, მსმენელისა ყურთა ბერთა (893)

აწუ ბებერების ყურებს ახალგაზრდად აქცევდაო.

მებაღე ავთანდილს უთხრობს: გულანშაროში —

აქა მოსვლითა ვაყმდების, კაცოცა იყოს ბერები (1066)

აწუ აქ ისეთი შევნიერი ბუნება არისო, რომ ჭებერციკ
ვაყმდების, ვახალგაზრდავდებაო.

და როცა როსტევეანი ლოცავს თინათინსა და ავთანდილს,
ამბობს —

დღეს ამას აქვს ტახტი ჩემი, მე - სიბერე ვითა სნება (1546).

როგორც ცხადია, ვეფხისტყაოსანში სიბერე დავამობილი
არის, სნებად, სნეულებად არის გამოცხადებული და ეს
ადვილად გასაგებია ადამიანისათვის, რომელს სიბერე
არ ასცდება.

ხანდაზმული (586)

ხანდაზმული - ხანგამოვლილი (საბა); ხანდაზმული, დი-
დი ხნისა, ხანგამოვლილი, დროულიჲ ან გამოცდილი სა-
ქმშიო. ხანდაზმულობა - დროს ვატარება, დაგვიანება
(ნ. ჩუბ.).

ლაშქრის წვევისას, უბნობს ტარიელი —

ფიცხლა მოვიდეს, არ ექმნა მით შინა ხანდაზმულობა (403)

ესე იგი, მეომართ შინ სრ დაუგვიანებიათ, სწრაფად მო-
ვიდნენენო.

ტარიელმა ნესტანის ზღაპზე საძებნელად წაიყვანა —

ას სამოცი კარგი მოყმე, ჩემსა თანა ხან - დაზმული (586)

აწუ: ჩემთან ხანგამოვლილი, დიდხანს ჩემთან ნამყოფიო.
და ავთანდილი აჩიბს რა ფრიდონის კაცებს, მას სწერს —
ქება აღუ ღნდა მას, ვინცა თქვენთანა ხანდაზმულია?

ესე იგი, სამსახური, დახმარება და შემეწეობა თქვენთან
დიდხანის ყოფნით აქეთ ნასწავლიო. ესაა ქება ვინმეს
ლისა და მის კაცთა.

ყმა

ვეფხისტყაოსანში სიტყვა „ყმა“ რამოდენიმე მნიშვნე-
ლობა აქვს: 1. ყმა - ვაჭი, 2. ყმა - ახალგაზრდა, ყმაწვი-
ლი, 3. ყმა - მამაკაცი, 4. ყმა - ვასალი, ვასუს, 5. ყმა - ქა-
ბუკი, რიტეტრ, შვევალი, კავალერო, 6. ყმა - მონა.

ყველა ეს საცილობი განხილული არის ჩემს წიგნში „ვე-
ფხისტყაოსანის საზოგადოებრივტყვევლება“, 1958წ. გვ.
58 - 70. და, რასაკვირველია, აქ აღარ განვიხილურებ.

ყმაწვილობა (26)

ყმაწვილი = ყრმაწული - ყმარწვილი, ბოვში (ნ. ჩუ.)
ბავშვს არ შეუძლია კარგად იმპაროს მშვილდი და ნა-
ღირი მოკლას, ასევე ლიონიაში ზოგ მეღელქეს არ შეუძ-
ლია „სრულ - ქმნა სიტყვათა“ და ამიტომ იგიო —

ვამსვასე მშვილდი ბედითი ყმაწვილითა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მკო-
რეთა (16)

მიჯნური, რომელს დღეს ერთი უნდა, ხვალ მეორე —
ესე მღერისა ბედისის ჰგავს ვაჟთა, ყმაწვილობასა (26)
ეს რისო ცული თამაში ვაჟთა, ჰგავსო ბავშვობასო.

მეფე როსტევეანს ისა სწყინს, რომ სიბერეში იმყოფება
და გაუთავდა „სიყმაწვილის დღენია“ —
სიბერე მახლავს, დაველიენ სიყმაწვილისა დღენია (62)
„სიყმაწვილი“ აქ არის ახალგაზრდობის ხანა.

და საუბარში როსტევეანი და ავთანდილი —
იციროდეს ყმაწვილობდეს... (69),

ანუ იქცეოდნენ ვით ახალგაზრდებთი,
სამხედრო თათბირზე ტარიელს ვაზირნი ეუბნებიან —
მითხრეს, თუ: „ხარო ყმაწვილი, ბრძენნი მით გაადრებთ,
გლახ, ენით (424)

აქ „ხარო ყმაწვილი“ ნიშნავს ახალგაზრდა ხარ გამოუც-
დელიო.

ფარსადან მეფეც არ არის კმაყოფილი რომ მეცემა —
ვაში გვახლავს სიბერისა, სიყმაწვილე გარდავცივია (508)
ანუ ახალგაზრდად დაეპარულეთო.

ფატმანის დახასიათებისას ნათქვამია —

ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ - ყმაწვილი, მავრა
შხმელი (1077)

არ - ყმაწვილი - არა ახალგაზრდა; შხმელი - ხანდაზმუ-
ლი.

ხანდაზმულობის მიუხედავად, ფატმანი —
ვიმღერდი და ცყმაწვილობდი ... (1125)

ფრიდონი ამბობს, მასწავლიდნენ მუშაობას, ბაწარ =
საბელზე თამაშს და —

ვინცა მკერტლიან ყმაწვილნი, იგიც ინატრიდნან.

ამნიარად: „ყმაწვილი“ არის ბავშვი, ახალგაზრდა გამოუტყდელი.

სივადისა (53)

ვაჟი - წული (საბა); წული, ძე შვილი (ნ. ჩუბ.); ვაჟი, ვაჟიშვილი, წული, ბალო.

რა მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას ვეფხისტყაოსანში? აქ ნათქვამია დასაწყისში —

ესე მღერასა ბედითსა ჰგავს ვაჟთა, ყმაწვილობასა (26)

ვაჟთა აქ უღრის ყრმას, ბავშვს, სიყმაწვილეს;

თინათინი ტახტზე ასვლისას —

მას ღღეს გასცემს ყველაკასა სივადისა მოგებულსა (53)

ანუ, რაც თინათინმა ახალგაზრდობისას შეიძინა, მოიგო, ყველაფერი გაასაჩუქრაო.

მძორი (1351)

მძორი მკვდრის გვამი (საბა); მძორი - ლეში, მკვდრის ტანი. (ნ. ჩუბ.).

მძორი მხოლოდ ერთჯერაა ნახსენები, როცა ჩვენი გმურები ჭაჯეთის ციხის დასაპყრობლად მიდიან და თერთონ უჭირველნი უნდა დაბრუნდნენ, ხოლო მტერნი მძორათ უნდა დაადარონ — უჭირველნი შემოვიქცეთ, იგი მძორთა დავადარენ (1351)

სიკვილი

1) სიკვილი არის „გაყრა ხორცთა და სულისა“ (274); იგი „ყვეფლათთვის გარდუვალია“ (158); „ვერ დაიჭრავს სიკვილსა“ (800); „შიში ვერ იხსნის სიკვილსა“ (1603); და საერთოდ სიკვილის საკითხი გარჩეულა „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“ - ში 1966წ. გვ. 277 - 308.

ვიქტორ ნოზაძე



პრომეთე და ამირანი

ბერძნულ და ქართულ მითოლოგიაში

სადრ-ნეტეში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარის ლევან ზურაბიშვილის ხსოვნას, ვისაც სიკოცხლეში თხოვნა ვერ შეეუხსრულე აღნიშნულ საკითხზე ნარკვევი დამეწერა. გ. შ.

აქტი ჩაქსოვილ ფიქრის, ფიქრის დრამატიზებული, მითოლოგიის, (ქმნა და თქმა მითებისა ან მათგან გამომდინარე ს:განთა) აღქმა, წარმოსადგენია მხოლოდ მოქმედების დროს მათი დაჭერის შემთხვევაში. მითოგრაფთა ინტერესი, რომელნიც ვადაძლებ—ვადაძურლები არიან, — მიიმართებიან ან, უნდა მიიმართონ იმ განსაკუთრებულ უცნაურ აქტივობისაკენ, რომლის ავტორებიც, მითების მქმნელნი და გარდამქმნელნი არიან. მაგრამ თვით მასალის ბუნებისა გამო, ან აგრეთვე იმ მიდრეკილებისა გამო რომელიც გამომდინარეობს ჩვენი სკოლისა და ფორმაციის მწიგნობრულ ხასიათიდან, ჩვენ

ძიულებული ვართ ან, ცდუნება გვიპყრობს მხოლოდ მზა მასალაზე ვიმუშაოთ ე. ი. განვიხილოთ ლამაზი მოთხრობა, რომელიც ჩვენთვის ერთდროულად სიტკობისა და წვალების მომგვრელია. უეჭველია, ამგვარი ანალიზები უნდა ტარდებოდეს, საითაც არ უნდა მიიმართოს ჩვენი ცნობისმოყვარეობა და როგორც ვზა არ უნდა იყოს არჩეული, მაგრამ ამგვარად შემოფარგლულნი შესაძლოა, ისინი დასრულდნენ როგორც ალტოპსიდიდან გამომდინარე კონსტატირება: ამგვარად აუთანოზებული საგანი განხილვისაგან დაფარულად ინახავს იმ კოცხალ კავშირებს, რომლითაც

უი აღმამათა შორის არის ფესვგადგმული და რომლი-
თაც სხვა მითები მას გ.რ.ს ერტყმიან. უკვე ისედაც მრ-
ველ შემთხვევაში მითიურ მოთხრობას ჩვენ ვეცნობით
კარცილის მისი ფესტარულ (ზემეტურ) სამოსიდან; ჩვე-
ნამდ არ ალწევინ მოძრაობანი და ხმანი, რომელნიც ამ
მითთა წარმოშობას თან ახლდენ.

ჩვენ მხოლოდ ერთი საშუალება გვაქვს მას შეუნარჩუ-
თი ან, ალუდღინით სიკოცხლის ნაწილი; დღის სინათ-
ლზე გამოვიტანით და გავაცოცხლოთ ის დრამატურ-
ულ დამოკიდებულებანი, რომელნიც მითს აკავშირებენ,
მაგ. ზუნების სხვა საგნებთან იქნებიან ეს, ვარიანტები,
უი მასზე არ დაქვემდებარებულნი უცხო მითები, მაგრამ
რომელთა გარეშე, იგი ის არ იქნებოდა რაც არის.

უფრო კონკრეტულად: ერთ უმთავრეს სამსახურთა-
ვანს, რომელსაც სწევს მითოგრაფია შეადგენს ის, რომ
შუქი მოქმედინოს ჩასახვის გზებს და ლიტერატურულ
საშუალებებს, რომელთა მეოხებითაც მოქმედებენ მითთა
კმკეთებელნი და შემკეთებელნი უკვე არსებულ საგნის
დამუშავებისას. ერთი ასეთი ხერხთაგანს ჩვენება არის
ნაყალი აქ. მე წინადადება ვიძლევი მას დაუპრავთ:
„ინვერსია შემნახველი“ (ინვერსიონ კონსერვანტ) ერთ-
სა და იმავე საზოგადოების შიგნით, ან ერთი ცივილი-
ზაციიდან მეორეში გადასვლის დროს, მითიური მოთ-
ხობა, იქნება იგი ლეგენდური თუ ეპიკური, საბეცე-
ლებას განიცდის ისე რომ, თავის პიროვნებას, (იდანტო-
ტეს“ ინარჩუნენის, ხოლო ეს მიღწეულია სადებურთა ანუ
ლიტერებულბათა მთლიანი, ან ნაწილობრივად შემბრუნე-
ბას, (რანვერსემან) ხარჯზე.



მე მგონია ვაჩვენე ან, ყოველშემთხვევაში შესაძლებ-
ლად გაგზავნე ვიფიქროთ, რომ პრომეთეს ბერძნული მი-
თი და კავკასიური, განსაკუთრებით ქართული ამირანის
თქმულება (ყესტ), უნდა მიჩნეულ იქნან ერთი მეორის
ვარიანტებად. (იგულისხმება ავტორის ნაშრომი: პრო-
მეთე და კავკასია).

როცა ერთსა და მეორე „საქმეს“ გაცნობით, შეუძ-
ლებელი თუ არა ძლიერ ძნელი მაინც ხდება მათი ცალ-
ცალკე გარჩევა, — თუმცა ამასთანავე, კაცი ვერ მიხე-
დარა საიდან მომდინარეობს ეს კავშირი: ორივე მითიურ
ჯგუფთა აჩენს ურთიერთ კავშირსა და დამოკიდებუ-
ლებას, — როგორც არ უნდა კოფილიყო მათი ისტო-
რიული ურთიერთობა.

ურთიერთშესატყვისობა, (ჰომოლოგია) ძლიერ შორს
მიღის რაც უმთავრეს მუხლებს შეეხება. — სახელდობრ
იმას რამაც ამ ორ ღიღ ფიგურას სწორუპოვარი სახელი

შეუქმნა: მათი ამბოხება ღმრთის წინააღმდეგ და მათი
მარტვილობა. პარალელში არ ისაზღვრება მიმდინარეობის
სქემათა დაა ეტაპთა რიცხვით მსგავსებას, რამდენადაც
დავრობისა და შინარისა; იგი აგრეთვე ვრცელდება
იმ ვარიანტებზე, რომელნიც ბერძენმა და კავკასიელმა
მითოლოგებმა პირველად თემიდან გამოიტანეს და გა-
ნავითარეს.

პრომეთეს მითში ჰესიოდეს (ჰესიოდ. თეოგონია) მი-
ხედვით: პრომეთე, კრონოსის ბოძოქარ (ბუიანტ) შვილის
განზრახვებითან შებრძოლებითისთვის, მიჯაჭვულია პალო-
ზე თუ სვეტზე. ზევსმა გაუახსნელ შესაკრავით შევოვა
იგი, — მტკივნეული ხლართები მოჰხვია სვეტის შესა-
მალემდე“.

ესქელეს მიხედვით, ზევსი პრომეთეს თვით კლდეზე
მიბამს საბელთა საშუალებით, რომელნიც მჭედელთა
ღმერთის ჰიფატოსის მიერ არიან მიჭედილნი. მარ-
ტვილობის მეორე ფაზაში, ზევსი ახდნს კოსმითურ
განზომილებების აფეთქებას; იგი ნამსხვრევებად აქ-
ცევს მთას, რომელნიც დატყვევებულს ზედ დაეყრებიან
და ქვების ბორცვი დაჰფარავს მას. ბოლოს კი, „მრავალ
ღღეთა გრძელი ხანის შემდეგ“, — სულ კლდე მიჯაჭ-
ვული მარტვილი მიწის ზედაპირზე ამოყვანილი კავკა-
სიონის ერთ მწვერვალზე, რომ აქ იგი აწამოს არწივმა,
რომელსაც ესქილე „ზევის ფრთოსან ძილს“ უწოდებს.
ამირანის ლეგენდაში, მონადირესა და წყლის ქალის
თუ ქალღმერთის ტრფობის ნაყოფი ამირანი, ბერძნულ
ტიტანის განდიობულ პროპორციას ვერ აღწევს: დღეს
არსებული კავკასიური ეპოპეა უფრო უბრალო ჩარჩოში
მიმდინარეობს ვიდრე ანტიკური თეოგონია ჰესიოდისა,
მაგრამ, კავკასიური გმირი ამაყ დიდებულებაში სრულე-
ბითაც ტოლს არ უღებს ბერძენთა ლეთებას: „მიჯაჭ-
ვულ პრომეთეს“ ამაყ-კანდიერი, გამომწვევი სიტყვები
არც ამირანისათვის იქნებოდა შეუფერები.

1 და მართლაც, ფაქტურად ყველაფერი ღმრთის
მიმართ კადრებულ გამოწვევით იწყება, რისთვისაც პა-
სუხმაც არ დააყენა. ღმერთმა მისი ურჩი და აჯანყებუ-
ლი, თვითონ თუ მჭედელთა ხელით, რკინისა თუ ხის პა-
ლოზე თუ კედელზე მიჯაჭვა.

ლ ლეილთარომსუც

2. შემდეგ მას ღმერთი მიწის წიაღში მარხავს. იგი ამხს-
რევს და მას დააქაქვს მათა მასივები (იალბუზი და
მყინვარი), რომელთა მთად დასივები მოცულობა
დატყვევებულს თავს ეღმის ვით მუზარადი: — „ატყდა
საშინელი ქარიშხალი, ეღვა-ქექა-ქუხილი, შეიძინენ
მთანი და ჩაიკეტა ამირანთან მისასვლელი გზები“.
„მამა ზევიდგან დაჰფარა იგი ვით მუზარადმა“.

ქვეყნელში ტყვედქმნილ ამირანთან იმყოფება; ფრთოსანი ძალი“ — არწივთა შვილი, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ღრნის თუ ლოკავს მარტვილის ჯაჭვებს; მხოლოდ იმ წუთის კი როს ჯაჭვი უნდა ვაწყდეს ყველა მჭედელი ქვეყნისა იწყებს გრდემლზე ჩაქუჩის ცმას და ჯაჭვი ისევ მრთლდება.

3 ყოველ წელს, სულ მუდამ მიჯაჭვული ამირანა ამოყვანილია პაერზე კავკასიონის ერთ-ერთ შტინვარია წვერზე. ადამიანის დახმარებით (მონადირე ან გზაბანეული ნაყვების) იგი ამაოდ ცდილობს განთავისუფლდეს: ქალის ლაყვების ან ციხერობის გამო (დახმარების მსურველ ადამიანის ცოლი), მისი კლდოვანი ციხის ძეღვლები ისევ ჩაკეტავენ ხოლმე მას. ამიტომაც, რომ თუ ერთ დღეს მან თავის ბორკილებიდან თავი გაინთავისუფლა, იგი ამოწყვეტს ქალთა და მჭედელთა მოდგმას - ვისი ბრალიც არის მისი ტყვეობაში დარჩენა.

ადგილმდებარეობის განსაზღვრა (ლოკალიზაციის სპასიოლ). თვალნათლივ ვხედავთ, რომ როგორც პრომეთეს აგრეთვე ამირანის შემთხვევაში, სასჯელის სამი ფაზა ერთსადაიგივე პროგრესის პრინციპს შეესაბამება და ერთი-დაიგივე განწყობება სამყაროს სართლეს შორის: გერ დედამიწის რომელღაც ადგილზე (ესქილეს მიხედვით სკვითთა ქვეყნის უდაბნოში). შემდეგ მიწის ზედაპირის ქვეშ; და ბოლოს კავკასიონის მწვერვალზე.

დროს განსაზღვრა, როგორც პრომეთეს მითი, აგრეთვე ამირანის ლეგენდა თუ ერთსა და იმავე ხანგრძლივობას არა ერთსა და იმავე პროპორციებს მაინც იცავენ. მიწის ზედაპირზე მიჯაჭვას მოკლე ხანში მოსდევს მიწის ქვეშ ტყვეობა: კავკასიაში ეს ხდება დაუყოვნებლივ, ხოლო საბერძნეთში დაყოვნება გრძელდება. „მიჯაჭვული პრომეთეს“ მითის ჩატარებისათვის საჭირო ხანს, მიწისქვეშა ფაზა, ესქილეს მიხედვით: „დღეთა გრძელ დროს მოიცავს“, ხოლო ქართული ლეგენდის მიხედვით; ერთს, ორს ან შვიდ წელიწადს. საბოლოო სასჯალი პრომეთეს მითის მიხედვით სასურველია: „ნუ გაქვს იმედი ამ სასჯელის დასრულებისა“ იმუქრება პერმესი (ესქილი). ბერძნულ მითში არსებულ უკუნისობის აბსტრაქტულ ცნებას შეესტყვისება ამირანის ლეგენდაში არსებული უსაზღვრო ხანგრძლივობა, გამოსახული რთობივლად განმეორებულ მარტვილობის ციკლით. ბოლოს და ბოლოს, როგორც პრომეთეს ასევე ამირანის სასჯელს ბოლო არა აქვს.

ეს შესვედრანი პრომეთეს მითში და ამირანის ლეგენდაში სტრუქტურასა და შინაარსს ეხებიან უმთავრესად და გვაჩვენებენ თხრობის განვითარებისა და დაცულ პროპორციათა მსგავსებას, მაგრამ პარალელი აქ არ მთავრდება: იგი შეეხება აგრეთვე მოქმედების ფორმასა და სა-

ხეს, ისევე როგორც - ფორმა - ყიდას (მოდალიტი) ლამის დადგმისა.

სამშორდა და მისი გავლენის სფეროს გარეთ მოექცა, ზნა ჩრდილოეთ ევროპისაკენ თვით მოსკოვმა მოჭრა ნოვგოროდის დაპყრობით და განადგურებით. დიდი ნოვგოროდი ვაჭრობის ნიადაგზე ეკონომიურად და პოლიტიკურად გაძლიერდა, მისი სახელმწიფოებრივი ცხოვრება აწყოპობლი იყო, მსგავსად დასავლეთის ქალაქებისა, დემოკრატიულ საფუძველზე „ვეჩეს“ საშუალებით, მძლავრად გამოსახული თავისუფლების ტენდენციით.

ძველ სლავურ მოსახლეობაში არსებობდა თვითმართველობის ორგანო, მსგავსი უშუალო დემოკრატიისა, სახალხო ყროლობა „ვეჩე“, რომელსაც ირჩევდა მთავარს, აწესებდა გადასახადებს თუ აძლევდა დასტურს მათი შემოღებისათვის, წყვეტდა ომის და ზავის საკითხს და სხვა.

მთავართა ძალაუფლების გაძლიერებით „ვეჩემ“ თანდათან დაკარგა თავისი უფლებები და იგი ბოლოს მონკოვლების გაბატონებით სულ მოისპო. შილოდ ნოვგოროდმა და მოსკოვმა შეინარჩუნეს „ვეჩე“ თითქმის მე - 16 საუკუნემდე, მაგრამ 1471 წელს ნოვგოროდი იქნა ივანე შესანის მიერ დაპყრობილი და 1478 წელს უფლება აყრილი (ამისთვის 1510 წელს). ნოვგოროდის ხელშეიძლეოვდა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის 1570 წელს დამთავრდა მისი სასტიკი დასჯილი ივანე შრისხანის მხრით, ქალაქის მოსახლეობის ამოწყვეტით (ამოხოცილ იქნა: 60.000 სული).

ფეოდალური წესწყობილების დროს დასავლეთ ევროპაში ქალაქი წარმოადგენდა მესამე ძალას, ხშირად გადაწყვეტდა ძალის სახელმწიფო ძალაუფლებისათვის ბრძოლაში და იგი მატარებელი იყო თავისუფალი ცხოვრების; რუსეთში კი ეს პოლიტიკური ფაქტორი არ არსებობდა, აქ თავისუფლების უქანასკნელი კერა (ნოვგოროდი) განადგურებული იქნა, დანარჩენი ქალაქები, თუ ასეთები საზოგადოდ არსებობდნენ, და გლეხობა თავისებური რუსული სოციალური სტრუქტურის პირობებში დამუნჯებული და დამონებული იყვნენ.

რუსეთში საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი იყო ბატონყმობა, მაგრამ აქ ბატონყმობამ მიიღო მძინერი სახე, ყმას აქ წარითმული ჰქონდა ყოველგვარი ადამიანური უფლება, სასამართლოს კარგები მისთვის იყო დახურული, მისი მოსამართლე იყო ბატონი, რომელსაც შეეძლო მისი გაყიდვა, დასჯა, მოკლა, ყმა იყო აქ ნივთი, მსგავსად ძველი რომის მონობის სისტემისა. აგრეთვე გლეხური თემი (ობშინა, „მირ“) გადაიქცა სახელმწიფო ძალაუფლების ხელში გლეხის დამონების იარაღად, ამავე მდგომარეობაში იყო მეფის მიმართ თვით ბატონი, მემამულე, რომელიც „სლუთელიე ლიუდის“ ინსტრუქციით მეფის სრულ განკარგულებაში და სამსახურში მისი ყმა იყო. შემდეგ ამ „სლუთელიე ლიუდისთან“ მე - 18 საუკუნეში შექმნილი თავადზნაურობაც თვითმპყრობელი

მეფის წყალობით ცოცხლობდა. დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმი ემაყრებოდა ვასალურ ურთიერთობას ვასალის მიღება იყო სახელმწიფო აქტი, ვაჭრული სიუზურენსა და ვასალს შორის სახელმწიფო სამსახურის და პიროვნული ერთგულების ურთიერთობის ამყარება, რის გაუმჯობესებოდა დიდი დანახარების (ფეოდალის) ჩადენის შემდეგ იყო შესაძლებელი. ამის მსგავსი ურთიერთობა მეფესა და მემკლემებს შორის რუსეთში არ არსებობდა, ეს მემამულეები იყვნენ მეფის ყურმოჭრილი მონები და არა ვასალები. რუსეთი არ იცნობდა ფეოდალიზმს, როგორც სახელმწიფო ძალაუფლების ორგანიზაციას, იმ სახით, როგორც იგი გაბატონებული იყო ევროპაში. არსებითი სახელმწიფო ფუნქციები (ჯარი, პოლიცია, საგადასახადო და საბაჟო საქმე და სხვა.) შეადგენდნენ არა მეფის, ეკისრის არამედ ვასალის კომპეტენციას, რომელსაც აწვა მეფისათვის სამხედრო და ფინანსური დახმარების ვაწყვის მოვალეობა. ეს პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემა ხასიათდება უმაღლესი მართველობის დეცენტრალიზაციით და ცენტრალური (გერსარი) ხელისუფლების შეკვეცილი და დასუსტებით. რუსეთში არააფერს ამის მსგავს არ ხედავთ, პირიქით, რუსეთის მეფის ხელისუფლება უკიდურესად ცენტრალისტურია, არაფრით შეზღუდული; მეფე უსაზღვროდ ბატონობს რუს ადამიანზე და საზოგადოებაზე, მთელი რუსეთი მისი საკუთრებაა, იგი არის ქეშმარიტად თვითმპყრობელი. რუსეთში არსებობდა უსაშინლესი ბატონყმობა, მაგრამ არასოდეს ფეოდალიზმი, ეს თვითმპყრობელობა იყო რუსული ცხოვრების პოლიტიკური დედაბოძი, მართვლობის ფორმა, რომელიც, გოგოლის სიტყვით, მთელი რუსული განვითარების დავკირგინება და რუსეთისთვის ერთადერთი შესაფერი იყო.

რუსული ცხოვრების მეორე დედაბოძი იყო მისი მართლმადიდებლური ეკლესია. თვითმპყრობელი მეფე იყო უმაღლესი მეთაური რუსული ეკლესიის და „დამცველი მართლმადიდებლობის და მისი ღირებების და საეკლესიო წყობილების“. მართლმადიდებლური სარწმუნოება აერთიანებდა მთელ რუსობას, იგი იყო ხალხური, მართლმადიდებლური ეკლესია ვახდა ნამდვილ რუსულ ეროვნულ ეკლესიად. ამ ეკლესიამ შეინახა, რუსის წარმოდგენაში, ქრისტიანული მოძღვრება წმინდად და გაუყულებულიად და მოსკოვი ვახდა დამცველი ქეშმარიტი სარწმუნოების. 1054 წელს მსოფლიო ქრისტიანობა საბოლოოდ გაიყო და დასავლეთის ეკლესია იქნა მოსკოვის მიერ დაგმობილი. კონსტანტინოპოლის, მეორე რომის, დაცემის შემდეგ მოსკოვმა იკისრა მსოფლიოში ამ „ქეშმარიტი“ სარწმუნოების გაერცელების და დედა მიწაზე ღვთის სამეფოს დამყარების როლი, რაზედაც პრეტენზიას იქამდის

რომი და კონსტანტინოპოლი (მეორე რომი) აცხადებდნენ.

„ჩრდილოეთში წარმოიშვა მეს.მე რომი, რომელიც მსოფლიოს უნათებს როგორც მზე. მოსკოვს არ ჰყავს მემკვიდრე, მეოთხე რომი შეუძლებელიაა ქადაგებდა ბერი ფლოფივი. ამ მის მიერ წყალობა „მსოფლიო მისიის“ ასრულება, რაც იდენტურია მსოფლიოში რუსეთის ჰეგემონიის დამყარებასთან, იყო და დარჩა დღესაც მოსკოვის უცვლელი პოლიტიკა, რომელიც ხორციელდება სისტემატურად მის შემდეგ, რაც მონგოლთა იმპერიის დაქვემდებარებაში მოსკოვს გზა გაუხსნა. რუსეთის ისტორია ამის შემდეგ არის არა რუს ხალხთა დაუსრულებელი დაპყრობა; რუსული ეკლესიის კუთხებით, არის შეუჩერებელი წინსვლა რუსულ საშინაო, რომელთაც წინ მიუძღვის: ჯვარი, ქრისტიანობის ემბლემა. კულტურა, რომლის შინაარსს და მამობრძეებელ ძალას რელიგია და დესპოტია შეადგენდა, ვითარდებოდა უკიდურესობისკენ. ასე იყო ბუდიზმი, რომლის საბოლოო მიზანია განსწორება ამა ქვეყნისაგან, ნირვანა, სიციცხლის უაყოფა, პოლიტიკურად იზოლიაცია, სასწერებში ჩაქვება. ისლამი კი, რომელიც ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლასა და მკვლელობის სარწმუნოების ძალით გავრცელებას ითხოვდა, რაც უსისტეკისი ფანტაზმით ხდებოდა, წყადა მეორე უკიდურესობის გზით, ექსპანსიის გზით. რუსეთში მოცემულია ირრვე ეს უკიდურესობა: ერთი მხრით რუსი ადამიანის გულბრილობა საკუთარი ბედისადმი და მისი სარწმუნოებით ნაკვები მისტიკური შერიგება ამ ბედთან და ასევე მისტიკური თავდაწყება და საკუთარი თვის უაყოფა, პასივობა ამ ბედის გადამწყვეტ ძალით მიმართ და მოქცევა საკუთარი ცხოვრების ვიწრო სფეროში, რასაც ხელს უწყობდა მისი ცხოვრების სოციალური საფუძველი (ობშჩინა), რომელიც რუსეთს ინდოეთთან საერთო ჰქონდა, მეორე მხრით, ჩაგვრისა და მოზნობის პირობებში რუს ადამიანში დაგუბებულ სტიქიის ამოხეობა და გაბოროტებულად გაქანება, ამასთან დეკავშირებული ნგრევის ფსიქოზით, რააც თავი იჩინა დრო გამოშვებით რუსულ ცხოვრების შინაგან ცხოვრებაში და რაც სისტემატურად მიმართულ იქნა გარეთ, ტერიტორიული ექსპანსიის გზით. მოსკოვს წარმოშვებიდანვე საქმე ჰქონდა არა ქრისტიანულ ხალხებთან, რომლებთანაც იგი მუდამ ბრძოლაში იყო. ეს ბრძოლები მის შვეგნარში მართლდებოდნენ რელიგიური სუადახსებობით. ამ გარემოებამ აუტანელ რუსულ ეკლესიას და სახელმწიფოს გაუადვილა რუსი მოსახლეობის აღზრდა უცხო ხალხებისადმი მტრობაში და გაუტანლობაში და ეს მტრული განწყობილება იმავე სარწმუნოებრივი და კულტურული სხვადასხვაობის ძალით გავრცელებული იქნა დასავლეთ ევროპაზედაც,

ასეთი იყო მოსკოვი და ასე მიადღია მან პეტრე პრრველის დრომდე, უკეთ რომ ეთქვათ, მე - 19 საუკუნემდე. ენა-ლიან ამ საუკუნეში წარმოიბს ეფექტურად რუსეთში ევროპეული ცივილიზაციის ცდა, რუსეთში ევროპის კულტურის შეცრაობა. ეს საქმე დაიწყო პეტრე პრრველმა.

ქრისტიანული სარწმუნოება რუსეთში, მიიღო ბიზანტისაგან და იქიდანვე გადაიღო ეკლესიის ორგანიზაცი-ორიენტალური სახით. ბიზანტური სახით ე. ი. ეკლესია დაუმორჩილა საერთო ხელისუფლებას და გადაიქცა მისი არ-ლად, სწორედ წინააღმდეგ იმისა, რაც მოხდა დასავლეთში, სადაც ეკლესია საშუალო საუკუნეებში გაბატონდა ან ცდილობდა გაბატონებას სახელმწიფოზე და სადაც პარალელურად ამისა დამყარდა პრიმატი სარწმუნოების, თეოლოგიის, რომელმაც ფილოსოფიისათვის თავის სასაბურთში აიყვანა. მაგრამ ფილოსოფიური აზროვნება იქ არ გაიყინა და მისი ემანსიპაციის პროცესი მიმდინარეობდა შეუწყვეტლივ. თვით სქოლასტიკაში, რომელიც ანტიკის აზროვნების (არისტოტელის) ყალბ გაგებაზე იყო დაყრდნობილი და რომლის არსებობად დამახასიათებელი იყო იდენტურობა ფილოსოფიის თეოლოგიასთან, ჩანს: ელემენტები თეოლოგიის რღვევის (მგ. დაეა ნომინალიზმსა და რაიალიზმს შორის) და ახალი გენეოთარების, რომლის პროცესში რენესანსმა და რეფორმაციამ და განსაკუთრებით ახალი ბუნებისმეტყველების გამარჯვებამ თეოლოგიის პრიორიტეტი მოსპეს და თავისუფალ აზროვნებას გამარჯვება მიანიჭეს. მაგრამ რუსეთში?

რუსეთი გვიან გამოვიდა საერთოშორისო (ევროპის) პოლიტიკურსა და კულტურულ სარბილზე და ეს გამოვიდაც დარჩა ეპიზოტური ხასიათის, როგორც ამ ევროპეიზაციის წინ. ისე მის შემდეგ რუსეთის ისტორია არის მოსკოვის ისტორია, მოსკოვი კი ნიშნავს დანაჩინ მსოფლიოსაგან გამმარტობას, მისგან მოწყვეტსა და საკუთარი აზრობა წესით ცხოვრებას. ძველმა მოსკოვმა თითონ დახურა დასავლეთთან დამაკავშირებელი გზა და იგი დარჩა ამ უკანასკნელის განათლებისა და აზროვნების გარეშე. მისი ხელისუფლება; არ იყო დაინტერესებული ხალხის განათლებას და გათვითცნობიერებაში - მასობრივი უვილობა და სინზევლ ზომ მისი ძლიერების წყაროს და საწინდარს შეადგენდა! და არც იმიძიმება თავს ამაზე ზრუნვით. პირველი სკოლა (ისიც სასულიერო წოდების, მღვდლების მოსამზადებელი) დაარსდა აქ მხოლოდ მე - 16 საუკუნის მიწურულში, სავარა სკოლა მე - 17 საუკუნის პირველ ნახევარში. პირველი უნივერსიტეტი 1755 წელს. ევროპიზაციის პერიოდის დასაწყისში. სადაც განათლება არ არსებობს, იქ აზროვნებაც ვაინულოა, ეს აზროვნება არც კი არსებობდა. მოსკოვი მართლაც ბედნიერი იყო ამით, რომ მას არ აწუხებდა და არ აღევლებდა

აეთიარი შემოქმედებითი აზრი. საკუთარი მის არ წარ-
უშვია, უცხოთან კი იგი მტრულად იყო.

რუსეთისათვის ანტიკის აზროვნება უცხო ხილი იყო და
აზროვნების შემდეგი (ევროპული) განვითარების პრო-
ცესი რუსეთს არც კი ვაკარებია. რუსეთს არ განუკლია
მ. რ. კლია სულიერ - გონებრივი ვარაქმნა და პოლი-
ტიკური რევოლუცია, რომლებმაც ევროპის აზროვნება
ისე ნაყოფიერად განაყოფიერეს. რუსეთისათვის სრულ-
ებით უცნობი იყო რენესანსი და რეფორმაცია, ნაწილი-
ებით ფეოდალიზმი და კაპიტალიზმი, რაციონალიზმი,
პიროვნული და ლიბერალიზმი, მისთვის უცნობი იყო და-
სავლეთის სოციალ - ეკონომიური და აზროვნული განვი-
თარებით წამოყენებული პრობლემები და, რაც ჩვენთვის
განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, პრობლემები პიროვნე-
ბების თავისუფლების, ადამიანის და მოქალაქის უფლე-
ბის, თავისუფლების, ადამიანის და მოქალაქის უფლე-
ბის, თავისუფლების სახელმწიფოებრივი ფორმის, დემოკ-
რატიის და ს. აშკარა აზროვნება იყო მისკოვიისთვის
უცხო და დარჩა ბოლომდის უცხო. მხოლოდ მე - 19 საუ-
უნეში განვითარდა აქ, დასავლეთის გავლენით და იქი-
დან ნასესხები და რუსულ პირობებს შევუებული, განსა-
ზრდული ტენდენციის მატარებელი აზროვნება, ისტორი-
ულ - ფილოსოფიური აზროვნება, რუსეთის სამიწი-
ურ კერძო ისტორიული სიტუაციით გამოწვეული და
სიტუაციით განსაზღვრული. მაგრამ ამაზე ქვევით.

მაშინ როდესაც დასავლეთ ევროპაში ინდივიდუალურ
და სოციალურ ღირებულებათა ცნობა და ათვისება საყო-
ველთაო იყო და ადამიანის და საზოგადოება ცხოვრება
ინდივიდუალიზმის და ლიბერალიზმის ჰუმანიზმის პრინ-
ციპებზე დაყრდნობით, რუსი ადამიანი იმყოფებოდა სოციალური
ცხოვრების არქაიულსა და საუკუნეთა განმავლობაში
გაყინულ ფორმებში, პრიმიტიულ კოლექტივიზმის სინა-
შიდებში, რომელშიდაც სასველით გათქვევნილი იყო
მისი ინდივიდუალიზმი და არ არსებობდა ნიღბი ვი პიროვნე-
ბების თავისუფლების პრობლემისათვის. დასავლეთში კი
პიროვნების განთავისუფლება მოხდა ისტორიული აუცი-
ლებლობის ძალით, ფეოდალური მეთურნობის კაპიტა-
ლისტურით შეცვლის ნიადაგზე, რომლის საფუძველი და
წინასწარი პირობა თავისუფალი შრომა, თავისუფალი
შრომელი იყო. რუსეთში ეს პროცესი დაიწყო საერძობი
ძალით მხოლოდ მე - 19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხე-
ლში, მაგრამ იგი მალე შეწყვიტა თვით რუსულმა სტიქიამ,
რომელმაც რუსეთის განვითარება ისევე წინადადელი აზი-
ური გზით მიმართა.

როგორც ზევით აღნიშნული იქნა, ევროპეიზაციის
საქმე დაიწყო პეტრე პირველმა, რომელიც თავისი დრა-
კონული ზომებით რუსეთში დასავლეთის ცხოვრების
ფორმების შემოღებას ზევიდან ფიქრობდა და რომლის

ყურადღებას გამორჩა თვით რუსის ხალხი. საქმილ იყო
მიღებულ ზომებთან პარალელურად რუსეთში ევროპის
კულტურის პოპულარიზაცია და გადმონერგვა. რუსეთში
ადამიანისთვის საშუალების მიცემა განვიხილავთ ამ კულ-
ტურას უშუალოდ, რაც იწყება მე - 18 საუკუნის უკანა-
სკნელ მეოთხედში, როცა რუსეთის არისტოკრატის საზო-
ღვარ ვართ მოგზაურობის უფლება მიენიჭა. ნაპოლეონის
ომებში მონაწილეობამ და ამ ომების დასრულების
შემდეგ რუსი არისტოკრატების გაზიარებულმა მოგზაუ-
რობამ ევროპაში გააცხოველა რუსებში ევროპის კულტურის
და აზროვნების გაცნობა. კონტაქტის განტენსივებ-
ის შედეგად რუსეთში შემოიპოვა ევროპული იდეები და
შეხედულებები მთელი მათი მრავალფეროვნებით, რო-
გორც ისინი განვითარდნენ ევროპაში. ამ შეხედულებე-
ბიდან რომანტიზმი გამოდგა რუსის ბუნების და გონებ-
რივი სტრუქტურის ყველაზე უფრო შესაფერის და მისი
ამ მყარ რუსულ ნიადაგზე განმტკიცებული გაველნაც და-
რჩა ხანგრძლივი.

რომანტიზმი აზროვნულად ცალმხრივი რაციონალიზმის
ასევე ცალმხრივი რეაქცია იყო. გერმანიაში ამას დაერთო
ეროვნულ - პოლიტიკური მომენტე, უცხო დამპყრობელი
ძალისაგან სამშობლოს განთავისუფლების მისწრაფება.
მიუღ სისტემას საფუძველად ედვა შეგნება გერმანული
ხალხის თავისუფლების, მისი ბუნებით და ისტორიით
მოცემულის, შეგნება გერმანული სხვაზე უპირატესობისა,
რაც დაკავშირებული იყო წარსლის იდეალიზაციასთან.
ეს აზროვნება ჩამოყალიბდა აქ კარგად ცნობილ ხალხო-
სწორ იდეოლოგიად (ვოლკსტუმ - იდეოლოგი). პოლი-
ტიკურად რომანტიზმი ასაზრდოებდა რეაქციას, როგორც
ყოველთვის, როდესაც წარსული ხდება იდეალი. რომან-
ტიზმის წარმოშობის ამ ორი დასაბამიდან ერთი, სახელ-
დობარ რაციონალიზმი, როგორც საზოგადოდ ყოველი ფი-
ლოსოფიური აზროვნება, რუსეთის აკლდა, სამაგიეროდ
უფრო დაეწაფა რუსული აზროვნება მეორეს, ეს მეორე
კი დაიწყო მდამოკრუსი ხალხის აღმოჩენით, ანკმდის
უჩინარის, რომელსაც რუსი ხალხი ხედავდა და ეჭვარის
უწყევდა ეროვნული ომის დროს (1812).. ეს უბრალო ხალ-
ხი დამხმარე რაზმების სახით ჩაება სამშობლოს განთავი-
სუფლების საქმეში და უსახელო გმირთა თვანწირუ-
ლებამ მიიპყრა საერთო ყურადღება, გამოიწვია პატრიო-
ტული აღტაცება. ამით ეს უბრალო ხალხი წარსლად საზო-
გადოების წინაშე მთელი თავისი მიმზიდველობით და
მნიშვნელობით, როგორც ერთი ვადამწყვეტი ფაქტორი
რუსულ ცხოვრებაში. ამ ეროვნობამ გააღვიძა რუსულ
საზოგადოებაში მღვიმე ინტერესი ხალხისა და მისი წარ-
სულისადღა, ამ წარსულის შესწავლისადმი. ამ საქმეში კი
რუსებს თვალწინ ედგათ უცხო მაგალითი, უწყვე ჩამოყა-
ლიბებული გერმანული ხალხოსწორი იდეოლოგია, რომე-

ლიც რუსებმა მთლიანად გადაიღეს. ამავე დროს თავისთავად რიაქციონური იდეოლოგია რუსეთში გადაეკეცნა მემარჯვენე ჰეგელიზმს: რუსები რუსულ წყობილებაში ხედავდნენ მსოფლიო ანუ აბსოლუტური სულის მანიფესტაციას, ეს რუსული წყობილება იყო სინამდვილე, მაშასადამე იგი ემსახურებოდა გონიერ მიზანს, ამით იგი მათ თვალში გამართლებული იყო. მემარჯვენე ჰეგელიზმთან ასე შეზავებული ხალხოსნური იდეოლოგია გახდა უკიდურესად რიაქციონურ ფეიციალური იდეოლოგია და იგი შეადგენდა ცნობილი ტრიადის - თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლობა, ნაროდნობა (ხალხოსნობა) - მიუცილებელ შემადგენელ ელემენტს. ამ პოლიტიკური ფორმულის ნიადაგზე დგა და მას აღიარებდა მთელი მაშინდელი (30 - 50 - ან წლებში) პოლიტიკური და სოციალური აზროვნება. თვითმპყრობელობა ხელუხლებელი იყო და მისი უარყოფა არავის, არც პეტრე ჩადავის, არც სლავოფილებს თუ სხვას აზრად არ ჰქონდა, ცოტა უფრო ადრე მომხდარი დეკარისტების შეთქმულება იყო შემთხვევითი მოვლენა, რომელიც შემდეგ მთელმა მაშინდელმა საზოგადოებამ დაგმო. მოძრაობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ (ნაროდნიკები, ნაწილობრივ ზაბანდნიკები) ჩამოყალიბდა მომავალ თაობაში, მე - 60 წლებში, ბატონყმობის ფორმალური გაუქმების შემდეგ. სწორედ საზოგადოების ეს ერთსულოვნება და თვითმპყრობელობის ერთგულება იყო, რაც ზურგს უმაგრებდა ნიკოლოზ პირველის სასტიკ რეჟიმს, მსოფლიო რეაქციის ბურჯს, „ევროპის ენადანობის“ სახელით მონათლულს.

არსებობდა ამ ნაროდნოსთ-იდეოლოგიას, რომლისგან რუსული ავრესიული ნაციონალიზმი განვითარდა, პირდაპირ, თუ არა პირდაპირ; საზოგადოდ, მთელ რუსულ აზროვნებას ასარსდებოდა რუსულის და ევროპიულის სხვადასხვაობა, რაც გადაიტყა მეცხრამეტე საუკუნეში რუს ინტელიგენცია აზროვნების ცენტრალურ, შვილობილ თქვეს, ერთადერთ პრობლემად. რუ ითვის ევროპიზაცია ნიშნავდა მთელი რუსული ცხოვრების ერთიანად გარდაქმნას. ამ ცხოვრების ფორმების ევროპიულის შეცვლას, რუსეთის ისტორიულად გადმოცემული სოციალური და კულტურული თავისებურებების მოსპობას. ამგვარმა პერსპექტივამ რუსული აზროვნება დააყენა დიდების წინაშე: რუსეთი თუ ევროპა? რა ქნას რუსეთმა, გაყვეს ევროპას და გაითქვიფოს მის კულტურაში თუ მან მოიგონოს თავისი წარსული და ისტორიული დანიშნულება, გაუძღვეს და უპატრონოს კაცობრიობას?

ჩვენ უკვე დაინახეთ, რომ რუსეთი ცხოვრობდა ევროპულისგან განსხვავებულ პირობებში, რის გამო იქ შეიქმნა თავისებური კულტურა. შემდეგ მე - 19 საუკუნეში, რუსულმა აზროვნებამ ეს თავისებურება გადააქცია რუსე-

თის უპირატესობად ევროპის მიმართ, ე. ი. რუსეთის ცხოვრების ისტორიულად შექმნილი ფორმები, გერმეულ-ფრანკო-სლავის მოწყობისათვის უფრო შესაფერისად დასაყენებლად, ევროპის კი უეარგისად და საზიანოდ. რუსეთის ამ შეთხზულ უპირატესობაზე ააგეს რუსებმა შემდეგ მთელი თავიანთი რომანტიზმი ნასულდგმულები აზროვნება. პირველი რუსული სისტემატიური აზროვნება, რომელიც მთელი მე 19 საუკუნის განმავლობაში და შემდეგ დასტრიალებს პრობლემებს, წამოჭრილს რუსეთის დასავლეთთან შეხვედრით, მაშასადამე რუსეთის ბედს და მის ავტოკრატიული იდეოლოგიაში. ეს კი რუსებს წარმოადგენილი აქვს ევროპაში და მთელ მსოფლიოში, რუსეთის სრულ ჰეგემონიის სახით (სლავოფილ — პანსლავისტები, ბოლშევიკები), ან ევროპისგან ჩამოშორებით და აზიისაკენ მიბრუნებით, ამ უკანასკნელში კოლონიზატორული და ცივილიზატორული მისიის შესრულებით და მისი დაპყრობით. თვით რუსეთში აზიური (ტურანული) ელემენტის გაძლერებით (ლევანტიევი, ევრაზიელები). მაგარამ ამ სხვადასხვაობაში ყველა ერთსულოვანია იმაში, რომ მათი წარმოდგენით, შესასრულებელი აქვს ისტორიული მისია „რუსული იდეის“ განხორციელებით, რომლის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ რუსი ხალხი უმაღლესი სულიერი კულტურის მქონე და რჩეული ხალხია და განვიხილოთ მისი უნიკალური და ადამიაროს მშვილობაზე და სიყვარულზე ავტოკრატიული დევიითი სამეფო დედამიწეში, გამოტოვების ბედი და მომავალი.

რუსი ინტელიგენტები სერიოზულად ფიქრობდნენ, არა, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამ საკაცობრიო იდეალს გაანხორციელება ურუსეთად შეუძლებელია და კაცობრიობას უსათოდ სჭირდება რუსეთი, რომელიც მას უნდა გაუძღვეს და რომელმაც იგი უნდა იხსნას განსაცდელისა და დაღუპვისაგან. ეს უნივერსალური მისიანში მიეწერა სარწმუნოებრივი წინააღმდეგობის ნიადაგზე წინათ მოსკოვს, როგორც მესამე რომს და მას შემდეგ ის ოცნებ უწიელი ძაფით გადის მთელ რუსულ ისტორიაში და ასულდგმულებს რუსულ აზროვნებას, მის უკანასკნელ ფილოსოფოს ნ. ბერდიაევამდე და ბოლშევიკ კომუნისტებამდე. ეს იდეა განსაკუთრებულ სიძლიერით იქნა გამოთქმული მე - 19 საუკუნეში, როცა დასავლეთიდან ახალი იდეათა და ინდუსტრიული კაპიტალიზმის ძლიერი შემოჭრით რუსეთში მზადდებოდა სოციალური, ეკონომიური და კულტურული გარდატეხა და რუსული აზროვნება გაჯავრადინზე მოხდა. თქმისი ყველა მიმართება, დაწყებული სოციალიზმით და გათავებული ბოლშევიკებით. აღმოჩნდა „რუსული იდეის“ მოციქული სხვადასხვა ნიუანსებით. კარდინალური პრობლემა იყო დამოკიდებულება დასავლეთთან. ინდუსტრიული კაპიტალიზ-

ნის შემოქრამ, რაც რუსულ საზოგადოების სტრუქტურის ემუქრებოდა, ეს პრობლემა დასვა კონკრეტულად. რუსეთში კაპიტალიზმის შესაძლებლობის და მომავლისთვის მისი საჭიროების შესახებ.

ამაზე აღრე რუსეთ - ევროპის პრობლემა იდგა რუსული აზროვნებისთვის საერთო კულტურული, განსაკუთრებით რელიგიური ასპექტის ქვეშ. რუსეთის და ევროპის შედასახვაობა თავიდანვე აღიქმდა რუსთა შეგნებაში მთავრესად, როგორც სარწმუნოებრივი და ამიტომაც

სარწმუნოებრივი მომენტი არის, ყოველ შემთხვევაში ბატონყმობის გაუქმებამდე, მთავარი მოტივი რუსული ისტორიულ - ფილოსოფიური აზროვნების, როგორც ვიცი პირველად გადაუშალეს საზოგადოებას პეტრე ჩაადევმა და აღინდელმა სლავოფობიელმა.

მოსე იმნაიშვილი.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

აკაკი ჩხენკელი

ეპთი ეპიზოლი ჩემი მოგონებებიდან

იზრაელის სახელმწიფოს პირველი პრეზიდენტი დოქტორი ვიტიტმანი, იზრაელის დამფუძნებელ კრებისდამი მმართველ სიტყვაში, ერუსალიმში, სხვათა შორის ამბობდა: ჩვენი ცხოვრების ეს დიდი დღე მსოფლიოსათვისაც დიდი დღე არისო.

მე ჯერ კიდევ წარსული საუკუნოების ბოლო ხანებიდან იონიზმთ დანტერცესებული და მის საბოლოო გამარჯვებაში დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ მართლაც რომ არ ზგონა, პირადათ თუ ამ დიდი დღის მომსწრე ვიქნებოდი. 1897 წლის ბაზელის ცნობილ კონგრესის დროს, რომელზედაც თეოდორ პეტრელც -მა „ებრაული სახელმწიფოს“ საბირკვისის პირველი ქვა დასო, მე უკალქ სტაროლუმში სეროვოვის გუბერნიამი ვიყოფებოდი.

ქალაქს მოკლე ხნის წინად მომხდარი პოვრომის კვალი ჯერ კიდევ ანდა. ამ ფაქტის მეოხებით მე ჩირველად მომიქცე შემთხვევა, ამ ველურობის ბნელი საწყისების აღმომჩინა.

ჩემი სტაროლუმლი მეგობრების მეოხებით, განსაკუთრებით ეს ერთი მდგანის, რომელიც შემდეგ ჩემთან ერთად კიევიში იმყოფებოდა, მე ვავექანი იმ შესანიშნავ მოპრობას, რომელმაც ააღელვა და მოიცვა მთელი ებრაული ახალი თაობა. ამ მეგობარმა მითარგმნა ილიმიდან ჩსულდა, გაზეთებზე გამოქვეყნებლი წერილები — ზოგჯერ რჩაული ფურცლები წიგნებიდან — ლეზიაც კი.

და 1899 წელს მე საჭიროდ დაინახე ქართველ მკითხველთათვის გამეცნო ეს მოძრაობა, ყოველ კვირულს რუსეთ „კვალში“ დაბეჭდილ საფუძვლიან წერილით. რა თქმა უნდა მაშინ მე არ მოველოდი, რომ ჩვენი ებრაელები სიონიზმის პიონერად გამოამცხადებდნენ ჩვენ ქვეყანაში როგორც ეს ერთ სხვა გაზეთის ფურცლებზე ითქვა.

შემდგომ ამისა ხუთმეტრიდენ წელმა გაიარა, რომელთა განმავლობაში მე, ასე ვთქვათ, ცარიზმიდან დასაყლეთში

შემოხვეწილ ემიგრანტის სტაქს ვადიოდი და მოწმე ვიყავი იმ გამძაფრებულ კამპანიას, რომელსაც სოციალისტ დემოკრატიული პარტია, რომელსაც მეც ვეყუთონოდი სიონიზმის წინააღმდეგ აწარმოებდა. და რაოდენ დიდი იყო ჩემი გაკვირვება, როცა ერთ დღეს ტავრიდის სასახლეში პეტროვარადში ჩემთან მოვიდა, ავტორი ოდესლაც ჩემი „პიონერად“ მონათელისა — ჩემი თანამემამულე ჩემზედ ბევრად უმცროსი ხანაშაშვილი, მოსეს რჯულის მიმდევარი.

რა სურდა ამ ახალგაზრდას? მას სურდა მოსკოვის მედიკურ ფაკულტეტზე ჩარიცხულიყო. მე დაუყონებლივ სათანადო ნაბიჯები ვადავდი, განათლების მინისტრის თავად იგნატევის წინაშე, რომელიც თავისი ლიბერალიზმით იყო ცნობილი.

მაგრამ მან მაშინვე მიპასუხა: ებრაელთათვის შეუძლებელია. მე მას მიუგე, რომ საქართველოში და მიელ კავკასიის მეფის ნაცვლის საგანმგებლოში, ჩვენებურ ებრაელებისათვის არავითარი შეზღუდვები არ არსებობდა და დაყენებით ვთხოვე ჩემი პროტეცე მოსკოვის უნივერსიტეტში მიელოთ, ბევრი ყოყმანის შემდეგ მინისტრი დათანხმდა.

მაგრამ ამ მხრივ გადგ ბევრად უფრო მტკივნეული დამციტობანი უნდა ჩვენ ვადავებანა. მაგალითად, მემარჯვენე ორატორები ერთ ფრაზასაც არ წარმოიტყვამდენ სახელმწიფო ღუმაში, რომ ებრაელთათვის არ შეეციათ. მათ ეძახდნენ „შურბაცხოფოდელ სახელს უყდის“ და ყველა უბედურებას რაც კი რუსეთის ქვეყნის გაჩენიდან მოსულა ებრაელებს მიაწერდნენ.

სხვა ჯგუფების მოთხოვნას, რომ ეს სკანდალი შეწყვეტილიყო, დუმის პრეზიდენტმა რომიანკომ არასოდეს მსვლელობა არ მისცა, ამგვარად ერთ მნიშვნელოვან კონონაროეტის გაჩრევის დროს, იმპერიის ქვეშევრდომთა მოქალაქებრივ პოლიტიკურ და სოციალურ თანასწორობას რომ ეხებოდა. თითქმის 1917 - ის რევოლუციის დამდეგს, ისეთი მომენტიც დადგა, როდესაც ყველა დებუტატებმა, როგორც მემარჯვენეებმა აგრეთვე ცენტრალამ

და მემარცხენეებმაც ოხვი ვალდებულად ჩათვალეს, სოციალ დემოკრატების მიერ წარდგენილ მუხლის წინააღმდეგ მიეცა ხმა. ეს მუხლი ებრაელთა უფლებების ყოველგვარ შეზღუდვათა მილიან აღკვეცას შეიცავდა და კენჭის ყრის დროს მთელი დღემს უწყობა შორის მყოფმა მხოლოდ ორმა მებრალმა — ერთი ადვოკატი იყო მებრალ ექიმი — თავის შეკავება გაბედეს.

რა მიტევი ამოძრავებდა ამ ჯგუფებს? — სახელმწიფო საბჭო ანუ მეორე პალატა, მძელს პროექტს უკუ ავდებსა — პროექტს, რომელიც მეოთხე დღემს ერთადერთ დიდ რეფორმას წარმოადგენსო, ასე ამბობდა და იმეორებდა მომხსენებელი მაკლაკოვი, კადეტთა პარტიის ერთერთი ლიდერი (კონსტიტუციონალისტ — დემოკრატი).

ასეთ აუტანელ ატმოსფეროში, წარმოსადგენია მემარჯვენეთა მოუზიდებლობა, რომლის დროსაც სიტყვა უდიდ წარამარა იხმარებოდა ყველა გრამატიკულ ფორმაში როგორც ეს ჩვენი მებრალ დენილი მუხლი დიკსონის სახელად ვახებოდა და ერთ თვეზე მეტი ვაგრძობდა ასე.

ბოლოს მოთმინება დაკარგულმა, ჩვენი ჯგუფის სახელით, ადგილიდან განეაცხადე შემდეგი: რადგანაც პრეზიდენტ უარზე ამ მაღალი სახლის პატივი და სახელი დაიკვას (ზოგჯერ ასე უწოდებდნენ დუმბას), და ამ გვარად ნებდს იძლევა შეურაცხველი მთელი ერთი, დეპუტატი რომელიც ამ დანაშაულს ჩაიდენს თავის სიტყვას ვერ განაგრძობს, ხოლო თუ ვაგვიტყდა, თავდაღმა ჩამოვიარდება ტრიბუნადა.

ამ დროს ტრიბუნაზე იყო ანტი სემიტობით განთქმული, უნდა ითქვას ნიჰეირი ვეკილი ზამისლიცკი და ამ სიტყვების გაგონებისთანავე ვაიკცა... ამ დღის შემდეგ აღემაჰე შეწყდა ეს სახიზრობა.

მაგრამ მე არ მსურს ეს წერილი ისე დავასრულო, რომ არ განეცხადო: ოხრალის სახელმწიფოს დემოკრატებლობა, რომლის პირველი წლისთავიც სამწინანს ხსენებულს, ჩემთვისაც დღისასწავლია და იგივე შემძილა ვთქვა ყველა კავკასიელთა სახელითაც.

როდესაც კავკასიელთა შესაგებებელმა პარაკობ არ შემიძლია მათი სახელით რამოდენიმე სიტყვით არ მივმართო სირიისა და ტრანსიორდნიის ჩერქეზებს: ნუთუ ოხრალის „სასწავლი“ არაფერს ეუბნება მითა — რომელსე არც თუ უსაფუძვლოდ ოცენებოდა წინაპართა მიწათმპალარა კავკასიონის სანახებში დაბრუნებაზე. მე მკურს უთხრა ჩერქეზებს, რომელნიც ჯერ კიდევ 1923 წლად არიან პირველხარისხოვან სამხედრო ძალად ჩამოკლებული, საფრანგეთის უმანღეს კომისარ გენერალ ვეიგანის მიერ; არავითარ შემთხვევაში ოხვი არ მოაკუებოთ და ოხრალის წინააღმდეგ არ ამხედრდნენ. ეს იქნებოდა შეურაცხველი მათი კავკასიელი ძმების საუკუნოებრივი ტრადიციებისა.

ამასთანავე უნდა ვთქვა, რომ მე დარწმუნებული ვარ, როგორც ყოველთვის ვიყავი, რომ მთელი არაბეთის მომავალი, მისი ნორმალური განვითარება და მისი მთლიანობის დადგენა ამ უფრო სწორად არაბულ სახელმწიფოთა „კომუნისტო“, ბევრს მოიგება არაბთა და ოხრალის ურთიერთ ვიწრო თანამშრომლობით, ნუ დავიფიქვებთ დიდი ავტორიტეტის მეცნიერ ზომბარდის სწავლამან უადრეს ყოველ დიქტატურათა და ტრაქტატებთან, თავის მოწინავეთა ყურადღება მიმაპირი იმ დღე როლზე, რომელიც ებრაელებმა ითამაშეს, ყველა ცივილიზებულ ერთა წიაღში — განსაკუთრებით ეკონომიურ ფინანსიურ სფეროში. პარიზი. 14 - 4 - 1949.

† ლადო გუდიაშვილი

ყველა ქართველის გულში, დიდი მწუხარება გამოიწვია ლადო გუდიაშვილის ვარდაცვალებამ, რადგან მისი წვლილი ქართული მხატვრობის განვითარებაში მეტად დიდია. მთელი მისი ხანგრძლივი ცხოვრება ქართულ მხატვრობას, ქართულ კულტურის განვითარებას მოახმარა.

დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობამ, 1919 წელს 60 ახალგაზრდა გაავხანა ევროპაში განათლების მისაღებათ. მათ შორის იყო სამი ახალგაზრდა მხატვარი: დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი და შალვა ქიქოძე. ისინი წავიდნენ პარიზში. პარიზში ამ დროს მოვლდოდა მხატვრობის ცენტრი იყო. აქ მოღვაწეობდნენ პიკასო, ბრაკი, მატისი, მოდილიანი და სხვა განთქმული მხატვრები. მათ შეუქმნეს პარიზს ახალი მხატვრობის მსოფლიო სახელი. კაკაბაძე და გუდიაშვილი დასახლდნენ პარიზში, ბულვარდ

მონპარნასის ახლოს. აქვე მდებარეობდა ცნობილი ყაფროტონდა, სადაც ზემოხსენებული მხატვრების თვეური ლობის ადგილს წარმოადგენდა. ამავე კავშირში იწყობოდა საზმხატვრო გამოფენები. ჩვენ ქართველ მხატვრებს ყოველდღიური შეხვედრები ჰქონდათ მათთან, აქვე ახლოს იყო რანსონის აკადემიაც, სადაც მუშაობდა დაიწყეს. ამიხივად ჩაებნენ არტისტულ შემოქმედებაში. ეს ორი მგობარი მხატვარი ორ სხვადასხვა მიმართულებას დაადგნენ. ლადო გუდიაშვილის თემატიკა იყო საცქიფოურათ ქართული. 1925 წელს ფრანგმა კრიტიკოსმა რენიალმა ლადოს ნაწარმოებთა რეპროდუქტია ცალკე წიგნად გამოცხადე სადაც აღნიშნა: „...ნიც გუდიაშვილის მხატვრობას გაეცნობა, არ შეიძლება საქართველო არ შეიყვაროს“ 1925 წელს ლადომ მოაწყო პირადი გამოფენა. მიუხედა



ად იმისა, რომ პარიზი მხატვრული გამოფენებით განე-
 იერებული იყო, ფრანგული საზოგადოება აღფრთოვანე-
 ნით შეხვდა მის საჯარო გამოსვლას. უდავოდ დამისახურა
 იდი მხატვრის სახელი. 1926 წელს ლადო ბრუნდება
 ამშობლოში, სადაც განიცდის ადგილობრივ ხელისუფ-

ლების დაწოლას, და სტოებს საკუთარ მხატვრულ სტილს.
 როგორია ეს ცვალებადობა ეს უკვე გემოვნების საკანონი-
 ამაზე არაფერს ვამბობთ. მხატვრული კულტურის შიშა-
 გის დაკარგვით გამოწვეულ მწუხარებას უტყობოთმი მყო-
 ვი ქართველობა წრფელი გულით უერთდება.

ლ. ფალავა.

ისიდორე მანჭავაძე

არ მინდა წარვიდე ამ სამყაროდან ისე, რომ ხანდაზ-
 ჭელობის დროს არ მოვიხსენიო ჩემი ახალგაზრდობის
 ზეგობარის უდროვოდ გარდაცვლილი ისიდორე მანჭავაძის
 უბედობა. ის გარდაიცვალა 1944 წელს, 44 წლის ასაკში,
 როდესაც ადამიანის ფიზიკური და ინტელექტუალური
 შესაძლებლობანი ზენიტშია აყვანილი. ისიდორე მანჭავა-
 ლიდან ჩვენი ქვეყნის დაპყრობისა, მთელი თავისი არსე-
 ზით ჩაება ჩვენი ერის გამანათესიუფლებელ ბრძოლაში.
 ავი არ იყო რიგითი მებრძოლი არამედ ეკუთვნოდა იმ
 დროინდელ ახალგაზრდათა მოწინავე ხელმძღვანელ თაო-
 ბას და როგორც ასეთმა სათნადო მძიმე ხარკიც მოიხიდა
 ჩვენს წინაშე. მან სამშობლო დასტოვა, როდესაც მის წი-
 ნაშე არჩევანი დადგა საბოლოოდ დატუსაღების, ციხი-
 რში გადასახლების, თვით სიკვდილით დასჯის ან გადმო-
 ხვეწილობის შორის.

საფრანგეთში ჩამოსვლისას ის, როგორც ქართველთა უმ-
 რავლესობა ქარხანაში მუშაობს, მაგრამ იმავე დროს ეც-
 ნობა ევროპიულ ვითარებას. მისმა იდეურმა სამყარომ
 ამით განიცადა ცვალებადობა. ფხიზელი გონების პატ-

რონი, ის არ იყო მხოლოდ პოლიტიკური მებრძოლი, ამავე
 დროს ის იყო მწერალი, კრიტიკოსი, პოლემისტი. მა არ
 დაუტოვებია ლიტერატურული მემკვიდრეობა, მაგრამ
 ის რაც მან დასტოვა, მისი გაცნობა, ჩვენ ვეარზუნებს
 რომ მისი უმთავრესი მოწოდება იყო მწერლობა. მეორე
 მსოფლიო ომის დროს საქართველოს განთავისუფლება
 გარდაუვალობათ მიაჩნდა. მას სჯეროდა, რომ კავკასიის
 განთავისუფლებულ ერთა შორის, საქართველო მისი გეო-
 გრაფიული, ეკონომიური, პოლიტიკურ და კულტურულ
 პოზიციების გამო, პირველ ადგილს დაიჭერდა. მისი ნაშ-
 რომები ეხება უმთავრესად ჩვენი ისტორიის ოქროს ხანას,
 ჩვენ პირველ რენესანსს. აქა - იქ მისი ზოგიერთი შეიდა-
 რებები ევროპიულ რენესანსთან შეიძლება გადაჭარბებუ-
 ლად მოგჩვენოს, ეს მისი ახალგაზრდობით, საქართვე-
 ლოს უზომო სიყვარულით აიხსნება. ექვს გარეშეა, რომ
 მისთვის ბედს სიცოცხლე უდროვოდ არ შეეწყვიტა,
 თვლსაჩინო შრომებს მოგვცემდა. მაგრამ რაც დასტოვა,
 ისიც საქმარისა იმისთვის ემიგრაციის მატჩანეში შესა-
 ვერი ადგილი მიენიჭოს.

ნიკო ურუშაძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წე-
 ვრის ნომ რამიშვილის დაღუპვის 50 წლის თაგ-
 ზე, ბადახდირი იმენა პარიზის საზოგადოების
 მიერ, საეპლემიო პანაშვიდი წმინდა ნინოს
 სახელობის ეკლესიაში. დეკანოზმა მელიამ
 წირვის შემდეგ წარმოუსთგვა მებდა შინაარსი-
 ანი და მგრძობიარე სიტყვა.

იგავდება და მოკლე ხანში ბამოვა შურანლი
 "ჩვენი დროშა". რომელიც მთლიანად მიე-
 ჭყენა მის ხსოვნად.

11, rue Villedo - 75001 PARIS
☎ 296-05-48

Paris, le 30 octobre 1978

Paris, le

5 novembre 1978

Monsieur Georges DUMEZIL
Professeur au Collège de France
PARIS

Monsieur et cher Maître,

L'Association des Hommes de Lettres et Journalistes
Géorgiens est heureuse de vous adresser ses cha-
leureuses félicitations à l'occasion de votre élection
à l'Académie française.

Veillez agréer, Monsieur et cher Maître, l'assurance
de notre haute considération.

G. KIPIANI

Collège de France

Paris, le 5 novembre 1978

Merci, cher monsieur, de votre aimable carte.
L'événement arrive trop tard dans ma vie pour que
j'y prenne vraiment intérêt, mais les marques d'amitié
dont il est l'occasion me sont précieuses. Le vôtre
me rappelle que j'avais rêvé d'être géorgianisant et
que je l'aurais été peut-être si je m'étais moins
dispersé. Mais vous avez Charachidzé!

En toute sympathie.

Georges DUMEZIL

11 PLACE MARCELIN BERTHELOT 75231 PARIS CEDEX 05

Kari, cher Monsieur, de votre
aimable carte. L'événement
arrive trop tard dans ma vie pour
que j'y prenne vraiment intérêt,
mais les marques d'amitié dont
il est l'occasion me sont précieuses.
Le vôtre me rappelle que j'ai
rêvé d'être géorgianisant et que je
l'aurais été peut-être si je m'étais
moins dispersé. Mais vous avez
Charachidzé!
En toute sympathie

Georges Dumezil

The Arts of Ancient Georgia

ასეთი სათაურით გამოვიდა წიგნი რუსულად მეფის-
ცილის და ვახტანგ ცინცაძის ავტორობით, პროფესორ
დ. მ. ლანგის წინასიტყვაობითა და რალფ შრედის ფო-
ტოგრაფიებით. წიგნი ჯერ გამოვიდა გერმანულად აღმო-
ველით გერმანიაში ხოლო აღისა ფავს მიერ თარგმნილი
ანგლისურად, ამერიკაში ტამეს და ჰელსონას გამომცე-
მლობით. გამოცემა არის შესანიშნავი. უკეთესი შეუძ-
ლებელია. აქ მოთავსებულია 584 ილუსტრაცია, აქედან 98
ფერადებით შესრულებული.

წიგნი შეიცავს ქართული ხელოვნების ყველა დარგის
ისტორიული მიმოხილვას ბრინჯავის ხანიდან ახალ საუკუ-
ნეებამდე.

გამომცემლები შენიშნავენ რომ აქამდე საქართველო
ცნობილი იყო თავისი შესანიშნავი ეროვნული ცეკვებით
და ამ წიგნით შეიძლება მისი მდიდარი წარსული ხელო-
ვნების გაცნობა.

მართალია, აქამდე იყო ცოტა რამ გამოცემული ამერი-
კაში ქართული ხელოვნების შესახებ, მათ შორის შ. ამი-
რანაშვილის ერთი შრომაც, მაგრამ ამ შრომის ხასიათი და
მოქალაქა უფრო ფართო შინაშეწვლადია.

მისი საშუალებით არა მარტო სპეციალისტი, არამედ
აშუალო მკითხველიც შესძლებს მიიღოს ვარკვეული
წარმოდგენა იმ დიდ ხელოვნებით მემკვიდრეობაზე, რაც
ქართული ერს საუკუნეთა მანძილზე შეუქმნია.

დასაფასებელი და მისასალმებელია ამ წიგნის გამოცე-
მა ამერიკაში.

The Peasant Venture

Paul J. Magnarella - 1979

ეს წიგნი გამოვიდა ამერიკაში 1979 წელს შენქმანის
გამომცემლობის კომპანისი მეშვეობით.

ავტორს ადგილობრივ სპეციალურად შეუსწავლია თუ-
რქეთის ქართული მოსახლეობის ცრიტი სოფელი - „ხერი“
დაწყვილებით არის შესწავლილი ამ სოფლის ქართველ-
ების. მათი მატერიალური, სოციალური და სულიერი ყოფა.
ამ სოფლის მოსახლეობა მხოლოდ ქართველებსაგან შეს-
დგება, ისინი ლაპარაკობენ ქართულად, შენახული აქვს
ქართული ჩვეულებები. თურქზე თავიანთ ქალს არ აბო-
ჯებენ. თურქის ქალს კი ირთავენ. ბოლო ხანებში იქ დაი-
წყო დიდი კულტურული მუშაობა. ამ საქმეს მეთაურობს
ჩვენთვის კარგად ცნობილი მოღვაწე აჰმედ მელაშვილი.
იქ აწინებენ ქართული კულტურის სახლს, სადაც მოთა-
ვდება ქართული სკოლა, ბიბლიოთეკა და სადაც გაიმარ-
თება ქართული ცეკვების საღამოები.

ამ სოფლიდან დღეს სამასამდე ქალი და კაცი არის წა-
სული გერმანიაში სამუშაოდ. იქ მოგებული ფულით შემ-
დედგ თავიანთ ადგილობრივ ცხოვრებას აუმჯობესებენ
დასავლეთ გერმანიაში დღეს მუშა ხელის დიდი მოთხო-
ვნილება. ოფიციალური სტატისტიკით იქ მუშაობს ექვს-
ას ათასამდე თურქი, მთავრობის ნებართვით და მათშორის
ქართველი მუსულმანების გადმოხვედით ასი ათასი ქართ-
ველია. ქართველ მუსულმანთა გათვითცნობიერება და
კულტურული ამაღლება მათ კარგ მომავალს უქადის...

ბიოგრაფიული საკამაძი

1980 წელს სტამბოლში გამოვიდა თურქულ ენაზე გი-
ორგი სააკაძის ცხოვრება ეს არის თარგმანი სიმონ ჭე-
რიანის წიგნისა „გიორგი სააკაძე“, მთარგმნელია იბრაიმ
გორაძე.

წიგნი შეიცავს საშუალო ფორმატის 352 გვერდს, თარ-
გმნილია კარგად და წინ უძღვის აჰმედ მელაშვილის წინა-
სიტყვაობა. ამ წიგნის გამოცემას თურქულ ენაზე დიდი
შნიშვნელობა აქვს. ის საინტერესოა თურქი მკითხველისა-
თვისაც და განსაკუთრებით ქართველი მუსულმანებისა-
თვის, რადგან მათში არსებობს დიდი ინტერესი საქართვე-
ლოს გაცნობისა.

სიმონ ჭეარიაშვილი დიდი პიროვნება იყო. მისი შრომების
მეცნიერულ ღირებულებაზე თუ დავა შეიძლება, პატრი-
ოტული და აღმზრდელითი თვალსაზრისით ის დიდად
სასარგებლო იყო თავის დროზე საქართველოში და დღეს
მუსულმან ქართველებში.

წარმოიდგინეთ ქართველი მუსულმანი რომ თურქეთში
გაეცნობა გიორგი სააკაძის გმირულ თავდადასავალს, რო-
მელმაც საბოლოოდ მიიღო მუსულმანობა და მითვე ჩაი-
რიცხა თურქეთის მუსულმანთა შორის, რამდენ ეროვნულ
გაზრდობას აუშლით მათ! ამ მხრივ დიდად დასაფასებელია
აჰმედ მელაშვილის მოღვაწეობა, რომელიც არის მთავარი
სულის ჩამდგამელი ქართული კულტურული მუშაობისა.

აქვე უნდა აღენიშნო რომ ქართველ მუსულმანთა ერ-
თმა წრემ დაიწყო ეურნალის გამოცემა შეეციაში, სათა-
ურით: „ჩვენებური“. სათაურიც ქართულა შრიფტით
არის დაბეჭდილი. ეურნალი იბეჭდება თურქულ ენაზე და
მთლიანად მიძღვნილია გადმოხვედლი ქართული ტექსტები
და ქართულადვე ზოგიერთი ლექსები ქართველ მუსულ-
მანთა . იწერება წერილები საქართველოს წარსულსა და
თანამედროვე ცხოვრებაზე. აქვე იბეჭდება აჰმედ მელა-
შვილის მიერ შესანიშნავად თარგმნილი რუსთაველის
ეპეგისტეასიანი ნაწილ - ნაწილად ამ ე.მაღ ეურნალის
გამოცემა გადატანილი იქნა სტამბოლში.

საქართველოს ისტორიაზე დიდი მოთხოვნების მათ გადასწყვიტეს თარგმნონ ფარგმნონ ფრანგულიდან და გამოსცენ ალექსანდრე მანველიშვილის „საქართველოს ისტორია“, რის შესწორებული და გადამუშავებული ტექსტი ავტორმა უკვე გადაუგზავნა.

საერთოდ უკვე ქართველის მოვალეობაა ყოველ მხრივ დაეხმარათ ჩვენს მუსულმან თანამომეგებს მათ ყოველგვარ მუშაობაში, რადგან სარწმუნოებრივი განსხვავება წარმავალია, ხოლო ეროვნული გარნობა მარადიული. როგორც ერთხელ მელაშვილი ვაწერდა: „იყო დრო როდესაც ქართველები არც ქრისტიანები ვიყავით და არც მუსულმანები, მაგრამ ქართველები ვიყავით“¹.

ა. მანველიშვილი.

..

18 აპრილის ნომერში გაზეთისა „დერ ბუნდ“ რომელიც ბერნში გამოდის, ბეატრის აიხმან ლიტერატორი - ის ხელის მოწერით მოთავსებულია წერილი სათაურით: „შუამავალი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. და ქვესათაური: სიკოცხელ ქართული ენისათვის.

წერილში მოთხრობილია კიბა ჩხენკელის მოღვაწეობა და ქართულ - გერმანულ ლექსიკონის გამოცემის ისტორია. და ცხადია დასახელებულნი არიან კიბა ჩხენკელის საქმის დამპოლოებელნი: იოლანდა მარშეგ, რუთ ნოიკოჰმ და ლეა ფლური.

მაგრამ გარდა ამისა წერილი მკითხველთ აცნობს საქართველოს, მის დღევანდელ მდგომარეობას, ბრძოლას ენისა და ეროვნულ კულტურის შენარჩუნებისათვის და ამავე დროს საკმაოდ დეტალებით მოგვითხრობს საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია მეორეს ჩამოსვლას - ჯერ ბერნში და შემდეგ კოტორში, სადაც იგი ჩასულა ჩვენს ძვირფასი მეგობრების - სამი ქართველოვანი მანდლონის სანახავად და სადაც ილია მეორე მიუღია პროფესორ ერნსტ რიშ - ს კიუბისხის უნივერსიტეტში.

წერილი ასე ბოლოვდება: „როგორც მე დარწმუნებით მიიხიბეს, ყოველი ქართველი მაღლად პოეტი და ლექსებსა წერსო. ამგვარად ლირიზნი ყოველდღიურ ცხოვრებიდანაც არ გამჭრალა. ქალებს სახელად ჰქვიათ ლალი, კაცებს - ზვიადი ან სულკო. პოეზია, ქართული ძნელი მაგრამ მდიდარი ენის განუყრელი კუთვნილებაა და როგორც კიბა ჩხენკელმა მოიმოქმედა, ღირს ამ ენას სიკოცხელ შესწირო და ამგვარად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის შუამავლობა გასწიო.“

წერილთან ერთად მოყვანილია ხსენებულ ლექსიკონის ერთი სვეტის ფოტოსაღი. მდლობა ამ წერილის მეოხებით გაეცნობინ ჩვენს ახალ მეგობარს.

წიგნი შეიცავს 552 გვერდს და ძვირფასად არის გამოცემული. კარგ ქაბალადზე დაბეჭდილი და ყდაში ლამაზად ჩასმული. წარმოდგენილია 58 ფერადი და შავი სურათი. კარგად არის შეჩვენული ნიმუშები ქართულ ხე-როთომოდებობაზე, მინანქრებზე, მინიატურებზე, ოქრომკედლობაზე. წიგნის ავტორს ფართოდ გამოუყენებია ქართველ და უცხოელ მკვლევართა შრომები: ივანე ჯავახიშვილის, ნიკოლოზ ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ვახტანგ ბერიძის და აგრეთვე უცხოეთის; გერმანულ, რუსულ, ინგლისურ, ქათველოლოგთა ნაშრომები.

ათეული წლებია ბატონი სალია რედაქტორობს სქელტანიან თურნალს „ბედი ქართლისა“ - ს. ამ ხნის განმავლობაში მან შესძლო თურნალის გარეშე მომეკრძა მრავალი უცხოელი, და ქართველი მკვლევარი, სადაც იბეჭდებოდა წერილები ქართული და კავკასიის კულტურის და ისტორიის საკითხებზე. ამ უკან მან გამოისცა ზემოთ დასახელებული წიგნი საქართველოს ისტორიაზე. წიგნში დამატებით მოყვანილია ბაგრატიონთა დინასტიის გენეალოგია. ქრონოლოგიური სურათი საქართველოში მომდარნი მოვლენების, ლიტერატურის, მუსიკის და ხელოვნების სხვა დარგების.


რამდენად ალწეს წიგნი დანიშნულ მიზანს? ამ საკითხის განხილვას უფიძობთ ისტორიკოსებს, ჩვენ შეგვიძლია აღვინშნოთ, რომ წიგნი ბრწყინვალედ არის გამოცემული და უსათუოდ ხელს შეუწყობს უცხოეთში, ქართული საკითხის პროპაგანდას.

გ. ნ.

]-[

ორიოდე წლის წინ გამოვიდა გიორგი ყვიფიანის რიგით მეექვსე ლექსთა კრებული სათაურით: ირინე და გიორგი ყვიფიანი. საზარო მოეზი.

წიგნი მთლიანად მიემძვნა ვიქტორ ნოზაძის ხსოვნას. კრებულში მოთავსებულია 71 ქართული და 6 ფრანგული ლექსი გიორგი ყვიფიანისა და 5 ფრანგული პოემა, როგორც ჰაშივიკი ირინე ყვიფიანის შემოქმედებისა. ამ თავის ახალი წიგნით ყვიფიანი ამართლებს და კიდევ უფრო მყარ საფუძველს უქმნის მისი პოეტური ხარისხის რეპუტაციას. ხოლო ირინე ყვიფიანის პოეტური გამოჩენა მეტად სასიამოვნო სიურპრიზია.



მეგრამ ეს 225 გვერდიანი წიგნი მარტო ლექსთა კრუ-
 ლს კი არა სხვაგვარ კრებულსაც წარმოადგენს:
 წიგნში მოთავსებულია 16 ფოტო 1 ნახაზი 16 წერილის
 ფოტოასლი 1 ლექსის ავტორისეული ფაქსიმილე და კი-
 ლევ 16 წერილი. აქ მოტანილი ფოტოგრაფიები, ზოგი
 პეტაღ ზოგი ნაკლებად, დაკავშირებულია ავტორის საზო-
 კადოებრივ ან პიროვნულ ცხოვრებასთან. ფოტოასლი-
 ხით წარმოდგენილი წერილები ცნობილ პიროვნებათ
 კუთვნიან, ხოლო დანარჩენი 16 წერილის უმეტესობა
 აკვე გამოქვეყნებული რეკენზიებია ან მისი პოეზიის
 დამფასებელთა კერძო წერილებია. ყოველივე ეს ერთად

ისეთ შთაბეჭდილებასა ჰქმნის თითქოს მკითხველი ყოფი-
 ანთან სტუმრად იმყოფებოდეს და მასპინძელე მას ხან
 ფოტოალბომიდან ამოღებულ სურათებს თავზიანად აჩვენებ-
 ნებდეს ან სხვა და სხვა ცნობილ პირობაგან მიღებულ წე-
 რილთა შინაარს აცნობდეს, ამიტომ ამ წიგნის გაცნობა
 პოეტის გაცნობის გარდა თვით კაცის გაცნობაც არის.
 ამის გამო წიგნი მეტად ორგინალურია და გამოყენებული
 ხერხი შევნიერ შედეგს იძლევა.
 აქვე აღსანიშნავია, რომ ძვირფასად გამოცემულ ამ ლა-
 მაზე კრებულის რედაქტორი და ასოთაშეყობი თვით
 ავტორია. ყდა შესრულებულია გუჯი ამაშუკელის მიერ.

მიმომხილველი.

შემოწირულობანი

X	2000 ფ.	ნიკო ურუშაძე	100
ბოსე იმნაიშვილი	1500	პროკოფი ინჭკირველი	100
ღაგი თ ვაშაძე	650	კარლო ინსარაძე	100
სოზოს ქართველთა სათვისტომო	480	გიორგი ვაჩნაძე	100
ა. მანველიშვილი	250	გიორგი წერეთელი	100
მიხეილ ხუნდაძე	200	აკაკი პარკალაია	100
გ. ნ.	200	ქრისტეფორე იმნაიშვილი	50
ირაიდიონ ბეგიაშვილი	150	გიორგი (ჟორა) ასათიანი	50
ირაკლი ოთხმეზური	130	ა. გამსახურდია	50
ვიორგი ნაკაშიძე	120	ოთარ პატარიძე	50
ბეტრე ხვედელიანი	120	შოთა ბერეჟიანი	50
ვიორგი ჯაყელი	110	გიორგი (ბიჭიკო) ახვლედიანი	50
ლუბა აბაღუშელი	100	ვანო ანდრონიკაშვილი	50
ზოსიმე ჯიშკარიანი	100	სიმონ აბაშიძე	50
ჯამლეთ გვაზავა	100		
ნამეტია გოგუაძისა	100		
მელიტონ უღენტო	100		
თათარხან ანთაძე	100		
კვიროსი ჩხაიძე	100		
ალექსანდრე ხაბულიანი	100		
არჩილ მჭედლიშვილი	100		
			7860
		ხარჯები:	
		ფრანგული სტამბა	15000 ფ.
		ლევლის სტამბა	3383
			18383 ფ.

ძვირფასო თანამეგობრებო!
 უპრანალი კაპასიონი პრის კართული ლიტე-
 რატურის, ისტორიის და მეცნიერების თავისუ-

ფალი სიტყვა, რომ იღვებრძელს მოიტი-
 ზოვს თქვენს მიერ ნივთიერ და მოკალურ
 ბაზუნებებს.

სარედაქციო კოლეგია.

სარჩევი

სამოცი წელი	7	კ. ინასარიძე — გ. რ. მწერალი და მოაზროვნე	44
იოსებ გრეშაშვილი — ბარათი მეგობარს (ლექსი)	8	უცნობი ავტორი — წყარო ხარ უკვდავი (ლექსი)	54
ნოე შორდანი — მიმართვა ცივილიზებურ კაცობრიობას.	9	გ. უფიანი — ორი დედა (ლექსი)	
ისტორიული საბუთები —	10	ელიზბარ მაყაშვილი — ბერდია ხეცური (მოთხრობა)	
1921 წლის 17 მარტს ქუთაისში მომხდარი მოლაპარაკება	13	დ. ვაშაძე — ფიქრები ქართული ენის შესახებ	57
გრიგოლ რობაქიძე — მიმართვა საქართველოს ახალგაზრდობას —	14	ნამეტია — ლევილის მამულს (ლექსი)	63
ტარიელ ზურაბიშვილის სიტყვა —	16	ლეონიდ ქვიციანი — მაყვალას (ლექსი)	
ქართველთა ხელოკმნება უცხოეთში	19	რალფი — სამშობლო (ლექსი)	
ფელიქს ვარლამიშვილი —	24	მინდია ლაშაური — მიხეილ ჯავახიშვილის დაბადებდან 100 წლისთავის გამო	64
მარია მერიკო —	24	გრიგოლ რობაქიძე — დიდი შუადღე (ლექსი)	68
ვერა ფალავა —	27	გ. უფიანი — შედარება (ლექსი)	
ეთერი ფალავა —	30	სახალწლო (ლექსი)	
ვანო ენუქიძე —	34	მგოსანი (ლექსი)	
გუჯი ამაშუკელი —	36	ა. მანველიშვილი — ვ. ტ. დიალექტი	69
შოთა აბაშიძე —	38	მ. ქავთარაძე — წანარები	88
სიმონ ბერეუიანი — მგოსანი (ლექსი)	41	გ. ნოზაძე — კაცი ვარ აღამიანი	93
გიორგი გამყრელიძე — ოდა დედამიწას (ლექსი)	42	გიორგი შარაშიძე — პრომეთე და ამირანი	106
გიორგი უფიანი — გ. გამყრელიძის ხსოვნას (ლექსი)	43	მ. იმნაიშვილი — რუსეთი წინად და ეხლა	118
ბ. რ. დაბაღეზიდან 100 წ. თავისი აღსანიშნავი	43	აკაკი ჩხენკელი — ერთი ეპიზოდი	123
გ. უფიანი — გრიგოლ რობაქიძეს (ლექსი)	43	ლ. ფალავა — ლადო გულიაშვილი	124
გ. რობაქიძის ვერმანული ლექსები. —	43	ნიკო ურუშაძე — ისილოვ მანწყავა	125
		მბლოთგრაფია —	125
		შემოწირულებანი —	128



რედაქტორი: — სარედაქციო კოლეგია.

გამომცემელი: — აკაკი შავშულიძე.

კავკასიონის მისამართი: —

G. KIPIANI

10, rue Jules Ferry, 91310 Leuville sur Orge (France)

Tél. (6) 084-53-05